ეკატერინე კობახიძე

ანტიკური კულტურის პრობლემები

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მიერ ანტიკური კულტურის ცალკეულ პრობლემათა კვლევის შედეგების ერთ წიგნში თავმოყრის მცდელობას.

რედაქტორი: საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **რისმაგ გორდეზიანი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნანა ტონია**

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ეკა ავალიანი**

© პროგრამა „ლოგოსი“, 2006
© ე. კობახიძე, 2006

ISBN 99940-31-51-1

პროგრამა „ლოგოსი“
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,
თბილისი 0179
ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81
ელ. ფოსტა greekstudies@caucasus.net

გარეკანზე: ქიმერა, ბრინჯაოს ქანდაკება (არეცოდან) ძვ. წ. V ს-ის ნახევარი, ფლორენცია, არქეოლოგიის მუზეუმი

სარჩევი

აღმოსავლეთი და დასავლეთი ეტრუსკულ რელიგიაში 7
(ლინგვისტური ანალიზი)
Eastern and Western Elements in Etruscan Religion (Linguistic Analysis).....17

ბერძნულ-ეტრუსკული ურთიერთობანი მითოლოგიის სფეროში.....19
"The Greek Etruscan Relations in the Sphere of Mythology".....35

ეტრუსკების აღქმისათვის გვიანანტიკურობაში 37
Towards Perception of Etruscans In Late Antiquity (V cent. A. D.).....47

ეტრუსკები „ენეიდაში" 49
"Etruscaens in "Aeneid".....61

„იტალიელი" ჰერაკლე.....63
"Italian" Herakles 70

ღვთაება მარსის წარმომავლობის საკითხი 75
The Issue of Descent of Deity mars.....83

Turan – სიყვარულის ეტრუსკული ღვთაება? 85
Turan – Etruscan Godess of Love?.....93

კირკე და იტალია 95
CIRCE AND ITALY.....106

აღმოსავლეთი და დასავლეთი ეტრუსკულ რელიგიაში

(ლინგვისტური ანალიზი)

როდესაც ვმსჯელობთ ძველი სამყაროს შესახებ, დასავლური და აღმოსავლური კულტურები ჩვენს წარმოსახვაში გამიჯნულია კონკრეტული არეალითა და განსაკუთრებული ნიშნებით. ძველი ბერძნები ზუსტად განსაზღვრავენ ცნებებს: დასავლეთი და აღმოსავლეთი, როდესაც განიხილავენ ხალხებს და ცივილიზაციებს.

განსაკუთრებულ შემთხვევას აწყდებიან მკვლევარნი ეტრუსკთა მემკვიდრეობის შესწავლისას. თვით ძველი ბერძნებისათვის ეს კულტურა, გავრცელებული ანტიკური ცივილიზაციის არეალში, წარმოადგენდა ბოლომდე შეუცნობელ ფენომენს. მაგალითად, ჰეროდოტოსი, როგორც ცნობილია, ეტრუსკებს ლიდიიდან მოსულებად მიიჩნევდა,[1] ჰელანიკე ლესბოსელი მიაკუთვნებდა მათ პელასგთა შთამომავლებს, ხოლო დიონისიოს ჰალიკარნასელი ეტრუსკებს იტალიის ავტოხთონურ მოსახლეობად აცხადებდა.[2] ამგვარად, კამათი ეტრუსკთა წარმომავლობის შესახებ ჯერ კიდევ ძველი ბერძნების მიერაა დაწყებული და დღემდე გრძელდება.

ამჯერად ჩვენ არ განვიხილავთ თანამედროვე თეორიების პოზიციებს ამ საკითხზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თუკი ერთი მოსაზრებით, ეტრუსკები აპენინის ნახევარკუნძულის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ, სხვა თვალსაზრისის მიხედვით, ისინი „მოვიდნენ" მცირე აზიიდან.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ეტრუსკთა წარმოშობის შესახებ არსებულ ყოველ თეორიაში არის ჭეშმარიტების მარცვალი. „ყველა ეს თეორია – განმარტავს ა. პფიფიგი – ერთნაირად

---

[1] Herodotus, Historiae, ed. Ph. E. Legrend, Herodote, Histoires, 9 vols. Paris, Les Belles Letteres. 1; 94.

[2] Dionysius Halicarnassensis, Antiquitatum Romanorum quae supersunt, vol. 1-6, Bibl. Teubneriana, 1993, 1, 28

სწორია და ერთნაირად მცდარი, რადგან თითოეული მათგანი შეეხება მხოლოდ მთავარ კომპონენტს, და არა მთლიანს".[3]

თუკი დავეყრდნობით ყველა თეორიის თვალსაზრისს ამ საკითხზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეტრუსკული ცივილიზაციის ფორმირება ხდებოდა სხვადასხვა კულტურების და ხალხების გავლენით.

იმისთვის, რომ განვსაზღვროთ ის ელემენტები, რომელთაც რალაც მნიშვნელობა ენიჭებათ საერთო ეტრუსკული კულტურის შექმნაში, მივმართოთ ენას. სწორედ მასშია არეკლილი ყველა ის გავლენა, რომელიც ოდესმე განუცდია ეტრუსკულ კულტურას ისტორიული განვითარების პერიოდში.

ამ მიზნით ჩვენ შევარჩიეთ კონკრეტული სემანტიკური ჯგუფი – საკულტო ტერმინოლოგია, რომელიც საინტერესოა ნოვაციებით და, ერთდროულად, კონსერვატიზმით. აქ გარკვევით შეიძლება თვალი მივადევნოთ ეტრუსკთა სხვა ხალხებთან ურთიერთობის ისტორიას.

საერთო ჯამში, ჩვენ გვაინტერესებდა, რამდენად მკვეთრად ჩანს ეტრუსკული კულტურის ამ სფეროში დასავლეთის და აღმოსავლეთის გავლენა, წარმოადგენს თუ არა ეს გავლენები გადამწყვეტ სტიმულს ეტრუსკული კულტურის ფორმირების საკითხში თუ ისინი ასახავენ მხოლოდ ცალკეულ მოვლენას ეტრუსკული მსოფლაღქმის უკვე ჩამოყალიბებულ სისტემაში.

აღსანიშნავია, რომ ეტრუსკული საკულტო ტერმინოლოგია, სხვა სემანტიკურ ჯგუფებთან შედარებით, უფრო მრავალრიცხოვანია. ეს აიხსნება ჩვენამდე მოღწეული ეპიგრაფიული ძეგლების უმეტესწილად რელიგიური შინაარსით.

ჩვენ შევისწავლეთ დაახლოებით ასი ეტრუსკული სიტყვა, რომლებიც თავისი შინაარსით განეკუთვნება რელიგიის და კულტის სფეროს.

ჩვენს მიერ შესწავლილი საკულტო ტერმინები წარმოადგენენ როგორც ზმნებს, ისე სახელებს. ზმნები აღნიშნავენ:

---

[3] A.J. Pfiffig, Einführung in die Etruscologie, Probleme, Methoden, Ergebnisse, Darmstadt, 1972, 9.

მსხვერპლშეწირვას, სიკვდილს, საკულტო ნაგებობების შენებას და სხვა რიტუალურ აქტებს. სახელები აღნიშნავენ: რიტუალებს, საკრალურ საგნებს, საკულტო ნაგებობებს, სამარხებს და ა.შ. ამ ჯგუფში აღვნუსხეთ აგრეთვე ეტრუსკთა ღმერთების სახელებიც.

ძირითად შემთხვევებში, ერთსა და იმავე ეტრუსკულ ტერმინს მეცნიერებაში აქვს ეტიმოლოგიები, რომლებიც მას სხვადასხვა ენობრივ სამყაროს უკავშირებს. ჩვენ გავითვალისწინეთ ყველა ეს ჰიპოთეზა. ყველაფერმა ამან საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა ეტრუსკული საკულტო ტერმინოლოგიის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა. ამგვარად, ჩვენ განვსაზღვრეთ ყველა ის ენა, რომელმაც, მეცნიერთა აზრით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეტრუსკთა რელიგიური და საკულტო ტერმინოლოგიის, და, მაშასადამე, ეტრუსკთა რელიგიის ჩამოყალიბებაში.

ჩვენს მონაცემთა თანახმად, ეტრუსკულ ტერმინოლოგიას ყველაზე ხშირად უკავშირებენ ტერმინებს შემდეგ ენებზე:

1. ბერძნული
2. ლათინური
3. ანატოლიური (ამ სიტყვის ფართო გაგებით)
4. ქართველური.

1. ბერძნული

ბერძნული ენის და კულტურის გავლენა ეტრუსკთა კულტურაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია რელიგიისა და კულტის სფეროში.

განსაკუთრებით დიდია როლი ბერძნული ელემენტისა ეტრუსკული ღმერთების პანთეონში.

ზოგიერთი კულტის სახელი ჩნდება ეტრურიაში ბერძნული რელიგიის გავლენით. ამაზე მეტყველებს ეტრუსკულ სახელთა ფორმები, სადაც შენარჩუნებულია ბერძნული სახელობითის ყალიბი. მაგ: Artemes, Atunis, Erus, Charon.

ცხადია, ჩვენ არ ვგულისხმობთ იმას, რომ ეტრუსკებმა სახელთან ერთად ბერძნებისგან ისესხეს ამა თუ იმ ღვთაების კულტიც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეტრუსკებმა ელინთაგან მხოლოდ

იმ ღვთაებათა სახელები ისესხეს, რომელთა კულტიც ცნობილი იყო ეტრურიის ტერიტორიაზე.

ამგვარი პროცესების მიზეზები ბოლომდე უცნობია. შესაძლოა, ეტრუსკთა რელიგიურ მსოფლმხედველობაზე გავლენა იქონია ბერძნული მითოლოგიის პოპულარობის გაძლიერებამ. ეს დაიწყო – როგორც ფიქრობს დევოტო – მე-8 ს-ში ჩვ. წ.აღ-მდე.[4]

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, რამდენიმე სხვა ეტრუსკული საკულტო ტერმინის წარმომავლობაც შეიძლება აიხსნას ბერძნული ენის გავლენით. ასე, მაგ.: ეტრუსკული hupni („ძილი, სამარხი, განსასვენებელი"), შეესაბამება ბერძნულ სიტყვა hipnos-ს („ძილი"), ეტრუსკული tur- („ჩუქება, ბოძება, მიცემა"), ბერძნულ doreuo-ს („მიძღვნა, მიცემა"), ეტრ. trutnut („წინასწარმეტყველი, ნათელმხილველი"), ბერძნულ trutanotes/trytane-ს, ეტრ. frontac („ელვათა მიხედვით წინასწარმეტყველი"), ბერძნულ Bronte-ს („ელვის დარტყმა") და ა.შ.[5]

2. ლათინური

ზემოთ მოყვანილი ჯგუფისაგან განსხვავებით, ძნელია ზუსტად დავადგინოთ ე.წ. „ათვლის წერტილი". მეცნიერთათვის ბოლომდე უცნობია – სად შეიძლება ვისაუბროთ ლათინურ ნასესხობებზე ეტრუსკულში და – პირიქით.

ამაზე მეტყველებს, პირველ რიგში, ეტრუსკული ღმერთების სახელწოდებები. ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ, რა ენობრივ ნიადაგზე ჩამოყალიბდნენ კარგად ცნობილი: Maris, Minerva, Nethuns, Satres, Selva, Uni, Ani.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ლათინური ენის გავლენა ჩანს სხვა საკულტო სიტყვებშიც. მაგ. ლათინური cella („საფლავი") ეტრუსკული სიტყვის cela („სამარხი") პროტოტიპს წარმოადგენს,

---

[4] G. Devoto, Aperture e isolatemento del mondo etrusco, Roma, 5, 1962, 12.

[5] А.Н. Немировский, Этруски от мифа к истории, Москва, 1983; M. Pallottino, Etruscologia, Milano, 1985. A.J. Pfiffig, Die Etruskische Sprache, Graz, 1969.

ლათ. sol („მზე") – ეტრ. usil-ის („მზე"), ლათ. herama („ქანდაკება") – ეტრ. herama-ს („წმინდა ადგილი, ტაძარი") და ა.შ.[6]

როგორც ვხედავთ, მიუხედავად მჭიდრო ტერიტორიული და კულტურული მეზობლობისა, ლათინური ენის გავლენა არ სცილდება უბრალო ლექსიკურ ნასესხობებს.

3. ანატოლიური

მცირე აზია, არსებული ჰიპოთეზებით, წარმოადგენდა ეტრუსკთა სავარაუდო სამშობლოს. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეტრუსკთა კულტმსახურების და რელიგიის სფეროში, ისევე როგორც სხვაგან, კულტურის სხვა სფეროებში, ასახულია მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გავრცელებული ხეთების კულტურის ელემენტები.

გეორგიევი, ამ ჰიპოთეზის თავგამოდებული დამცველი, ჩამოთვლის ეტრუსკულ სიტყვათა ხეთურ ეტიმოლოგიებს.[7]

გეორგიევის მიერ შემოთავაზებულ ხეთიზაციის არ შეეძლო არ გამოეწვია მრავალრიცხოვანი შეცდომა, რომლებიც მკვლევართა წრეში კამათს და დავას იწვევდა.

მოვიყვანთ, ჩვენი აზრით, შედარებით დამაჯერებელ მაგალითებს. ეტრუსკული ზმნური ფუძე har („მოკვლა, დარტყმა"), გეორგიევის აზრით, უნდა აიხსნას ხეთური ენის ნიადაგზე ზმნური ფუძის harra-ს მიხედვით (haura-„დამტვრევა"). სხვა შემთხვევაში მკვლევარი უკავშირებს ეტრუსკულ man-ს („მსხვერპლშეწირვა, ბოძება, მიძღვნა") ხეთურ men-ს („ლაპარაკი"), ეტრ. tmia-ს („წმინდა ადგილი, ნაგებობა") ხეთურ tumiat-ს („ტაძრის ნაწილი") და ა.შ.

---

6 Pallottino, Etruscologia, Milano, 1985; Pfiffig, Die Etruskische Sprache, Graz, 1969; R.A. Staccioli, La lingua degli etruschi, breviari di archeologia, 1. edizione, Roma, 1970.

7 V. Georgiev, Hethitisch und Etruskisch, Die hethitische Herthkunft der etruskischen Sprache, Sofia, 1962.

4. ქართველური

20-იანი წლების დასაწყისში ეტრუსკოლოგიაში, ეტრუსკთა წარმოშობის შესახებ არსებულ თეორიათა გვერდით ჩნდება ეტრუსკული ცივილიზაციის ქართველურ და კავკასიურ კულტურულ სამყაროსთან დამაკავშირებელი ჰიპოთეზები.

როგორც ცნობილია, ამ საკითხს მეცნიერთა რამდენიმე თაობა იკვლევდა. მათ შორისაა: ი. მარი, ვ. თომსენი, ს. ფერი, რ. გორდეზიანი, ჯ. გარბინი და სხვა. ყველა ეს მკვლევარი ასკვნიდა, რომ ე.წ. ქართველური კომპონენტი წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს ეტრუსკული ენის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში.

ბევრი რამ, რაც ამ თეორიის მიმდევართა მიერ არის გამოთქმული, ცხადია სადავოა და ეჭვს იწვევს, მაგრამ ასეთი „შემობრუნება" ეტრუსკოლოგიაში მეტყველებს იმაზე, რომ ქართველურ ენათა მონაცემებს შეუძლია მოგვცეს ახალი მასალა ამ საკითხის შესწავლის საქმეში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რელიგიური წარმოდგენები ეტრუსკული ცივილიზაციის იმ სფეროს წარმოადგენს, რომელიც ეტრუსკული კულტურის სხვა ხალხთა კულტურებთან კავშირს ნათელყოფს.

მნიშვნელოვანია, რომ ძველ ხალხთა წარმოდგენებში არის რამდენიმე ე.წ. ფენა, რომელიც სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს განეკუთვნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ პერიოდს თავისი სიახლე შეჰქონდა ხალხის ტრადიციულ რელიგიურ წარმოდგენებში. ეტრუსკულ რელიგიის მაგალითზე ჩვენ ზუსტად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბერძნული და რომაული მითოლოგიის ელემენტები განეკუთვნება ქრონოლოგიურად შედარებით ახალ ფენებს.

იმ ღვთაებათა კულტებთან ერთად, რომლებიც ეტრუსკულ რელიგიურ პრაქტიკაში შედარებით გვიან მკვიდრდებიან, ეტრუსკულ პანთეონში არსებობენ არქაული ღვთაებანი, რომელთა თაყვანისცემა უკავშირდება უფრო ადრეულ ისტორიულ პერიოდს.

საყურადღებოა, რომ არსებობს ვარაუდები, რომლებიც მიუთითებენ ეტრუსკული რელიგიის ადრეულ ფენებში ე.წ. ქართველური ელემენტის არსებობაზე.

მოვიყვანთ მაგალითებს.

როგორც ცნობილია, ღმერთი-მნათობები უმეტეს ხალხთა რელიგიებში უძველეს კულტებს განასახიერებენ. მზის და მთვარის ეტრუსკული ღვთაებები Cath და Tivr („მზე და მთვარე") წარმოადგენენ არა მხოლოდ ყველაზე არქაულ, არამედ ყველაზე მნიშვნელოვან კულტებს ეტრურიაში.

საინტერესოა, რომ ამ სიტყვათა ეტიმოლოგიები, მკვლევართა აზრით, უკავშირებს ერთმანეთს ეტრუსკულ Cath-ს ბერძნულ Kath-ს („სუფთა") და ქართველურ Kath-ს („ძალიან თეთრი") (ქათქათა).[8]

მთვარის ღვთაება tivr მიუთითებს საინტერესო კავშირებზე იმავე ენობრივ სინამდვილესთან. სახელის ძირი tiv-, tiu-, შედარებულია ქართველურ სიტყვასთან thve („თვე, მთვარე"). ეს ფუძე გვხვდება საერთო ქართველურ დონეზეც (ქართ. თუე; თთუე, მეგრ-ჭან. თუთა; სვან. დოშდულ).[9]

უძველეს ეტრუსკულ ღვთაებათა რიცხვს მიეკუთვნება ტინია. იგი წარმოადგენს ეტრუსკული პანთეონის მთავარ ღმერთს. მისი ძალაუფლება, მიუხედავად ბერძნული და რომაული მეხთამპყრობელი ღვთაებების პოპულარობისა, შეურყეველი აღმოჩნდა. სხვადასხვაგვარი ჰიპოთეზების გვერდით, არსებობს აზრი, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს სიტყვა Tinia-ს და ფუძე tin-ს საერთო ქართველურ თენ-ს („თენება"). უნდა აღინიშნოს, რომ Tin ძირისგან ნაწარმოები სიტყვა tinia („დღე") არ ეწინააღმდეგება ამ ეტიმოლოგიას სემანტიკურ დონეზე.[10]

ქართველურ ენობრივ სამყაროსთან კავშირი ნავარაუდებია სხვა ღვთაებათა სახელთა მაგალითებზე.

---

8 რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური. თბილისი, 1985.

9 რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური, თბილისი, 1980, 19.

10 იქვე, 19.

ასეთია სიკვდილის ღმერთი კალუ, ეტრუსკთა და იტალიის სხვა ხალხთა რელიგიის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება. ზოგიერთი თვალსაზრისით, Kal შეიძლება აიხსნას ქართ. – ჭან. ფუძე კალ-ის („დაკლება, კლება") მეშვეობით."

Ani, რომაული Janus, გვიჩვენებს გარკვეულ კავშირს შუმერულ ღვთაება Ani-სთან, მეგრულ ანთართან, ხევსურულ ანატორთან, აფხაზურ ანთართან და სვანურ ანთან. ეს თვალსაზრისი, გამოთქმული აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ, ადასტურებს ქართველურ ტომთა წარმართულ კულტურაში მნიშვნელობას იმ ღვთაებისა, რომლის სახელშიც ფიგურირებს ელემენტი „ან".[12]

ბოლომდე უცნობია ფუნქციები ძველი ეტრუსკული ღვთაებისა, რომლის ეტიმოლოგიაც, ჩვენი აზრით, აგრეთვე უკავშირდება ქართველურ ენობრივ სამყაროს. ესაა ღვთაება Tes, რომელიც ფიგურირებს ზაგრების მუმიის საკრალურ წარწერაში.

ეტრუსკულ ენაში არსებობს ზმნური ფუძე tes- რომლის მნიშვნელობა დადგენილია პირგის ბილინგვის მიხედვით. იგი ითარგმნება როგორც „დამარხვა, მიწაში მოთავსება".

tes-ფუძის მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლებლად მიგვაჩნია დავუკავშიროთ იგი ქართველურ ძირს თეს- („თესვა, მიწაში მოთავსება").

თუკი დავეყრდნობით tes-ფუძის მნიშვნელობას, შეიძლება დავადგინოთ ეტრუსკული ღვთაების ფუნქციებიც. როგორც ჩანს, Tes სიკვდილის ღვთაებაა. ზოგიერთი მოსაზრებით, რომელიც ეყრდნობა ზაგრების მუმიის ტექსტს, Tes შეიცავს მკვდრეთით აღდგომის ელემენტსაც, რითაც თითქოს მოტივირებულია გარდაცვლილთა მუმიფიკაცია. ეს მთლიანად ემთხვევა ეტრუსკული ფუძის – tes („თესვა") მნიშვნელობას.

ჩვენ აღარ შევჩერდებით კონკრეტულ მაგალითებზე. ჩამოვთვლით ყველა ჩვენს მიერ შესწავლილ ტერმინს, რომელთა ეტი-

---

[11] იქვე, 17.

[12] ი. ჯავახიშვილი, ქართველების წარმართობა, თხზულებანი, ტომი I, თბილისი, 1979.

მოლოგია უკავშირდება ქართველურ ენებს. წარმოვადგენთ ამ ტერმინებს სემანტიკური ჯგუფების მიხედვით.

A. სიკვდილი

1) Calu – სიკვდილის ღვთაება (მასზე ზემოთ ვისაუბრეთ);

2) nes' – ცხედარი, მკვდარი – ქართველ. nes't („გარდაცვლილი, მკვდარი") (ნეშტი);

3) spela – საფლავი ქართ. pal-ს pl. („დასაფლავება, დამარხვა") (ფლვა, დაფლული);

4) lupu („კვდომა") – ლპ-ობ-ა;

5) lein – („კვდომა") – საერთო ქართველური ლევ-ა („ლევა, განლევა");

6) tes – („დასაფლავება, დამარხვა"), ქართველური თეს – („თესვა, მიწაში მოთავსება").

B. მნათობები

8) Catha – მზე;

– ისინი უკვე ვახსენეთ

9) tivr – მთვარე;

C. მსხვერპლშეწირვა და სხვა რიტუალური აქტები

10) tar -"მსხვერპლი" საერთოქართველური თრ – /თერ – („თრევა");

11). man -"მოტანა, მიძღვნა" მცნ-/მცენ-(„მიცემა, მიძღვნა");

12). sac – მიძღვნა, მსხვერპლად შეწირვა – საერთოქართველური si-kua (წიკუა) (*s, Ku);

13) trin – საკულტო ქმედება, კულტმსახურება – საერთოქართველური thr -; thver – („დალევა, თრობა");

14) suth – სითხე გამოყენებული კულტმსახურების დროს (საერთო ქართველური s'veth, მეგრ. *sveth; სვან *sveth (წვეთი);

15) sul `-------" ქართ. *svel („სველი");

16) luth – („ქვა"-(სამსხვერპლო) – ქართ. lodi (ლოდი);

17) netsvis — შიგნეულობაზე მკითხავი – საერთოქართველურ დონეზე – ქართ. nezu; ne (პრეფიქსი) zu („დაბადება") (ნეზვი).

D. საკულტო ადგილი

18) herama – წმინდა ადგილი, ტაძარი – საერთოქართველური chr – („ხრვა, გათხრა") (ხვრელი);

19) ac — აგება, აშენება (საკულტო ნაგებობების) – საერთო ქართველური *g („აგება, გება").

ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითების გათვალისწინებით, სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. ქართველურ ელემენტს მნიშვნელოვანი წილი აქვს ეტრუსკული ენის არა მარტო რელიგიურ სფეროში, არამედ სხვა სემანტიკურ ჯგუფებში.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, რამდენიმე ეტრუსკული საკულტო ტერმინი შეიძლება აიხსნას უმბრული და სხვა ენების მიხედვით. ასეთ მაგალითთა მცირერიცხოვნების გამო ცალკე ქვეჯგუფის შექმნისაგან თავი შევიკავეთ.

ამგვარად, ჩვენ მიერ შესწავლილი ტერმინები საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ საკითხის კვლევის თანამედროვე სურათი.

აღმოსავლური და დასავლური ელემენტები ეტრუსკულ საკულტო ტერმინოლოგიაში სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე დასტურდება. ასე მაგალითად, ქართველურ ენათა მაგალითები ჩანს ყველაზე არქაულ პლასტებში ეტრუსკული რელიგიისა, ხოლო ბერძნული და ლათინური ელემენტები – უფრო გვიანდელში.

ამ საკითხის შესწავლის ენობრივი კავშირები ცხადყოფენ, რომ ეტრუსკთა მნიშვნელობა სცილდება წინაიტალიურ ისტორიას და აპენინის ნახევარკუნძულის გეოგრაფიულ არეალს. ამით ნათელი ეფინება კულტურულ და ენობრივ კავშირებს ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხებს შორის იტალიიდან მცირე აზიამდე და ვიდრე კავკასიამდე.

რაც მთავარია, საკულტო ტერმინოლოგიის ანალიზის მეშვეობით, რომელიც აღადგენს ეტრუსკთა კულტურის მთელ მოდელსაც, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლური და დასავლური ელემენტები არ წარმოადგენს მათ მექანიკურად შეერთების

უბრალო ნაყოფს, არამედ ისინი ეტრუსკული ცივილიზაციის როგორც სისტემის ორგანულ ნაწილს განასახიერებენ.

EASTERN AND WESTERN ELEMENTS IN ETRUSCAN RELIGION (LINGUISTIC ANALYSIS)

The matter of the origin of Etruscan culture has been generating interest since ancient times. The ancient Greeks, who have always been clearly drawing a demarkation between the Western and Eastern civilizations, expressed non-uniform and mutually exclusive in the matter of the origin of Etruscans.

This argument in Etruscology has been going on since the times of Herodotus, Dionisus from Hallicarnassus and Helanik from Lesboss. Today we are witnessing the coexistence of the versions concerning the Etruscan culture's autokhtonic, Lydian (Asia Minor), North European, Proto-Khetian and lastly Caucasian origins.

For the study of this problem, in our opinion, of utmost importance for drawing conclusions will be to thoroughly study the language. In the Etruscan language, which is noteworthy for its innovations and conservatism at the same time, all the cultures that have influenced formation of Etruscan culture are reflected.

The majority of Etruscan engravings, which have come down to us are of sacral type – and deal with religions sphere. The identification of Etruscan culture and religion, is possible only through study of cult terminology semantics and genesis. We've studied more than a hundred Etruscan terms, that have to do with religion and cult. These are the words, which denote cult buildings, temples, graveyards, cult items, sacrifice, construction of cult buildings and the names of gods and deities.

We have taken into account all hypotheses, which have been provided by Etruscologists concerning these words. We have also provided our own etymologies for a number of words.

As a result of mastering the data, the languages, which the scientists associate with the origin of Etruscan cult terms, have been sin-

gled out: (or clearly defined) Greek, Latin, Anatolian (in the wider understanding of the word) and "Kartvelian". On the basis of a certain analysis, it turned out, that each of these linguistic universes differs in meaning in the matters of formation of Etruscan cult terminology, religion and, generally, the language. Each of these languages influence can be viewed in terms of and linked with the different chronological plasts of the Etruscan language. In spite of the historical and territorial closeness, the influence of the Latin religion does not surpass the sphere of lexical borrowings; the Greek element represents the so called "appendix" in the already existing system of Etruscan religion, and the Georgian elements can be detected in the most archaic layers of Etruscan cult terminology.

The linguistic links while studying this issue prove that the importance of Etruscans (Etrurians) surpasses pre-Italian history as well as the geographic area of Apenine peninsula. This makes clear cultural and linguistic links among the peoples of Mediterranean, from Italy to Asia Minor and Caucasus.

What's more important, by means of cult terminology analysis, which recreates the whole model of Etruscan culture, we can conclude, that the Western and Eastern elements do not represent the product of their mechanical linkage, but that they are an organic part of Etruscan Civilization as a system.

ბერძნულ-ეტრუსკული ურთიერთობანი მითოლოგიის სფეროში

ძველი სამყაროს ცივილიზაციათა კვლევა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე განსაკუთრებული ინტესიურობით წარიმართა იმ მნიშვნელოვანი აღმოჩენების წყალობით, რომლებიც არქეოლოგიის, ლინგვისტიკის, ხელოვნების ისტორიისა და კულტურის სხვა სფეროებში განხორციელდა.

ეს სიახლეები შეეხო როგორც ისეთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უკვე „აღმოჩენილ", ტრადიციულად შესწავლილ ფენომენს, როგორიცაა ბერძნული კულტურა, ისე ნაკლებად გამოკვლეულ, ნაწილობრივ საიდუმლოებებით და დაუდგენელი ფაქტებით წარმოდგენილ მემკვიდრეობას როგორიცაა,მაგალითად, ეტრუსკული ცივილიზაცია.

საგულისხმოა, რომ ამ აღმოჩენების წყალობით ბევრი რამ შეიცვალა არა მხოლოდ თავისთავად კულტურათა კვლევის, არამედ ამ კულტურათა ურთიერთობების შესწავლის საკითხშიც.

როგორც ცნობილია, საუკუნეთა მანძილზე ანტიკური სამყაროს განვითარების ნორმატიულ, ერთადერთ სწორ მიმართულებად, ე.წ. „ჰარმონიულ გზად" ბერძნების მიერ შემოთავაზებული კულტურის მოდელი აღიქმებოდა. ყოველივე „გადახრა" არსებული ნორმებიდან კულტურის დაბალი დონითა და განუვითარებლობით აიხსნებოდა.

ამ მიზეზის გამო ეტრუსკული კულტურა, რომელიც ძვ.წ. მე-8– ახ.წ. I საუკუნეებში აპენინის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში, ანუ ტერიტორიულად ანტიკური კულტურის გავრცელების არეალში ვითარდებოდა საუკუნეთა განმავლობაში ითვლებოდა ბერძნულ-რომაულის პროვინციულ ვარიანტად, მის რამდენადმე ანომალიურ სახესხვაობად, კლასიკური საბერძნეთის კულტურის პრინციპების დეფორმაციის ნიმუშად.

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნის მიწურულსა და, უმეტესწილად, მე-20 საუკუნეში ხელოვნება ექსპერიმენტების სულმა მოიცვა და მრავალმა თანამედროვე მიმართულებამ კარგად წარმოაჩინა, რომ ე.წ. ბერძნულ მოდელს ბევრი ალტერნატივა

შეიძლება გააჩნდეს, შეიქმნა ე.წ. „ეტრუსკული ანომალიების“ ინტერპრეტაციის სხვა საფუძველი. ამგვარად, მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეტრუსკებს მიუხედავად მათი ორგანული კავშირისა ანტიკურ სამყაროსთან, შეუქმნიათ მრავალი თვალსაზრისით ორიგინალური და თვითმყოფადი კულტურა, რომელიც თავისი პრინციპებით განსხვავებულია ბერძნულისაგან.

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ არცერთი სფერო ეტრუსკული და ბერძნული კულტურებისა არ გვაძლევს ისეთ ამომწურავ ინფორმაციას ამ ორი ცივილიზაციის ურთიერთობებზე, როგორც მითოლოგია.

ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ეტრუსკული მემკვიდრეობის კვლევის თავისებურებებში ძევს – როგორც ცნობილია, ეტრუსკულმა ცივილიზაციამ ჩვენამდე ძირითადად რელიგიურ-საკულტო შინაარსის წარწერების, სამარხთა მხატვრობის, საკულტო ნივთების წყალობით მოაღწია. ამასთან ერთად, როგორც ცნობილია, ძველი ხალხის სულიერი ცხოვრების არცერთი მხარე არ აღადგენს ისეთ სრულ სურათს მისი კულტურის წარმოშობის შესახებ, როგორც რელიგია და მითოლოგია.

ბერძნულ-ეტრუსკული ურთიერთობების კვლევა, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ეტრუსკოლოგიური თვალსაზრისით – ეტრუსკული მითოლოგიის შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი ანტიკურ სხვა რელიგიურ სისტემებთან მიმართების პრობლემას.

საჭიროა დადგინდეს რამდენად მნიშვნელოვანია ეს ე.წ. „ანტიკური“ – ბერძნული სისტემის როლი ეტრუსკული რელიგიური მსოფლხედვის ჩამოყალიბებაში – არის ეს ელემენტი ფუნდამენტური მნიშვნელობისა ეტრუსკული რელიგიისათვის, თუ იგი შეიძლება აღვიქვათ „ნასესხობად“.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეტრუსკულ რელიგიურ წარმოდგენებში, ისევე როგორც ეს გვაქვს ბერძნულის შემთხვევაში, ერთობ მჭიდროდ არის ურთიერთგადაჯაჭვული საკუთრივ რელიგიური და მითოლოგიური ასპექტები.

თუკი ბერძნული ტრადიციების შემთხვევაში, მასალის დიდი მოცულობის წყალობით, ჩვენ მეტ-ნაკლებად ვახერხებთ რიტუ-

ალის, რელიგიისა და მითის ურთიერთგამიჯვნას, რაც შეეხება ეტრუსკულ ტრადიციას, აქ, სამწუხაროდ, ჩვენთვის ყოველთვის ნათელი არ არის ესა თუ ის კულტი, სახელი ამა თუ იმ კონტექსტში უნდა აღვიქვათ რელიგიურად თუ მითოლოგიურად.

იმ მასალის მიხედვით, რასაც დღეს ვფლობთ, ეტრუსკული მითოლოგიური წარმოდგენები რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროდ შეიძლება დაიყოს:

კოსმოგონიური და ასტრალური წარმოდგენები;

ადამიანი და ადამიანის სული;

სიკვდილი და იმქვეყნიური ცხოვრება;

ეტრუსკული პანთეონი.

წინასწარმეტყველება;

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეტრუსკული კოსმოგონიურ და წარმოდგენებში ბერძნული მითოლოგიური კონცეფცია სამყაროს შესახებ არაა ასახული. სამაგიეროდ, ერთ საინტერესო თანხვედრას ვხვდებით ეტრუსკთა და ბერძენთა შეხედულებებში ადამიანის ცხოვრების პერიოდებად დაყოფის შესახებ.

ეტრუსკთა წარმოდგენებით, ადამიანის სიცოცხლე, როგორც ამას რომაული წყაროები გადმოგვცემენ,[13] დაყოფილი იყო 12 შვიდწლეულად (ე.წ. ჰებდომადებად). პირველი 10 შვიდწლეული საცხოვრებლად საამოდ იყო მიჩნეული, ხოლო ბოლო 2 შვიდწლეულში ადამიანს ჭკუა-გონება ეკარგებოდა და მეშვიდე შვიდწლეულის ბოლოს იგი წყდებოდა კოსმიურ წესრიგს.

ადამიანის ცხოვრების შვიდწლეულებად დაყოფის ტრადიცია ბერძნულ სინამდვილეში სოლონიდან არის ცნობილი.[14] სოლონი ერთ-ერთ ელეგიაში გადმოგვცემს:

„ბიჭუნა ჯერ კიდევ მოუმწიფებელი და გულუბრყვილო, ამოსულ კბილთა რიგს იცვლის პირველ შვიდწლეულში, თუკი მეორე შვიდი წელიც გაასრულებინა ღმერთმა, ჩნდება ნიშნები აღმავალი სიჭაბუკის. მესამე შვიდწლეულში ეზრდება კიდურები და ნიკაპი

---

[13] Censorinus, De Die Natali Liber, Bibliotheca Teubneriana, 1993, XIV,15; XI.6;

[14] Iambi et Elegi Graeci ante Alexandrun cantati, Oxonii, 1972, ed. M.L.West.

ღინღლით ეფარება, ეცვლება კანის ფერი. მეოთხე შვიდწლეულში ყველა აღივსება უდიდესი ძალით, რომლითაც კაცთ შეუძლიათ სიქველის მიღწევა. მეხუთეში დროა კაცმა იფიქროს ქორწინებაზე და იყოლიოს შვილები, გვარის გამგრძელებელნი – მეექვსეში ყველაზე მეტად ყალიბდება კაცის გონება და მას აღარ სურს განუხორციელებელ საქმეებთან შეჭიდება, მეშვიდე შვიდწლეულში გონება და ენა საუკეთესოა, მასთან მერვეშიც – სულ თოთხმეტ წელიწადს. მეცხრე შვიდწლეულშიც აქვს ძალა, თუმცა უფრო მოდუნებულია, დიდ სიქველეთა მისაღწევად მისი ენა და სიბრძნეც. თუ ვინმე გაასრულებს, ვითარცა „ეგების, მეათე შვიდწლეულს, აღარ იქნება უდროო სიკვდილის ხვედრის მივლინება". (იხ. რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, 1988, გვ. 188).

ამგვარად, სოლონიც მიიჩნევს, რომ პრაქტიკულად ათი შვიდწლეულის გასრულების შემდეგ ადამიანის ცხოვრებას აზრი აკლდება და მისთვის ამოსავალი კრიტერიუმი სწორედ ის არის, რომ ადამიანმა უნდა იცოცხლოს მანამ, სანამ აზროვნების უნარი ექნება.

კლასიკურ ფილოლოგიაში არ არის გარკვეული, თუ ვინ იყო ამ შემთხვევაში სოლონის წყარო და რამდენად ორიგინალურია მისი შეხედულებანი. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ეტრუსკულ ტრადიციაში თითოეულ შვიდწლეულს რა ფუნქცია ეკისრებოდა, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ეტრუსკული სქემის მიხედვით, აქ საუბარი იქნებოდა ადამიანის აქტიურ ცხოვრებაზე, რომლის უნარიც ბოლო ორ ჰებდომადაში დაკარგული აქვს.

ძნელია ვივარაუდოთ, რომ ეტრუსკებმა სოლონისგან გადაილეს ეს კონცეფცია, უფრო დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ეტრუსკულმა ტრადიციამ სოლონზე მოახდინა გავლენა ან იტალიაში მცხოვრები ბერძნების გზით ან თავად სოლონი გაეცნო ამ შეხედულებებს მრავალრიცხოვანი მოგზაურობების დროს, თუმცა, ცხადია, არც ისაა გამორიცხული, რომ ორივე მათგანისათვის რაღაც დღეისათვის უცნობი, მესამე წყარო იყოს ამოსავალი.[15]

---

[15] ამასთან დაკავშირებით იხ. ე. კობახიძე, ეტრუსკული საკულტო ტერმინოლოგია (სემანტიკა, გენეზისი), თბილისი, 2001; 24-26.

უფრო მეტ მასალას გვაძლევს ჩვენს საკითხთან დაკავშირებით ეტრუსკული წარმოდგენების ის სფერო, რომელიც სიკვდილსა და იმქვეყნიურ ცხოვრებას უკავშირდება, რადგან ეტრუსკული კულტურის შესახებ ჩვენი ეპიგრაფიული თუ არქეოლოგიური ინფორმაციის უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია გარდაცვლილთა სამეფოსთან.

ეტრუსკების სამარხთა კედლის მხატვრობა და პლასტიკა[16] ასახავს გარდაცვლილთა მოგზაურობას ჰადესისაკენ და იმქვეყნიურ სამყაროს. ამ სფეროში წარმოდგენილია ბერძნული მითოლოგიის არა მხოლოდ პერსონაჟები, არამედ სიუჟეტებიც.

ჩვენ აქ დაწვრილებით არ განვიხილავთ ეტრუსკთა წარმოდგენებს სიკვდილსა და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, მხოლოდ იმ მომენტებზე შევაჩერებთ ყურადღებას, რომელიც ბერძნულ მითოლოგიას უკავშირდება.

სიკვდილი ადამიანს, ეტრუსკული რწმენით, ორი დემონის – ტუხულხასა და ხარუნის სახით ეწვევა. როგორც ვხედავთ, ხარუნი აშკარა კავშირს გვიჩვენებს ბერძნულ ქარონთან – მიწისქვეშა მდინარე აქერონტზე სულების გადამყვანთან. ქარონისა და ხარუნის შედარებისათვის, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ორი ასპექტის: ლინგვისტურის და ფუნქციონალურის გათვალისწინება.

თავად ტერმინი აშკარა მიმართებას გვიჩვენებს ბერძნულ ქარონთან და მათ შორის ენობრივი შესაბამისობა სრულიად უეჭველია. ეტრუსკოლოგთა შორის გავრცელებული საყოველთაო აზრით, ეტრუსკული ღვთაების სახელი ბერძნული წარმოშობისაა. რაც შეეხება ეტრუსკული ხარუნის ფუნქციებს, ვფიქრობთ, ბერძნულ ქარონსა და ეტრუსკულ ხარუნს შორის მსგავსება არსებითად ამოიწურება იმით, რომ ორივე დაკავშირებულია სულების საიქიოში გადაყვანასთან. რაც შეეხება სხვა მომენტებს, აქ აშკარა განსხვავებასთან გვაქვს საქმე. ხარუნი, მიწისქვეშეთის მრისხანე დემონი,[17] ხშირადაა გამოსახული ფრინ-

---

[16] Brendel, O. J., Etruscan art., ed. E. H. Richardson, Harmondsworth. 1978; Philip von Zabern, Malerei der Etrusker, Meinz am Rhein. 1987.

[17] F. De Ruit. Charun. Démon étrusque de la mort. Paris. 1934.

ველის ნისკატით და ცხოველური თვალებით. მას ხელთ უპყრია ჩაქუჩი, რითაც იგი სიცოცხლეს ასალმებს მსხვერპლს.[18] უნდა ითქვას, რომ იგი ხშირად ფიგურირებს ბერძნული მითოლოგიური სიუჟეტებით შემკულ კერამიკასა და კედლის მხატვრობაში – მაგ. პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ერთ-ერთ კრატერზე ვულჩიდან ხარუნი ალკესტისის და ადმეტოსის გვერდითაა გამოსახული, რითაც იგი მიანიშნებს მოახლოებულ სიკვდილზე.

ამგვარად, განსხვავებით ბერძნული ქარონისაგან, ეტრუსკული ხარუნი იყო ძირითადი ფიგურა ადამიანის სიკვდილის პროცესში.

იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ სახელი ბერძნულიდანაა ნასესხები, როგორც ჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მოერგო ეტრუსკთა რომელიღაც ღვთაებას და გამოდევნა მისი ტრადიციული სახელი, თუმცა, ეტრუსკულმა ტრადიციამ შემოინახა ეტრუსკული ღვთაების გარეგნობა და ატრიბუტები.

საინტერესოა, რომ ეტრუსკული ხარუნის ეს ნიშნები მოგვიანებით გარკვეულწილად ბერძნულ ქარონს დაუკავშირდა. თუმცა ეს მხოლოდ ეტრუსკთა ისტორიულ ტერიტორიაზე განხორციელდა, მაგრამ ეს ფაქტი ჩვენ ძალზე საინტერესოდ მიგვაჩნია.

აქ იგულისხმება ვერგილიუსის „ენეიდას" ქარონი – Portitor has horrendus acquas et flumina sevat (Aen, V, 299) და დანტეს ქარონი:

Caron dimonio, con ochi di bragia
loro accennando, tutti li racoglie,
battle col remo qualunque s'adagia,[19]

რომელთა პოეტური ხატი უფრო ახლოს დგას ეტრუსკულ ხარუნთან. განსაკუთრებით, დანტეს ქარონი, რომელიც მანათობელი თვალებით ნიჩაბს ურტყამს (შდრ. ხარუნის ჩაქუჩი) ყველა

---

[18] Tomba dell' Orco. ერთ-ერთი კრატერი ვულჩიდან (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის კოლექციიდან).

[19] Dante, A., La Mdivina Commedia, Inferno, canto III (109-111), a cura di Daniele Mattalia, Milano, 1960.

ურჩს. ტოსკანელი პოეტები, ცხადია, იცნობდნენ ეტრურიის ტერიტორიაზე გავრცელებულ ხალხურ მითოლოგიას და ხშირად იყენებდნენ კიდეც მას თავიანთ ნაწარმოებებში.

საყურადღებოა, რომ თანამედროვე ბერძნულ ენაში ფუძე χάρος, χάροντας „სიკვდილს" აღნიშნავს.

ამრიგად, ატრუსკული ხარუნი, თავისი არსით ძალზედ განსხვავდება ბერძნული ქარონისაგან და მიუხედავად საერთო წარმომავლობისა, ვერ ჩაითვლება ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟად.

სხვაგვარად გვაქვს საქმე მიწისქვეშეთის სხვა ღვთაებებთან დაკავშირებით, რომლებიც ასევე სახელთა ეტიმოლოგიის დონეზე ავლენენ კავშირს ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟებთან. ესენი არიან: აიტა და ფერსეპნეი (Aita, Phersepnei).

აიტა და ფერსეპნეი შეესატყვისება ბერძნულ ჰადესსა და პერსეფონეს. ბერძნული რელიგიის ეს განუშორებელი წყვილი ასევე განუშორებლად გვევლინება ეტრუსკებთანაც – მიწისქვეშეთში მოხვედრილი სული, როგორც ამაზე სამარხის მხატვრობის ნიმუშები მეტყველებს, ესწრება ნადიმს, რომელზეც საიქიოს მბრძანებელ აიტსა და მის მეუღლე ფერსეპნეის ვხედავთ.[20]

დღეს არავითარ ეჭვს არ იწვევს ეტრუსკების მიერ ამ ღვთაებების საბერძნეთიდან შეთვისების ფაქტი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს, როგორც ჩანს, ადრეულ ეტაპზე განხორციელდა – აიტა და ფერსეპნეი საგრძნობლად არიან „ეტრუსკიზირებულნი" – აიტა ფრესკებზე ატარებს მგლის ნიღაბს და ხელთ გველი უპყრია. ფერსეპნეისაც გველიანი თმები აქვს, რაც მას სიკვდილის სხვა დემონებს ამსგავსებს.

(ჰადესისა და გველის შესახებ შეიძლება დამატებით ის ითქვას, რომ ბერძნულ მითოლოგიაში ჰადესის ატრიბუტი იყო ორკაპა კვერთხი, რომელიც, შესაძლოა, გველის, ამ ხთონური არსების, ორკაპა ენასთან იყოს დაკავშირებული).

---

[20] Tomba del'Orco, CLF 5364 f aita – phersepnei, IV, Tarquinia.
Tomba Gollini CIE, 5090 f eita- phersepnei;III, Orvieto.

რაც შეეხება თავად ბერძნული ჰადესისა და ფერსეპნეის ადგილს ბერძნულ რელიგიაში და მათ წარმომავლობას, ამაზე საკმაოდ დიდია აზრთა სხვადასხვაობა, რაც თავს იჩენს უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში.[21]

აიტსა და ფერსიპნეის შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეული მასალის მიხედვით, მათი კულტის არსებობა ეტრურიაში დადასტურებული არაა. მათი სახელები არც პიაჩენცაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ღვიძლის მოდელზე არ ჩანს.[22]

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ეტრუსკულ სინამდვილეში ბერძნული ჰადესისა და მისი მეუღლის, პერსეფონეს გარკვეულ წილად „ეტრუსკიზაცია" განხორციელდა, რამაც არსებითად მხოლოდ ორნამენტულ-დეკორატიულ დონეზე იჩინა თავი, ეტრუსკულ პანთეონში მყარი ადგილი მაინც ვერ დაიმკვიდრეს, რადგან სიკვდილის მთავარი ღმერთის ადგილი უკვე „დაკავებული" იყო ისეთი ღვთაებების მიერ, როგორიცაა მაგ., კალუ და მანტუსი, რომელთა შესახებ ჩვენ ამჯერად არ ვიმსჯელებთ, რადგან ეს ჩვენი მოხსენების თემატიკას სცილდება.

ბერძნული მითოლოგიის ამსახველ სიუჟეტებში ხშირად ფიგურირებს კიდევ ერთი ეტრუსკული ღვთაება – ვანთ, რომელიც სიკვდილს მოასწავებს. იგი ფრთებიან, ჩირაღდნიან შიშველ ქალად აქვთ გამოსახული სარკოფაგებზე, კრატერებზე, სარკეებსა და ურნებზე. ვანთ ეტრუსკულ ხელოვნებაში ტროას ციკლთან დაკავშირებულ თქმულებების „საყვარელი პერსონაჟია". ერთ-ერთ სარკეზე იგი ახლა/აქილევსის, ევას/აიაქსის, ტრუილე/ტროილოსის და ეხთურის/ჰექტორის გამოსახულებებთან ერთად ჩანს.[23] სხვაგან ეტეოკლესა და პოლინიკეს ორთაბრძოლის მოწმეა.[24]

---

[21] W. Burkert, Griechische Religion der archaischn und klassischen epoch, Stuttgart. 1977, 302-306.

[22] A. Maggiani, Qualche osservazione sul fegato di Piacenza, SE' vol I, MLHLXXXII, serie III.

[23] E. Gerhard, G. Körte, Etruskische Spiegel, I-V, Berlin, 1884-1897, V; 110.

[24] Hasti Afunei-ს სარკოფაგი კიუზიდან. ურნები-34,3; X C IV, 5;2, XXVI,6.

მიუხედავად იმ პარალელებისა, რაც ვანთს ბერძნულ ფურიებთან აახლოებს,[25] გასათვალისწინებელია თვითონ სიტყვის ეტიმოლოგია, რომელზეც მრავალი თვალსაზრისია გამოთქმული. მაგალითად, კ. კლემენი ვანთს მცირეაზიულ ხეთურ ღთაება Vandus-ს უკავშირებს, რომელიც გარკვეულ კავშირს გვიჩვენებს აფროდიტესთან,[26] სხვანი მას ქარის პერსონიფიცირებად თვლიან და მას ხეთურ hwant-ს, ლათ. ventus-ს და გერმანულ Wind-ს უკავშრებენ.[27]

საბოლოოდ, შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ეს ტერმინი ჩამოყალიბდა ეტრუსკულ ენობრივ სამყაროში (შდრ. Amin-nth- ეტრუსკული გენია, M-unth-u-ch ერთ-ერთი ლასა) და ალბათ, არ მოეპოვება პარალელები ჩვენთვის ცნობილ არც ერთ სხვა მითოლოგიაში, მითუმეტეს ბერძნულში.

ეტრუსკულ მითოლოგიურ წარმოდგენებზე მსჯელობა, ცხადია, შეუძლებელია ეტრუსკული პანთეონის შესწავლის გარეშე. ჩვენს მიზანს არ შეადგენს წარმოვადგინოთ ამ პანთეონის სრული მიმოხილვა. ჩვენ მხოლოდ იმ ღმერთებზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას, რომლებიც უკავშირდებიან ბერძულ მითოლოგიას.

ამ პრინციპზე დაყრდნობით ჩვენ გთავაზობთ ეტრუსკულ სამყაროში ცნობილი ბერძნული ღვთაებების შემდეგ კლასიფიკაციას:

1. ღმერთები და გმირები, რომლებმაც ეტრუსკულ ნიადაგზე შეინარჩუნეს როგორც ფორმა ისე შინაარსი;

2.ღმერთები და გმირები, რომლებიც ლინგვისტურად ბერძნულია, ხოლო შინაარსით – ეტრუსკული;

3. ღმერთები და გმირები, რომელთა სახელი ეტრუსკულია, შინაარსი – ბერძნული.

---

[25] A. J. Pfiffig, Religio Etrusca Graz, 1975; 330[a].

[26] O.W. Vacavo, Vanth-Aphrodite,Ein Beitrag zur Klärung etrusckischer Jensentsvorstellungen, Festschr. A. Grenier, Paris, 1931.

[27] L. Luschi, Cacu, Fauno E venti, S. E vol L VII, MCML XXXI. Serie III. 1991, II, 122.

პირველ ჯგუფში ჩვენ გავაერთიანეთ ეტრუსკთა სამყაროში ცნობილი ის ბერძნული ღვთაებები და გმირები, რომლებიც სრულ სემანტიკურ თანხვედრას გვიჩვენებენ თავიანთ ბერძნულ პროტოტიპებთან და მათ მხოლოდ მცირედ „ეტრუსკიზირებული" სახელები განსახვავებთ ელინთა მითოლოგიური პერსონაჟებისაგან. ესენია: Achelae (ბერძნ. Αχελῶος)) Achrum (Αχέρων, οντος), Aplu ('Απόλλων), Aritimi ('Αρτεμις), Atunis ('Αδωνις), Castur (Κάστωρ), Pacha (Βάκχος), Phersepnei (Περσεφόνη), Purcius (Φόρκυς) და მრ. სხვა.

ყველა ეს პერსონაჟი ფიგურირებს მხოლოდ ხელოვნების ნიმუშებში, მათ კულტმსახურების ობიექტად ეტრუსკული რელიგია არ გაიაზრებს.

მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ ის ბერძნული ღმერთები, რომელთაც მხოლოდ სახელი აქვთ ბერძნული, ხოლო სემანტიკა – მთლიანად ეტრუსკული.

ეტრუსკთა მითოლოგიური წარმოდგენების შესახებ მსჯელობისას, ჩვენ შედარებით დაწვრილებით განვიხილეთ ერთ-ერთი ასეთი ღვთაება – Charun, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ სახელის დონეზე შეიძლება დავუკავშიროთ ბერძნულ χάρων-ს.

ამ ჯგუფის ღვთაებათაგან კიდევ ერთზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

ეტრუსკული ხელოვნების ნიმუშებზე ხშირად ფიგურირებს Hercle, რომელიც ბერძნულ ჰერაკლეს ადგილობრივ ვარიანტს წარმოადგენს.

ჰერკლე ბერძნული მითოლოგიის ცნობილ და ჰერაკლესთან დაკავშირებულ მრავალ სიუჟეტში მონაწილეობს – იგი ებრძვის ნემეურ ჰიდრას, ლომს, პითონებს და აქელოოსს. თითქოს ყველაფერი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ჰერკლე შეიძლება ჩვენი კლასიფიკაციით მივაკუთნოთ ღვთაებათა და გმირთა პირველ ჯგუფს, რომ არა შემდეგი გარემოებანი:

პოპულონიაში ნაპოვნ ერთ-ერთ სარკეზე ეტრუსკული ჰერკლე, ზრდასრული, წვეროსანი ვაუკაცი, უნის-ტინიას, ეტრუსკე-

ბის უზენაესი, ცის ღვთაების, მეუღლეს – ძუძუს სწოვს. გამოსახულებას ახლავს ტექსტი, რომელიც გვამცნობს, რომ ჰერკლე არის უნის ვაჟი – unial clan[28](უნიალ კლან).

ბერძნული მითოლოგიისათვის ეს სიუჟეტი უცნობია. თუმცა, ცნობილია ჰერას და ჰერაკლესთან დაკავშირებული ერთი სიუჟეტი, რომელიც გარკვეულწილად ეხმიანება ეტრსუკულ სარკეზე დაცულ ამ ვარიანტს. ეს მითი დიოდორის სიცილიელთან და პავსანიასთან გვხვდება, სადაც მოთხრობილია შემდეგი: ალკმენე, შეშინებული ჰერას ეჭვიანობით, ახალშობილ ჰერაკლეს თებეს კედლების მიღმა მინდორში ტოვებს. აქ, ზევსის დარიგებით, ათენა ჰერას უხმობს სასეირნოდ. სიბრძნის ქალღმერთი ჰერას დედის მიერ მიტოვებულ, ატირებულ და მშიერ ჩვილს შეაბრალებს და მას ბავშვის დაპურებას სთხოვს. ჰერამ ჰერაკლეს ძუძუ მოაწოვა, მაგრამ ჰერაკლე ჰერას ისე ძლიერად წაეტანა, რომ ტკივილისგან გამწარებულმა ჰერამ იგი მოისროლა. ჰერამ, რაკი ჰერაკლე თავისი რძით გამოკვება, უკვდავება მიანიჭა მას, ხოლო დაღვრილი რძე, როგორც მითი გვიამბობს, ცის კანკლედად გარდაისახა.[29]

მსგავსების მიუხედავად, ეტრუსკულ და ბერძნულ სიუჟეტს შორის საგრძნობ განსხვავებას ქმნის, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ეტრუსკული ჰერაკლე წვეროსანია და არა ჩვილი, როგორც ეს ბერძნულ მითშია გადმოცემული. გარდა ამისა, არც ერთ ბერძნულ მითში ჰერაკლე ჰერას შვილად ან შვილობილად სახელდებული არაა;

ჰერაკლე ეტრუსკულ მითოლოგიაში ძალზე მნიშვნელოვანი პერსონაჟია. იგი ეტრუსკთა მოდგმის დამფუძნებლადაა მიჩნეული;[30]

ჰერაკლე ეტრურიაში კულტმსახურების ობიექტი იყო, რადგან მისი სახელი პიაჩენცაში ნაპოვნ სამკითხაო ღვიძლის მოდელზე

---

[28] M. Pallottino.,Testimonia Linguae Etrusca, Firenze, 1968.
[29] Diodorus Siculus, Bibliothecae Historicae, IV;
Pausania, Descriptio Graeciae, IX, 25.2.
[30] Мифологический – словарь 1990, гл. редактор Е. М. Мелетинский

დასტურდება (მარჯვენა, კეთილისმომასწავებელ მხარეს №29 სეგმენტში).[31]

ჰერაკლეს „მეზობლად" ღვიძლის მოდელზე ცის ღვთაებებია განლაგებული – Cath (მზის ღვთაება) და Letha (ციური ღმერთი). ეს გვავარაუდებინებს, რომ ჰერაკლეც ეტრუსკულ პანთეონში რომელიღაც ციურ ღვთაებას აღნიშნავდა.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ეტრუსკული ჰერკლე, მიუხედავად ბერძნული ჰერაკლესაგან სახელის სესხებისა (ეს ფაქტი ბერძნული მითოლოგიის ეტრურიაში ხელოვნების ნიმუშთა მეშვეობით პოპულარობის გაძლიერებით უნდა აიხსნას), სინამდვილეში უნდა იყოს რომელიღაც ციური ღმერთი, რომელიც ამავე დროს უნის ან სხვა ღმერთქალის შვილს ან შვილობილს წარმოადგენდა.

მესამე ქვეჯგუფში, როგორც აღვნიშნეთ, გავაერთიანეთ ის ბერძნული ღვთაებები და გმირები, რომლებიც შეიძლება ვიგულისხმოთ ეტრუსკული სახელწოდებების მიღმა, როგორც გარეგნული მსგავსებით, ისე სემანტიკურად. ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ იმას, რომ ხშირად ეს ეტრუსკული ღვთაებები ენაცვლებიან ბერძნულს ხელოვნების ნიმუშებით „გაცოცხლებულ" მითოლოგიურ სიუჟეტებში.

ამ ღმერთებიდან გამოვარჩევდით სეთლანს, ლარანს და ტურანს.

სეთლანსის, ჰეფესტო – ვულკანუსის მსგავსად, ატრიბუტიკაა გრდემლი, სამჭედლო მაშები და ცეცხლი, როგორც ეს მრავალრიცხოვან პოპულონიურ მონეტებზე წარმოგვიდგება.[32]

ერთი შეხედვით, ჩვენს წინაშეა ბერძნული ღვთაების ფუნქციებზე ეტრუსკული სახელწოდების უბრალო მორგება, მაგრამ, ამასთან ერთად, ნაკლებადაა ნათელი, რამ შეუშალა ხელი ჰეფესტოს სახელის პირდაპირი სახით კოპირებას, როგორც ეს აპოლონის, არტემისის, ჰადესისა და სხვათა შემთხვევაში განხორციელ-

---

[31] A. Maggiani, Qualche osservazione sul fegato di Piacenza, S.E. vol I, MCMLXXXII, serie III

[32] A. Fürtwängler, G. Die Antiken Gemmen, I-II, B., 1900

და. ნაკლებადაა სარწმუნო, რომ ჰეფესტოს კულტის შემოტანა ეტრუსკულ რელიგიაში სხვა გზით მომხდარიყოს ან სახელთა სესხების დონეზე ამგვარად ეცვალა სახე.

საფიქრებელია, რომ ეტრუსკულ სინამდვილეში იკონოგრაფიული ჰეფესტოს „იმპორტირების" დროისათვის უკვე არსებობდა ბერძნული ღვთაების შესაბამისი მჭედლობის ღმერთი, რომლის ფუნქციები დროთა განმავლობაში შეეზარდა ჰეფესტოსაც.

იკონოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერთა ერთი ნაწილი ომის ღმერთად ლარანს მიიჩნევს.[33] ლარანი არა მხოლოდ გარეგნობით ჰგავს არესს. ბერძნულ მითოლოგიური სიუჟეტებით დამშვენებულ სარკეზე პოპულონიიდან იგი თითქმის ყოველთვის ენაცვლება არესს.[34] ერთ-ერთ სარკეზე სეთლანსი – ჰეფესტო იარაღს უჭედს მას. ერთგან იგი მენრვა – მინერვას დაბადებას ესწრება, სხვაგან – ტურანთან ერთად ელინეიის (ელენეს) და ლარშანტრეს (ალექსანდრე – პარისის) გვერდითაა გამოსახული.[35]

ამრიგად, ლარანი ფუნქციურად არესს ენაცვლება, თუმცა, აქაც ბოლომდე ძნელია დავასკვნათ, რამდენად ანალოგიური იყო მათი ფუნქციები. რაც შეეხება ტერმინს – იგი უნდა აიხსნას ეტრუსკულ ნიადაგზე lar-ფუძის და an მაწარმოებელი სუფიქსით. lar-ფუძე, Pfiffig-ის აზრით,[36] აღნიშნავს „ძლიერს, გონიერს, მყარს". (ჩვენ თავის მხრივ, სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია დავუშვათ, რომ laran ბერძნ. ares-იდან მიმდინარეობდეს, როგორც ეს მაგალითად ეტრ. ლაშანტრე<ბერძნ. ალექსანდრე).

საყურადღებოა, რომ ეს ფუძე lar ფიგურირებს მრავალ ბერძნულ სახელში, მათ შორის, ცნობილ Larissa-ში. დღეს დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ იგი ორგანულად უკავშირდება პელასგურ სამყაროს (დისკუსიის და ლარ-ფუძის ქართველურ სამყაროსთან

---

[33] L. Banti, I mondo degli etruschi. R, 1969, 245, A. J. Pfiffig, Religio etrusca. Graz, 1975, 309.

[34] G. Buonamici, Epigrafia Etrusca, Firenze, 1932, taf LV.

[35] E. Gerhard, G. Körte, Etruscische Spiegel, I-V, Berlin, 90, 284, 82.

[36] A. J. Pfiffig, Die Eetruskische Sprache, Graz, 1969, 123.

კავშირის შესახებ. იხ. R. Gordeziani, Zür Frage der agaisch – Kartvelischen sprachparallelen, Wiss. stsch. der. Fr. Schiller Univ., Jena, 1968).

დამატებით ინფორმაციას ეტრუსკული ლარანის შესახებ გვაძლევს ჩვენს მიერ ზემოთნახსენები სარკე პოპუულონიიდან, სადაც ლარანის გამოსახულებას ახლავს წარწერა – Cels clan. Cel, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, აღნიშნავს „დღეს, აისს, ალმოსავლეთს".[37] ეს, სამწუხაროდ, ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ლარანი იჩენს განსხვავებას ბერძნული არესისაგან, თუ, ცხადია, მხედველობაში არ მივიღებთ ტერმინის ეტიმოლოგიას, რომელზეც ზემოთ ვიმსჯელეთ.

ამ ქვეჯგუფში პირობითად გაერთიანებული ღვთაებანი ემსგავსებიან ერთმანეთს, როგორც იმით, რომ მათ შესახებ „ეტრუსკული" მასალა ნაკლებადაა შემორჩენილი, ისე ჩვენის აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტორით, რასაც ტერმინის წარმოების პრინციპი ჰქვია.

ამ თვალსაზრისით, მესამე ღვთაება, რომელიც აღნიშნულ ქვეჯგუფში შეიძლება წარმოვიდგინოთ, გამონაკლისს არ წარმოადგენს.

ეტრუსკოლოგთა შორის გავრცელებული აზრის მიხედვით, ბერძნული აფროდიტეს შესატყვის ღვთაებას ეტრუსკთა რელიგიაში ტურანი წარმოადგენს. ეს თვალსაზრისი ეფუძნება იკონოგრაფიულ მონაცემებს – კერამიკასა და ქანდაკებაში ტურანი მჭიდროდ არის დაკავშირებული ატუნისთან ანუ მითოლოგიურ ადონისთან. ტურანის უცვლელი ატრიბუტებია: მტრედი და გედი, ხშირად მას ხელთ უპყრია რტო ან ყვავილი.[38]

ეტრუსკული რელიგიის და, საერთოდ, ეტრუსკული კულტურის ინდოევროპულობის მომხრენი ამ მიზეზთა გამო ტურანს ბერძნული სიყვარულის ღვთაებებთან აიგივებდნენ და მას

---

[37] A. J. Pfiffig, Religio Etrusca, Graz, 1969, 310.

[38] M. Pallotino, Etruscologia, Milano, 1985

A. J. Pfiffig, Die Etruskische Sprache, Graz, 1969.

ბერძნული აფროდიტეს ფუნქციურ და სემანტიკურ ასლად წარმოგვიდგენდნენ.

ჩვენი აზრით, ტურანის წარმომავლობაზე გავრცელებული მოსაზრება საკითხს ცალსახად განიხილავს. მხედველობაში არაა მილებული ტურანის სხვა, უფრო არქაული, გამოსახულებანი, რომლებიც არ უკავშირდებიან ბერძნულ მითოლოგიას. ეს ტურანი წარმოადგენს ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ფრთები ამკობს.[39] სარკის დეკორაციაზე მას ფრთებთან ერთად ფრთებიანი სანდლებიც აცვია და საკულტო პოზაში (ხელების გველისებურად მორკალვა) ორი ქურუმის გარემოცვაში დგას. რა თქმა უნდა, რომ არა წარწერა, რომლებიც ამ ნიმუშებს ახლავს, შეუძლებელი იქნებოდა ამ გამოსახულებაში ტურანის ამოცნობა, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, ბერძნულ-რომაულ აფროდიტე-ვენუსს განასახიერებდა.

დორო ლევი წიგნში „ადრეული ბერძნული კერამიკა კრეტიდან" წარმოადგენს რამდენიმე ასეთ ფრთიან ქალღმერთს. (მაგ. მილატოსურ ლარნაკზე, პითოსზე ფორტეცადან (a.a.o.s. 128., Fig.2), რომელნიც გარკვევით ავლენენ მსგავსებას ტურანთან).

ჩვენი აზრით, ტურანი მცენარეული (რტო, ყვავილი) და ცხოველური (უფრო სწორად „ფრინველური") (გედი, მტრედი) ატრიბუტიკის მიხედვით, შეიძლება დავუკავშიროთ ბუნების სასიცოცხლო ძალებს, ყვავილობას.

ძალზე ფრთხილად გვინდა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ტურანი მიწისქვეშეთში ბინადრობდა და იქიდან „მართავდა" მიწის ნაყოფიერებას, ხოლო გაზაფხულზე, ბუნების გამოცოცხლებასთან ერთად, ყველას განახლებას, სიყვარულს ჰგვრიდა.

ამას გვაფიქრებინებს ტურანის მსგავსება ვანთთან და ის ფაქტი, რომ ეტრუსკული ფრთიანი ღვთაებები მხოლოდ მიწისქვეშეთში ბინადრობენ. Turan-როგორც ტერმინი – ყალიბით ეტრუსკულია. ეს არის (შდრ. selvans, laran, sethlans) tur-ფუძისა

---

[39] იხ. ბრინჯაოს ქანდაკება კასტელ მარიანოდან პერუჯაში და სარკე პრენესტედან (E. Gerhard. G. Körte, Etruskische spiegel. I-V. Berlin 1884-1897, ABB. II 4, Abb-115 (ძვ.წ. VI ს.).

და an-მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსის კომბინაციით მიღებული სიტყვა. tur-ს, მკვლევართა უმეტესობის აზრით,[40] აქვს „მიცემის, მიძღვნის" მნიშვნელობა, ხოლო სუფიქსი an „ქონებას, ფლობას" აღნიშნავს. საინტერესოა, რომ ჰერბიგმა პირველმა დაუკავშირა ეს სიტყვა წინაბერძნულ τύραννος-ს[41], ხოლო პფიფიგი წიგნში „Religio etrusca" თვლის, რომ ეს კავშირი ნამდვილად არსებობს, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობით. შეიძლება წინაბერძნულ, ხმელთაშუაზღვისპირეთის ტირანოსი იყო მეფე, რომელიც განასახიერებდა დიდი ქალღმერთის პარედროსს ნაყოფიერების საკულტო დღესასწაულებში. როდესაც დიდ ქალღმერთს ტურანს უწოდებენ, მაშინ პარედროსი არის „ტურან-ნა" – ტურანის კუთვნილი.

ამ ვარაუდის დასკვნით ნაწილში პფიფიგი მიიჩნევს, რომ ეტრუსკული ღმერთის სახელი პირველადია, ხოლო წინაბერძნული ტირანოსი – მისგან გამომდინარე.[42]

ამგვარად, ტურანი, როგორც ფორმით, ისე სემანტიკურად აშკარად ეტრუსკულია და თავისი წარმომავლობით უკავშირდება წინაბერძნულ და წინაიტალიური კულტურის არქაულ შრეებს.

ამგვარად, ბერძნულ-ეტრუსკული მითოლოგიურ „ურთიერთობათა" შესახებ შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ბერძნული მითოლოგიის „შემოსვლა" ეტრუსკულ სამყაროში ეტრუსკული მითოლოგიის სისტემად ქცევის შემდეგ განხორციელდა;

2. როგორც სემანტიკურად, ისე ლინგვისტურად ბერძნული მითოლოგიის ელემენტები ეკუთვნიან ქრონოლოგიურად გვიანდელ ხანას და დარჩნენ სახელთა და სიუჟეტთა მხოლოდ სესხების დონეზე, რომელიც უფრო მეტად შეეხო ეტრუსკულ ხელოვნებას, ვიდრე მითოლოგიას.

---

40 A. Savelli, Nuovissime interpretazioni Etrusche, Bologna, 1970.

41 A. J. Pfiffig, Die Etruskische Sprache, Graz, 1969.

42 G. Herbig, Kleinasiatisch – etruskische Namengleichungen. Sitzb. Kgl. Bayer. AK. d. W. phil. – hist. KL 1914, 28.

3. ბერძნული პანთეონის არც ერთი ღმერთი ეტრურიაში არ გადაიქცა კულტმსახურების ობიექტად – ეტრურიის ტერიტორიაზე არ არის დადასტურებული ბერძნული ღვთაებების და გმირების თაყვანისცემის, მათთვის ტაძრის ან საკურთხევლის აგების არც ერთი შემთხვევა. არ არის ნაპოვნი აგრეთვე მათთვის შეწირული ხელოვნების ნიმუში ან საკულტო საგანი.

"THE GREEK – ETRUSCAN RELATIONS IN THE SPHERE OF MYTHOLOGY"

It may be said clearly, none of the spheres of Etruscan and Greek cultures gives us such an exhaustive information about relations between these two civilizations as mythology.

First of all, this is due to peculiarities of the Etruscan heritage research – as it is known, Etruscan civilization has reached to this day mainly by help of religious – cult content inscriptions, by burial painting and cult things. As it is known, none of the aspects of the old peoples spiritual restored such a full picture about creation of its culture, as religion and mythology.

Research of Greek – Etruscan relations is important by Etruscan point of view – for studying Etruscan mythology is important for its relation with the other religions systems.

It is necessary to establish, how important is the so called "antique" – Greek system's role in formulating Etruscan religions world – outlook, is it an element of fundamental importance for Etruscan religion or we may perceive it as "borrowed".

According to the material, which we own today, we can conclude the following about the Greek – Etruscan "mythological" relations:

1. "Entrance" of the Greek mythology in the Etruscan universe was fulfilled after structuring Etruscan mythology in to a system.

2. Semantically, as well as linguistically Greek mythoklogical elements are chronologically of later period and they remainid on the level of borrowing names and plots, which influenced mainly Etruscan art, than mythology.

3. None of the gods of Greek pantheon turned in to an object of cult service – not a single case of worshipping Greek divinities and heroes or a single case of building temples or altars for them is proved – there is not found work of art or cult subject dedicated to them.

ეტრუსკების აღქმისათვის გვიანანტიკურობაში

მაშინ როდესაც გვიანანტიკურობის პერიოდი ძველი ბერძნული და რომაული კულტურების განვითარების ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს, ეტრუსკული ცივილიზაციისათვის იგი არის ე.წ. „სიკვდილის შემდგომი" ხანა.

ერთ დროს ძლიერი და აპენინის ნახევარკუნძულის მაკონტროლებელი ძალა – ეტრურია, ახ.წ. I ნახევრისთვის რომის იმპერიის შემადგენლობაში შედის და კარგავს სახელმწიფოებრიობას.

შორსაა ის პერიოდი, როდესაც ეტრუსკები რომაელებსა და ბერძნებს კონკურენტად ესახებოდათ, საშიშ დაბრკოლებად ელობებოდათ ზღვაზე სრული ბატონობის ხელში ჩასაგდებად; ცხოვრების წესის უჩვეულო ფუფუნებითა და დახვეწილობით იგი შურს აღარ იწვევდა მათში. ამ გრძნობათა ადგილს არც გამარჯვებულის ქედმაღლობა და თვითდაჯერებულობა იკავებს. ეს გასაგებია – ეტრურია უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც აღარ არსებობს. ემოციათა ნაცვლად ნელ-ნელა ჩნდება მეცნიერული ჭვრეტა, ნოვატორული გადააზრება უკვე ტრადიციული შეხედულებებისა და ცნობებისა. ამგვარად, გვიანანტიკურობა გვევლინება ამ ოდესღაც ძლიერი გაერთიანების „ნანგრევებისათვის" პირველ შემფასებლად, გამაანალიზებლად და „განაჩენის" გამომტანად.

ეტრუსკების, ეტრურიის, მისი კულტურის მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ჩაისახა. მრავალმა ავტორმა მიაქცია ყურადღება „ტირჰენელების", როგორც მათ ბერძნები ეძახდნენ, ქვეყანას. ასეთებად გვევლინებიან – ჰეროდოტოსი, თუკიდიდესი, არისტოტელე, აპოლონიოს როდოსელი, დიონისიოს ჰალიკარნასელი, პლავტუსი, ლივიუსი, ციცერონი და მრ. სხვა.

ეტრუსკთა შესახებ არსებულ ინფორმაციაში ერთმანეთს ენაცვლება სინამდვილიდან და ფანტაზიის სფეროდან მოხმობილი ფაქტები, ობიექტური მსჯელობა და ტენდენციური თვალსაზრისი.

ცხადია, ნებისმიერი მოვლენის ირგვლივ როგორც ანტიკურ, ისე თანამედროვე ხანაში, ხშირია ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედულებების თანაარსებობა, მაგრამ ეტრუსკების შემთხვევაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე იმ ფაქტმაც, რომ ეტრუსკთა ყოფა, მსოფლხედვა, რელიგია მკვეთრად განსხვავდებოდა მეზობელ ქვეყანათა ცხოვრების წესისაგან და ხშირად უცხოელთათვის ბოლომდე უცნობი თუ გაუგებარი იყო.

ცნობილია, რომ ადამიანის პიროვნებას, რაობას, ხასიათს, ხშირად მისი გარდაცვალების შემდეგ უფრო ათვითცნობიერებენ. ერებიც ადამიანთა ხვედრს იზიარებენ.

ჩვენი მიზანია არა მხოლოდ გადმოცემა და ანალიზი გვიანანტიკურობის პერიოდის (კერძოდ V ს.) მწერალთა თვალსაზრისისა, არამედ იმის გარკვევა, თუ რითი გამოირჩევა ეს პერიოდი ეტრუსკთა მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის შეფასებასა და გადააზრებაში.

ჯერ კიდევ გვიანანტიკურობის ზღურბლზე, ახ.წ. III საუკუნეში საყურადღებოა ათენაიოსი ნაწარმოებით „Deopnosophistai". ცხადია, ათენაიოსი ეფუძნება კლასიკური პერიოდის ავტორთა შეხედულებებს, როდესაც ეტრუსკთა ყოფა-ცხოვრებაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ქალები მამაკაცთა თანასწორნი არიან და მათთან ერთად ხემსობენ ერთ მოსასხამზე წამოწოლილნი. აქ ათენაიოსი წყაროდ მიუთითებს არისტოტელეს. ასევე გადმოცემას მიჰყვება, როდესაც ეტრუსკებს მიაწერს ჰერას წმინდა გამოსახულების მოპარვას კუნძულ სამოსიდან,[43] ამასთან, ათენაიოსი ცდილობს საკუთარი თვალსაზრისი შემოგვთავაზოს. მაგალითად, ერთგან იგი წერს, რომ გლადიატორთა ბრძოლა ნამდვილად ეტრუსკული წარმომავლობისაა,[44] სხვაგან კი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტირჰენელები პელასგები არიან.[45]

ათენაიოსს ეჭვი შეაქვს იმ თეორიაში, რომელიც გავრცელებული იყო კლასიკურ საბერძნეთსა და რამდენადმე, რომშიც, რომ-

---

[43] Athenaios, Deipnosophistai, XV, 672.
[44] ibid IV, 153.
[45] ibid IV, 156.

ლის მიხედვითაც ეტრუსკები ლიდიური წარმომავლობის არიან. ათენაიოსი უკრიტიკოდ იღებს დიონისიოს ჰალიკარნასელის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ეტრუსკები პელასგები არიან.[46]

საყურადღებოა III-IV სს. მწერალთა: არნობიუსის[47] და სერვიუსის[48] შეხედულებანიც, სადაც აღნიშნულია ეტრუსკთა დიდი ღვაწლი რომაული რელიგიის ფორმირების სფეროში.

ეტრუსკთა ცივილიზაციის მაღალი დონის ნათელსაყოფად მოხმობილია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეტრუსკებს ჰქონდათ თავიანთი კანონმდებლობა, ე.წ. ius Etruriae, რომ მათ მიერაა დაარსებული მრავალი ქალაქი აპენინის ნახევარკუნძულზე.[49]

ეტრუსკთა შესახებ ინფორმაცია გვიანანტიკური პერიოდის მრავალი მწერლის თხზულებაში არის მიმოფანტული, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვნად და საყურადღებოდ, ვფიქრობთ, გვევლინებიან V ს. ავტორთა ცნობები, რომლებიც სამი ძირითადი ჯგუფის ირგვლივ იყრიან თავს.[50] ესენია: 1) მითოლოგიური, 2) რელიგიური, 3) ლინგვისტური.

განსაკუთრებულ ყურადღებას შევაჩერებთ სამ ავტორზე, რომელთა თხზულებანი არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ ჟანრობრივადაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ესენია: პოეტი ნონოსი პოემით „დიონისიაკა", მარციანუს კაპელა პროზანარევი პოეზიით გამართული ალეგორიული თხზულებით „ფილოლოგიის და მერკურიუსის ქორწინების შესახებ" და ჰესიხიოსის ცნობილი ლექსიკონი ნონოსის „დიონისიაკა", რომელიც როგორც ცნობილია, წარმოადგენს დიონისესთან დაკავშირებული მითების ყველაზე ვრცელ პოეტურ გადამუშავებას.

ამ დიდ პოემაში მშვენივრადაა გააზრებული და ურთიერთშეხამებული დიონისეს ტრადიციული ხატი და აღქმის ახლებური, უფრო მასშტაბური თვალსაზრისი.

---

[46] Dion. Halicarn., Ant. Rom., I, 4.
[47] Arnobius, Advers. nat.
[48] Servius, Ad Aen.
[49] Arn., VII, 26
[50] Serv., X, 200.

ნონოსი, ცხადია, იცნობს ადრეარსებულ ლიტერატურულ ვერსიებსაც, რაც ასახული აქვს კიდეც ნაწარმოებში, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ინდივიდუალური შემოქმედება და მისი თანადროული ეპოქის სტილი თუ შეხედულება ამა თუ იმ ეპიზოდის ინტერპრეტაციის დროს.

ეტრუსკები ანუ ტირსენიელები ფიგურირებენ საყოველთაოდ ცნობილ მითში დიონისესა და მეკობრეების შეხვედრის შესახებ.[51]

ამ ეპიზოდის პირველი ლიტერატურული გადამუშავება ჯერ კიდევ ჰომეროსთან გვხვდება.[52] ჰომეროსი გვამცნობს, რომ ტირსენიელ მეკობრეებს „ავი წერა თუ სდევდა" ასეთი დანაშაული რომ ჩაიდინეს – მათ შებორკეს უმწეო დიონისე. ლონგოსი ერთგან იხსენიებს „თევზად ქცეულ ტირენელებს",[53] რომლებიც ლიკურგოსის, პენთევსისა და დამორჩილებულ ინდიელების გვერდით დიონისეს ძლევამოსილების სიმბოლოდ აღიქმებიან.

ოვიდიუსი „მეტამორფოზებში"[54] ეტრუსკებს ერთის მხრივ წარმოადგენს „უღვთო ბრბოდ", „დაუნდობელ მეზღვაურებად", ხოლო მეორეს მხრივ ნაჩვენებია დიონისეს მიმდევარი ეტრუსკი აკეტოსი, რომელსაც ტყვეობიდან თავად ბახუსი იხსნის. ტირსენიელები პირველ შემთხვევაში – ბრმა ბედისწერის მსხვერპლად, ხოლო მეორეგან ნადავლზე გახელებულ, ვერაგ ადამიანებად გვევლინებიან, ხოლო ნონოსთან თავად მეკობრეები იქცევიან დიონისეს შურისძიების ობიექტად.

განვიხილოთ ეს ეპიზოდი.

ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ მის კონტექსტზე ანუ, ზუსტად რომ ვთქვათ, იმაზე, რა ეპიზოდები უსწრებენ და მოსდევენ აღნიშნულ პასაჟს „დიონისიაკაში".

ნონოსი აქ არ არის ორიგინალური – მსგავსად ოვიდიუსის „მეტამორფოზებისა", ეს ეპიზოდი მოსდევს პენთევსის განრისხე-

---

[51] Nonnos, Dionysiaca, 45 105-168.
[52] Hymnoi, 8.
[53] Longos, IV, 3.
[54] Ovid., Met., III 575-730.

ბას და სურვილს შეიპყროს დიონისე და წინ უსწრებს აგავეს მიერ პენთეევსის მოკვლის ამბავს.

45-ე თავი იწყება ბაკქანალიის აღწერით – მთაზე ცეკვავენ გახელებული ქალები, მათთან ერთად არიან: ტირესიასი, კადმოსი და პენთეევსი. ეს უკანასკნელი მიმართავს მოხუცებს, გონს მოვიდნენ, განაგდონ დიონისე და დაუბრუნდნენ ძველ ღმერთებს. პასუხად ტირესიასი არწმუნებს მეფისწულს დიონისეს ძლიერებაში და მოუთხრობს მას „სიცილიურ ისტორიას" – როგორც დასაჯა დიონისემ ბოროტი ტირსენიელები და როგორ აქცია ისინი თევზებად.

რატომ განრისხდა მათზე დიონისე? ამის მიზეზი, ნონოსის აზრით, ძევს ტირსენიელთა საარაკო სისასტიკეში: „ტირსენიელთა ვაჟიშვილები... მოხეტიალე მკვლელები, მოგზაუროთა და ხომალდთა დამყაჩაღებლები იყვნენ... მრავალი მოხუცი ზღვაოსანი ჩაიკარგა მათი წყალობით ზღვის სიღრმეში, მრავალმა მწყემსმა, რომელიც ნახირის გადარჩენას ცდილობდა, საკუთარ სისხლში დაისველა თავი... თუკი რომელიმე ვაჭარს ან ფინიკიელს სიდონის მხრიდან მომავალს, თვალს მოჰკრავდნენ, იჭერდნენ, ართმევდნენ ყველაფერს და სიცილიაზე, არეტუზაში მიჰყავდათ ბორკილასხმულნი გასაყიდად... დიონისემ კი გადაიცვა და გააცურა ტირსენიელები.[55]

აღნიშნულ ეპიზოდს პოემაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს – ეს არის უკანასკნელი არგუმენტი პენთეევსის „ჭკუაზე მოსაყვანად". უკანასკნელი, რადგან ამის შემდეგ მას საკუთარი დედა გამოასალმებს სიცოცხლეს.

თუკი „მეტამორფოზებში" პენთეევსი ამ ისტორიას ტირსენიელთა მესაჭისაგან, აკეტესაგან თავად ისმენს, რომელიც ერთადერთი თვითმხილველი იყო მომხდარისა, ნონოსთან ამ ამბავს ტირესიასი, მისანი და კადმოსის მეგობარი, თებეში მეტად გავლენიანი პიროვნება გადმოგვცემს. არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში, მიუხედავად მთხრობელთა ავტორიტეტისა, პენთეევსის რწმენა

---

[55] 45, 105-120.

არ იცვლება. მკითხველისთვის ცხადი ხდება, რომ იგი დაისჯება დიონისეს მიერ.

დაისჯება როგორც ტირსენიელი მეკობრეები დაისაჯნენ, რადგან დიონისე გვერდს ვერ უვლის ბოროტებას და თავად მიდის მასთან შესახვედრად.

ცხადია, როგორც ეს როუზმა ნონოსის დიონისიაკას „მითოლოგურ წარდგინებაში" აღნიშნა,[56] ნონოსის დიონისე არ არის მხოლოდ მითოლოგიური დიონისე, მის სახეში, მართლაც, აშკარად იკვეთება ეპიკური პერსონაჟისათვის დამახასიათებელი ნიშნები – გმირობა, მხსნელისათვის ნიშანდობლივი თვისებები.

ამის გათვალისწინებით, შედარებით ადვილია ავხსნათ ტირსენიელთა განსაკუთრებული სისასტიკის გადმომცემი ეპიზოდების არსებობა პოემაში – იქმნება შესაბამისი ფონი გმირის წარმოსაჩენად, უარყოფითი პერსონაჟები იძენენ მხატვრული ხერხის ფუნქციებს და ჰიპერბოლიზებულ ბოროტებას განასახიერებენ.

ცნობები ეტრუსკებზე მხატვრული სახეცვლილებას მოკლებულია მეორე ავტორთან, მარციანუს კაპელას ნაშრომში „ფილოლოგიისა და მერკურიუსის ქორწინების შესახებ". ამას, უპირველეს ყოვლისა, თავად თხზულების ჟანრი განაპირობებს – ავტორი ცდილობს თავი მოუყაროს ინფორმაციას „შვიდი თავისუფალი ხელოვნების" (არტეს ლიბერალეს) შესახებ. თუმცაღა ნაწარმოები ამავდროულად ალეგორიულიცაა – ეს შვიდი ხელოვნება ახალგაზრდა საცოლეების სახითაა წარმოდგენილი – მაგრამ მარციანუს კაპელას მიზანს წარმოადგენს ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომის შექმნა, ამიტომ მისი ცნობები, ეფუძნებიან რა კლასიკური ეპოქის წყაროებს, ინფორმაციულნი არიან.

ეტრუსკთა შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მარციანუს კაპელას ნაწარმოებში, ორგვარი სახისაა – 1) პირდაპირი – ავტორი ასახელებს ეტრუსკებს, ეტრურიას სხვადასხვა კონტექსტში; 2) არაპირდაპირი – წყაროდ არ მიუთითებს ეტრუსკებს, მაგრამ მოიხსენიებს მათ შეხედულებებს, აზრებს, რიტუალებს.

---

[56] H. J. Rose, Mythological Introduction of Nonnos Dionysiaca, p XIV.

თავად ტექსტში ეტრურია და ეტრუსკები სულ ოთხჯერაა ნახსენები სხვადასხვა, ერთმანეთის პარალელური ფორმებით (Etruria, Hetrusci, Hetruria, Etrusci).[57]

ამ ცნობების მნიშვნელობა ნაკლებად საგულისხმოა მეორე სახის ინფორმაციებთან შედარებით, სადაც ეტრურია, ეტრუსკები, მათი წეს-ჩვეულებანი რიტუალები, რელიგიურ-საკულტო ქმედებანი, შეხედულებანი ავტორს რომაულთან გამთლიანებულად აქვს წარმოდგენილი.

ასეთი პასაჟები ნაწარმოებში მრავლადაა. მოვიყვანთ ერთ მნიშვნელოვან მაგალითს.

I წიგნის 44-ე პარაგრაფში მარციანუს კაპელა მსჯელობს ღვთაებათა „საბინადრო არეალებზე" ანუ „ცებზე" და თითოეულ ღმერთს ცისკიდურზე საკუთარ სახლს მიუჩენს.

ამ პასაჟმა თავიდანვე მიიქცია კომენტატორთა ყურადღება. აღინიშნებოდა, რომ ციური სივრცის დაყოფის ეს სისტემა არ იყო რომაული წარმომავლობის. მართლაც, XIX საუკუნის ბოლოს აღმოჩენილმა ბრინჯაოს ღვიძლის მოდელმა, რომელიც ეტრუსკული ჰარუსპიციის მიზნით გამოიყენებოდა, დაადასტურა, რომ ეს სისტემა ეტრუსკულ კომოგონიურ შეხედულებებს ეფუძნება.[58]

ზოგიერთი მკვლევარი, ეყრდნობა რა ამ წყაროებს (მარციანუს კაპელა, ღვიძლის მოდელი), ცდილობს აღადგინოს ეტრუსკთა ციური templum-ის მოდელიც.

მარციანუს კაპელას ნაწარმოებში ასევე ფიგურირებს ღმერთი ვეიოვისი,[59] რომელიც, როგორც ფიქრობენ, ადრეულ და საკმაოდ გავრცელებულ ღმერთს უნდა წარმოადგენდეს.[60]

---

57 M. Capella, De nuptiis Mercurii et Philologiae, liber II, VI, IX.

58 Van Der Meer, The bronze liver of Piacenza, Amsterdam, 1987; Adriano Maggiani, Qualche osservazione sul fegato di Piacenza, SE, vol. L, 1984.

59 M. Capella, I, 58.

60 W. Deecke, Das Templum von Piacenza. Etruskische Forschungen, Stuttgart, 1880.

მ. კაპელა ახსენებს მითიურ ტაგესსაც,[61] რომელიც, მრავალ სხვა რომაულ ავტორთა მსგავსად,[62] მარციანუსს ეტრუსკული დივინაციის მამამთავრად ჰყავს მიჩნეული.

მარციანუს კაპელას ე.წ. პირდაპირ და არაპირდაპირ ცნობებს დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ეტრუსკოლოგიაში. სწორედ მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდა მრავალი „თეთრი ლაქის" ამოვსება ეტრუსკულ რელიგიასა და მითოლოგიაზე არსებულ ინფორმაციებში. მარციანუს კაპელა ეტრუსკულ რელიგიას რომაული თეოლოგიის ორგანულ ნაწილად აღიქვამს, ამიტომ ხშირად არ მიუთითებს ამა თუ იმ ინფორმაციის ეტრუსკულობას.

და ბოლოს, გვიანანტიკურობას მხედველობიდან არ გამორჩენია ეტრუსკული ცივილიზაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფერო – ეტრუსკული ენა.

ის, რომ გვიანანტიკურ ეპოქაში ეტრუსკთა კვალი ენობრივ დონეზეც არის შემორჩენილი, დასტურდება ჰესიხიოსის ლექსიკონით, სადაც სხვადასხვა ენების გლოსებთან ერთად 15-მდე ეტრუსკული გლოსაა წარმოდგენილი.

თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ წყაროებში ნახსენებ ეტრუსკულ გლოსთა რიცხვი 35-ს არ აღემატება[63] (გლოსთა ავტორები არიან: აპოლოდოროსი, დიონისე ჰალიკარნასელი, კასიუს დიონი და სხვ.), აშკარაა, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰესიხიოსის ამ ნაშრომს ეტრუსკოლოგიაში.

ეს გლოსებია:

1. ἀγαλάκτορα = παῖδα
2. ἀγαλήτορα = παῖδα (TLE[64] 802, p 74)
3. αἰσοι = θεοί (TLE 804, p 76)
4. αὔδας = βορέας (TLE 806, p 163)
5. ἄνταρ = αἐτός (TLE 807, p 183)

---

[61] K. Latte, Römische Religionsgeschichte, Münster, 1960 II, 156.

[62] Cicero, De divin., II, XXIII; Ovidius, Metam., (XV, 552-559).

[63] Thesaurus Linguae Etruscae, 1. Indice lessicale, Roma, 1984, Ordinamento inverso dei Lemmi, Roma, 1985, I, 417.

[64] Pallottino, Testimonia Linguae Etruscae, Firenze, 1968.

6. ἄρακος = ἱερᾶς (TLE 810, p 235)
7. ἀταισόν = ἀναδενδρᾶς (TLE 813, p 270)
8. αὐκῆλως = ἕως (TLE 815, p 279)
9. βυρρός = κάνθαρος (TLE 817, p 354)
10. γάπος = ὄχημα (TLE 832, p 363)
11. γνίς = γέρανος (TLE 835, p 377)
12. δάβνος = ἵππος (TLE 827, p 403)
13. δέα = θεά (TLE 828, p 408)
14. δροῦνα = ἀρχή (TLE 825, p 480)
15. κάπρα = αἴξ (TLE 820, p 411)

ცხადია, ამ ეტრუსკულ სიტყვათა უმრავლესობას ელინიზაცია განუცდია, მაგრამ სპეციალისტთათვის იოლი დასადგენია მათი ეტრუსკული ვარიანტი.

ჰესიხიოსის გლოსები თანამედროვე ეტრუსკოლოგიაში მეტად სარწმუნო წყაროდ მიიჩნევა ამა თუ იმ ლექსიკური ელემენტის სემანტიკის დადგენისას, რადგან მრავალი წარწერა ადასტურებს აღნიშნულ სიტყვათა მნიშვნელობებს.

ჰესიხიოსის გლოსათა მნიშვნელობები არაერთი მეცნიერული გამოკვლევის საგნადაა ქცეული.[65]

განვიხილოთ ერთი მაგალითი.

αἰσοι = θεόι

ais ძირი, ნამდვილად აღნიშნავს „ღმერთს, ღვთაებას". ამასვე ადასტურებენ ამ სიტყვის დერივანტებიც: aisui („ღვთაებრივი"), aisna („საღვთო"), eisnev (c) „სასულიერო წოდება".[66]

საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთი გლოსა ჩვენს ხელთ არსებულ მასალაზე დაყრდნობით, არ იძლევა მისი ეტრუსკულ შესატყვისთან შეპირისპირების საშუალებას. მომავალი არქეოლო-

---

[65] M. Pallottino, Etruscologia, Milano, 1985; V. Georgiev, Etruskische Sprachwissenschaft, 1970, Sofia; A. J. Pfiffig., Die Etruskische sprache, Graz, 1969.

[66] ამ საკითხთან დაკავშ. იხ. Olzscha, Das Aisera Problem, SE, vol. XXXIX, 1911.

გიური აღმოჩენების წყალობით იმედია, მოხდება ამ გლოსათა იდენტიფიკაციაც.

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. გვიანანტიკურობის ინტერესი ეტრუსკული ცივილიზაციის მიმართ ნაკლებად მიემართება ისტორიის სფეროს – ეს ინტერესი იფარგლება ტირსენიელთა მემკვიდრეობის კონკრეტული გამოხატულებით – მათი კვალით სხვა ხალხთა კულტურაში – განსაკუთრებით, რელიგიით, მითოლოგიით და ლინგვისტიკით.

2. ეტრუსკებთან დაკავშირებული ცნობები არსებითად გვიჩვენებს პროცესს, რომელიც გვიანანტიკურობისთვის არის დამახასიათებელი:

ა) ხდება ანტიკური კულტურის ფასეულობათა შენარჩუნება, კლასიკური პერიოდის ცნობათა ხელახალი დაფიქსირება;

ბ) ამ ცნობების ე.წ. ახალი გარემოსთვის მორგება-რეინტერპრეტაცია.

3. ყველა ეს მონაცემი შორს დგას იდეოლოგიისაგან და ფაქტიურად ცხადყოფს ეტრუსკების როგორც ხალხის შესახებ მახსოვრობის არსებობას ანტიკურ სამყაროში.

4. ბევრი რამ საგანგებოდ არაა განმარტებული, რადგან ეტრუსკთა კულტურა აღქმულია როგორც ცოცხალი ნაწილი ანტიკური ცივილიზაციისა.

5. გვიანანტიკურობა, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ გამონაკლისს (მაგ. სვიდას ლექსიკონი), წარმოადგენს უკანასკნელ პერიოდს ეტრუსკული ცივილიზაციის კვალის ჯერ კიდევ ცოცხლად ასახვისა. ამ პერიოდს მოსდევს ეტრუსკთა კულტურის თანდათანობითი დავიწყება და სრულიად წაშლა კაცობრიობის მეხსიერებიდან, სანამ არ გაივლის დაახლოებით 10 საუკუნე და გაცხოველებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება „ხელახლა“ არ აღმოაჩენს ამ ცივილიზაციას.

TOWARDS PERCEPTION OF ETRUSCANS IN LATE ANTIQUITY (V CENT. A. D.)

Several centuries separate late antiquity from the period of vanishing of Etruria, as a state, from the scene of history.

Nothwithstanding the fact thet the Etruscans do not any longer survive by this period, culture of Tyrhenians which had great influence upon civilization of the peoples of old world still continues its life.

In contrast to the data of contemporary Etruscans, information existing in late antiquity is distanguished by scisntific contemplation, by innovatory revalueing of traditional concepts and informations.

It will not be exaggerated to say that late antiquity is the first serious valuer of this, once powerful entity which extended its influence over the whole Apennines.

With this in view, our special interest was drawn by a picture created in the V cent. A. D. First of all this interest was conditioned by the fact that the data of that period are considered most important in Etruscology, and that the scale of these data is vider, it deals with mythology as well as with religion and linguistic spheres.

Three authors are considered in the report whose works differ not only by their contents, but also by the genre. The are a poet Nonos by his poem "Dionysiaca", Marcianus Capella by his allegorical work, poetry with a touch of prose "On the Marriage of Philology and Mercury" and the famous "Lexicon" by Hesixios.

As a result of consideration of the above-mentioned works it has become evident that:

1. The data on the history of Etruscan state are no more popular;

2. Mythological information about Etruscans undergoes certain transformation due to influence of an epoch and author's conception (Nonos, "Dionysiaca");

3. Synthetic nature of Roman religion has been established for the first time by the presence of Etruscan elements in it and by stating that Etruscan elements are integral parts of the whole system (Martianus Capella);

4. Actuality of Etruscan glosses certiafy the viability and significance of the Etruscan Language;

5. Late antiquity not only verifies the significance of Etruscans, their role in the formation of antique world, but also tries to explain the causes of popularity of this people.

ეტრუსკები „ენეიდაში"

ცნობილია, რომ ვერგილიუსის „ენეიდა" და მისი მნიშვნელობა საგრძნობლად სცილდება მხატვრული ლიტერატურის ჩარჩოებს. ამ პოემაში თავმოყრილი ინფორმაცია იპყრობს როგორც ლიტერატურის, ისე ისტორიის, მითოლოგიის, ლინგვისტიკის, პოლიტიკის და სხვა სფეროებში მომუშავე სპეციალისტების ყურადღებას.

ეს ფაქტი ადვილად იხსნება „ენეიდას" შინაარსით – ვერგილიუსი წარმოადგენს რომაულ ცივილიზაციის ჩასახვასა და განვითარების მითოლოგიურ ვერსიას, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის მითი და ისტორიული რეალობა, ფანტაზია და ინფორმაცია დოკუმენტური წყაროებიდან.

ძნელია ვივარაუდოთ, როგორ მიჯნავდნენ ერთმანეთისგან ძველი ხალხები მითსა და ისტორიას.

ეს საკითხი სცილდება ჩვენი ნაშრომის საკვლევ თემას, მაგრამ ერთი რამ გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი მითოლოგიური სიუჟეტი ხშირად კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთანაა დაკავშირებული. რთულია ასევე მსჯელობა იმ მექანიზმზე, რომლითაც მითი იქმნებოდა.

ცხადია, არსებობს გამონაკლისი, როდესაც მითს ჰყავს კონკრეტული ავტორი.

სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე „ენეიდასთან" მიმართებაში. ვერგილიუსი გვევლინება როგორც ავტორი „ენეიდას" ძირითადი მითოლოგიური ხაზისა.

ცხადია, ვერგილიუსს ჰქონდა საკუთარი მითოლოგიური კონცეფციის კონკრეტული საფუძველი. იმისათვის, რომ სიუჟეტისთვის დამაჯერებლობა და რეალიზმი მიენიჭებინა (ეს მნიშვნელოვანი იყო იმ ოფიციალური ვერსიისთვის, რომელიც იმპერატორ ავგუსტუსისა და მეცენატის შეკვეთით იქმნებოდა), ვერგილიუსმა შეისწავლა რომის ისტორიული, მითოლოგიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა.

მაგრამ ყველა ეს ინფორმაცია არ იყო საკმარისი ენეასის ისტორიის შემქმნელად. როგორც ეს პოემიდან ჩანს, ენეასი ხვდება იტალიის ადგილობრივ ტომებსა და ხალხებს, რომელთაც საკუთარი ისტორია, მითოლოგია, რელიგია, ენა და ყოველდღიური ცხოვრების წესი გააჩნდათ. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო ამ ხალხთა კულტურის შესახებ გარკვეული ცოდნის ფლობაც – ვერგილიუსს ხომ ისინი არა მხოლოდ „ენეიდას" , არამედ ახალი რომაული მითოლოგიის პერსონაჟებად უნდა ექცია.

ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, წარმოადგენს იმ დამატებით მიზეზებს, რომლის მიხედვითაც იმპერატორმა ვერგილიუსი შეარჩია ამ პოემის შემქმნელად. განსაკუთრებულ ნიჭთან, აკადემიურობასა და კარგი მნიშვნელობით, პედანტურობასთან ერთად, ავგუსტუსმა და მისმა მრჩეველმა მეცენატმა გაითვალისწინეს პოეტის წარმომავლობაც.

ვერგილიუსი მანტუადან იყო, ქალაქიდან, რომელიც თავის დროზე ეტრუსკებმა დააარსეს. საკუნეთა განმავლობაში ჩრდილოეთ იტალიის ამ პატარა ქალაქში თანაცხოვრობდა ძველი იტალიის მრავალი ეთნოსი: ეტრუსკები, ვენეტოელები, ლათინები, ლიგურიელები, ბერძნები. აქ, ამ ქალაქში, თანაარსებობდა ამ განსხვავებული ხალხების კულტურა, რელიგია, მითოლოგია. ვერგილიუსი ამ საკითხზე „ენეიდაშიც" წერს:

> "Mantua, dives avis, sed non genus omnibus unum:
> gens illi triplex, populi sub gente quaterni,
> ipsa caput populis, Tusco de sanguine vires"
>
> (X, 201-203)

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ამ ხალხთა შორის ვერგილიუსი ეტრუსკებს საგანგებო ადგილს აკუთვნებს.

მრავალი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ამის მიზეზი შეიძლება შემდეგში მდგომარეობდეს:

1. ვერგილიუსი „ენეიდას" სიუჟეტში მრავალ ეტრუსკულ მითს იყენებს, რომელთა დიდი ნაწილი გაიუს მეცენატის მიერაა მოთხრობილი, რომელიც იყო არეცოელი წარჩინებული ეტრუსკის ოჯახიდან.

2. მეცენატი საგანგებო ყურადღებას აპყრობდა ეტრუსკებს. მას დიდი გავლენა ჰქონდა ავგუსტუსზე და სურდა თანამემამულეთათვის საგანგებო პატივი მიეგო.[67]

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივადაა სწორი.

უფრო მეტად დამაჯერებელია ვივარაუდოთ, რომ ვერგილიუსი იმოწმებს ეტრუსკთა შესახებ ინფორმაციას ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარე, კერძოდ:

1. ეტრუსკები იყვნენ რომაელთა უახლოესი მეზობლები და მათი კულტურა, ბერძნულთან ერთად რომაელთათვის მიბაძვის საგანს წარმოადგენდა.

2. ეტრუსკთა სახელმწიფო იყო პირველი, რომელიც დომინირებდა იტალიაში რომამდე. როგორც სერვიუსი აღნიშნავდა: „In Tuscorum iure paenim omnis Italia fuerat".[68]

მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისათვის, როდესაც ვერგილიუსი ქმნიდა „ენეიდას", ეტრურია როგორც ქალაქ-სახელმწიფოთა პოლიტიკური გაერთიანება ისტორიის კუთვნილებასღა წარმოადგენდა, ეტრუსკთა კულტურა, ინარჩუნებდა უდიდეს გავლენას რომაულ სახელმწიფოში.

ამ თვალსაზრისით, ეტრუსკული მასალის არსებობა ენეიდაში წარმოადგენს ისტორიულად კანონზომიერ ფაქტს.

ეტრუსკული ცივილიზაციის ელემენტები „ენეიდაში" საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი და შემდეგ შინაარსობრივ ჯგუფებად იყოფა:

1. ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიები (ქალაქები, გეოგრაფიული ადგილები, ისტორიული პერსონაჟები);

2. მითოლოგია (მითოლოგიური პერსონაჟები, სიუჟეტები);

3. რელიგია და კულტი (ღმერთები, დივინაცია);

4. ყოველდღიური ცხოვრება (რიტუალები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, მუსიკალური ინსტრუმენტები);

---

[67] Serv., in. Aean, XI, 567.

[68] M. Cristofani, Dizionario illustrato della civiltá etrusca, Giunti, Firenze, 1999, 60.

5. ეტრუსკთა დახასიათება (ეთნიკური მახასიათებლები).

ისტორიული და გეოგრაფიული რეალიები

აქედანვე უნდა ითქვას, რომ „ენეიდაში", ანტიკური ტრადიციების დაცვით, ეტრუსკები იხსენიებიან ოთხი ეთნონიმით:

1. ეტრუსკები – „Etrusci" (7,48) ან ტუსკები – „Tusci" (X, 199);
2. "ტირენელები" – „Tyrheni" (XIII, 555);
3. ლიდიელები – „Lydi" (II, 781);
4. მეონიის ახალგაზრდობა – „Meoniae iuventus" (VIII, 493)

1. ქალაქელები

"ენეიდაში" ნახსენებია რამდენიმე ეტრუსკული ქალაქი:

1. კორითი ტირენული – Corythi Tyrrhena (VII, 204-29) — ქალაქი, რომელიც ვერგილიუსის მიხედვით, დააფუძნა ტროას ლეგენდარულმა მეფემ და ილიონის დამაარსებელმა, რომელმაც ტროასკენ მოგზაურობა სწორედ ამ ქალაქიდან დაიწყო.

კორითი შეიძლება დავუკავშიროთ ეტრუსკულ ქალაქ კორტონას (ეტრ. Curthute, lat. Kortona, Krotoi, ბერძნ. Corythus).

2. აგილინე – Agylliane (VIII, 479) – პირველი ქალაქი, „ენეიდას" მიხედვით, რომელიც ეტრუსკებმა დააფუძნეს – ეტრუსკულ ქალაქ ცერეს (Caere) ბერძნული ვერსია, თანამედროვე ჩერვეტერი.

ვერგილიუსი ახსენებს სხვა ქალაქებსაც: კლუზიუმი და კოზე – Clusium , Cosae (X, 167-168) (etr. Cusate. gr Kosai, lat. Cosa, Cosae); პოპულონია – Populonia (X, 172)(etr. Pupluna, Fufluna, lat. populonia); პიზა – Pisa (X, 182) (gr. Pisa, lat. Pisae); ცერეტე – Caerete (X, 182) – (etr. Ceisra, gr. Chaire, Agylla, lat. Caere); პირგი – Pyrgi (X, 182) – (gr. Pyrgoi, lat Pyrgi); გრავისკა – Gravisca (X, 184) – (lat. Graviscae); მანტუა – Mantua (X, 201) (etr. Manthva, gr. Mantoua, lat. Mantua).

საგულისხმოა, რომ ვერგილიუსი არსად იხსენიებს ტარკვინიას – ეტრურიის მთავარ ქალაქს. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმ გა-

რემოებით, რომ რომსა და ტარკვინიას შორის ვერგილიუსის დროს სერიოზული დაპირისპირება არსებობდა.[69]

ისტორიული პერსონაჟები

1. ტარკვნიუსების დინასტია „Vis et Tarquinies reges amimaque superbum (VI, 817).

ტარკნინუსების დინასტიამ რომის ისტორიას ორი მეფე შესძინა – მეხუთე – L. Tarqunius Priscus და მეშვიდე – L. Tarquinius Superbus.

ტარკვინიუს პრისკუსი, როგორც ცნობილია, რომში ტარკვინიიდან ჩავიდა. მან ეტრუსკული სახელი ლუკუმონი რომაული ლუკიუსით შეიცვალა.[70]

2. პორსენა (VIII, 646) (etr. Lari-s ან Lartn Pursiena) ქალაქი კიუზის მეფე, რომელმაც შეიყვარა დევნილი ტარკვინიუს ამაყი. ძვ.წ. 509-504 წწ. მან რომს შეუტია. პორსენა და ტარკვიუსი „ენეიდაში" გადაიქცნენ სიმბოლოებად ტირანიისა, რომლის წინააღმდეგაც რომაელები საკუთარი თავისუფლების დასაცავად იბრძვიან: „Aeneadae in ferrum libertate ruebant (VIII, 647).

2. მითოლოგია

მითოლოგიური პერსონაჟები

ტარხონი – „ენეიდას" ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი და ენეასის მთავარი მოკავშირე (VII, 505), და აგილას მეფე, იგი იბრძვის ტირან მეზენციუსისა და რუტულების წინააღმდეგ.

ტარხონი ეტრუსკული მითოლოგიის ცნობილი პერსონაჟია. იგი არის შვილი (ან შვილიშვილი) ტირენოსისა, ეტრუსელთა ბელადისა, რომელიც მათ ლიდიიდან შემოუძღვა. მან მამის ნებასურვილით დააარსა ეტრურიის 12 ქალაქი და სახელმწიფოს ორ-

---

[69] G. Camporeale, Ai primordi di Roma, წიგნში: Die intergration der Etrusker und das Weiter wirken etruskischen Kulturgutes im republikanischen und kaiserzeitischen Rom, Wien, 1998, 151.

[70] ამ ცნობას ლივიუსთან ვხვდებით – Ab urbe condita, II,2.

განიზების მთავარი პრინციპები შეიმუშავა. იგი წინასწარმეტყველებაშიც ფრიად განსწავლული იყო.[71]

ლივიუსის მიხედვით (De ost., C. 3, 10 A), ტარხონი იყო ის მეგუთნე, რომელიც შეხვდა ტაგეს, ლეგენდარულ წინასწარმეტყველს, ჭაღარა ბავშვს, რომელიც მიწის ბელტიდან ამოხტა და გლეხს დივინაციის მთავარი პრინციპები აუხსნა.

ვერგილიუსი, როგორც ვხედავთ, ცნობილი მითოლოგიური პერსონაჟის სახელს იყენებს, რათა იგი დამაჯერებლად გამოიყურებოდეს „ენეიდას" მითოლოგიურ ქარგაში.

დამაჯერებლობასთან ერთად ამ ორი პერსონაჟის (ენეისისა და ტარხონის) მოკავშირეობა „ენეიდაში" პოლიტიკურ მოტივაციას უქმნის რომაელთა სახელმწიფოს ერთიანობას, რომლის შემადგენლობაში ეტრურია ერთ-ერთ პროვინციად სულ ახალი შესულია.

მეზენციუსი. – „ენეიდას" მიხედვით აგილინას მეფე, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ამაყ ეტრუსკებს მონობაში ამყოფებდა. იგი ცნობილი იყო თავისი განსაკუთრებული სისატიკით და დასჯის საშინელი მეთოდებით. იგი ცოცხალს მკვდართან სახით აბამდა და ნელ-ნელა აკვდინებდა.

მეზენციუსი ქალაქიდან გააძევეს და მან რუტულებთან ჰპოვა თავშესაფარი, მათ მეფე ტურნუსს მიეკედლა. ვერგილიუსი აღნიშნავს:

> "Ergo omnis furiis surrexit Etruria iustis,
> regem et supplicium praesenti Marte reposcunt"
> (VIII, 494-495)

ვერგილიუსის მიერ შექმნილ ამ მხატვრულ სახეს ისტორიული პროტოტიპი გააჩნდა. ეს იყო კიუზის მეფე პორსენა, ვისთანაც განდევნილი ტარკვინიუს ამაყი ბინადრობდა. პორსენას განსა-

---

[71] ამას ადასტურებს სარკეები ტარხონის გამოსახულებით, სადაც იგი ცხვრის შიგნეულს ათვალიერებს – O. J. Brendel, Etruscan art, ed. E. H. Richardson, Harmondworth, 1985, 417. Fig. 310; O.W. von Vacavo, Die Etrusker in Der Welt Der Antike, Ravohlt Taschenbuch Verlag, 1982; 148-149.

კუთრებული სისატიკის შესახებ ინფორმაცია დაფუძნებულია ჰეროდოტოსის ცნობაზე[72] – ძვ.წ. 540 წელს ეტრურიის და კართაგენის გაერთიანებულმა ფლოტმა დაამარცხა ფოკიდელი ბერძნები. ტყვეები ცერეს მკვიდრებმა პორსენას ბრძანებით ჩაქოლეს.

საგულისხმოა, რომ მეზენციუსი რომელიც ვერგილიუსმა „ენეიდაში" წარმოადგინა როგორც უარყოფითი პერსონაჟი, არაა უარყოფითი იმის გამო, რომ იგი ეტრუსკია ან იმის გამო, რომ იგი ენეასის მოწინააღმდეგეთა რიცხვშია, არამედ საკუთარი არსის გამო – იგი დაუნდობელი მტარვალია. მეზენციუსი საძულველია არა მხოლოდ ენეასისთვის, არამედ თავად „ამაყი" ეტრუსკებისათვის.

3. რელიგია

ეტრუსკები ანტიკურობაში ყველაზე რელიგიურ ხალხად მიიჩნეოდა.[73]

ანტიკურ წყაროთა და ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით, თანამედროვე მეცნიერებს საშუალება აქვთ შეისწავლონ ეტრუსკული რელიგიისა და კულტის სხვადასხვა სფეროები.[74]

ვერგილიუსის „ენეიდა" ამ თვალსაზრისით, მრავალ საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს.

1. დივინაცია

როდესაც ვერგილიუსი ენეასის ეტრუსკ მოკავშირეებს ჩამოთვლის, ის ასახელებს აზილს, წინასწარმეტყველს:

> "Hominum Divumque interpres
> cur pecudum fibrae, caeli, cui sidera parent
> et linguae volucrum et praesagi, fulminisgnes"
>
> (X, 175-178)

ვერგილიუსი საუბრობს ეტრუსკული წინასწარმეტყველების თითქმის ყველა სახეობაზე: ადამიანთა ბედის განჭვრეტაზე,

---

[72] Historia, I, 167.
[73] Livius, Hist., V, 16.
[74] ამასთან დაკავშირებით იხ. „ეტრუსკული საკულტო ტერმინოლოგია".

ვარსკვლავთა მიხედვით წინასწარმეტყველებაზე, ელვათა მიხედვით მკითხაობაზე, სამსხვერპლო ცხოველის შიგნეულით დივინაციაზე, ე.წ. ჰარუსპიციაზე.[75]

რომში ეტრუსკებს ყოველთვის ჰქონდათ გამოცდილ წინასწარმეტყველთა რეპუტაცია.

ციცერონი მიუთითებს, რომ ეტრუსკები უძველესი დროიდან ცნობილი იყვნენ როგორც ღვთის ნიშანთა და საოცრებათა საუკეთესო განმმარტებელნი. სწორედ ამას გულისხმობდა სენატი, რომელმაც შეარჩია ათი ყმაწვილი ეტრუსკთა წარჩინებული ოჯახებიდან, რათა ისინი ამ ხელოვნებაში გაწაფულიყვნენ (De Divin., I, 92).

ამ ღონისძიებით ჩამოყალიბდა წინასწარმეტყველთა სპეციალური კოლეგია, რომელსაც საგანგებო პატივს მიაგებდნენ რომში. ვერგილიუსის შემდეგაც რომაელთა სახელმწიფო აგრძელებდა ამ ინსტიტუტზე დამოკიდებულებას. ტაციტუსი, მაგალითად, აღნიშნავს, რომ თავად იმპერატორი კლავდიუსი საგანგებო კანონს გამოსცემს ამ ეტრუსკული ინსტიტუტის დაცვის აუცილებლობაზე (Annales, X, 15).

საგულისხმოა ისიც, რომ იმპერატორმა ასევე დაწერა ნაშრომი ამ სფეროში, რომელიც მან ბერძნულ ენაზე შექმნა ოც წიგნად და Tyrrhenika უწოდა. მართალია, ამ წიგნებმა ჩვენამდე არ მოაღწია, მაგრამ ცნობილია, რომ ისინი ეტრუსკული დივინაციის ყველა მიმართულებას განიხილავდა.

ვერგილიუსი „ენეიდაში" არსად ახსენებს ეტრუსკთა ღმერთებს. ეტრუსკი არუნსი ომის წინ ლოცულობს, მაგრამ მიმართავს სორაკტელ აპოლონს (სორაკტი – მთა რომის მახლობლად, სადაც უძველესი საკრალური ადგილი მდებარეობდა):

„Arruns sic voce precatur:
Summe deum, sancti custos Soractis"
(XI, 784-785)

---

[75] Mac Bain, Prodigy and Expiation წიგნში: Study in Religion and Politics in Republic of Rome, Bruxelles, 1982, 60.

ვერგილიუსი ახსენებს მდინარის ღმერთ ტიბრისს, რომლისგანაც ენეასმა წინასწარმეტყველება მოისმინა (VIII, 31-66). ტიბრისი, „ენეიდას" მიხედვით, არის ტირენული მდინარე. ეტრუსკთა მდინარის ღმერთი ტიბრისი შეეულლა მანტოს, ტირესიასის ქალიშვილს და ჰყავდა შვილი ოკნუსი, რომელიც მანტუას დამაარსებლად მიიჩნეოდა (X, 198-202). ეტრუსკულ რელიგიაში ტიბრისის სახელი, როგორც ეტრუსკთა ღმერთისა, დაცული არაა, მაგრამ სამაგიეროდ სხვა ღმერთი, მანტუსია შემორჩენილი, რომელმაც ქალაქს თავისი სახელი მიანიჭა.[76]

ვერგილიუსის ვერსია მანტუას შესახებ ეფუძნება სერვიუსის ერთ პასაჟს (ad Aen., X, 19). (თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სერვიუსთან სხვა ვერსიაც არის წარმოდგენილი – მანტუა ტარხონის მიერაა დაარსებული).

1. ყოველდღიური ცხოვრება

„ენეიდაში" არის რამდენიმე დეტალი, რომელიც ეტრუსკთა ყოველდღიურობას უკავშირდება.

ტანსაცმელი, ფეხსაცმელი

საგულისხმოა, რომ ეტრუსკები ანტიკურ სამყაროში ცნობილები იყვნენ როგორც ფუფუნების მოტრფიალენი. ეტრუსკთა მოდის ტენდეციები ნათლად ჩანს კედლის მხატვრობაშიც.[77]

ვერგილიუსი ახსენებს რომაელთა და ეტრუსკთა ტანსაცმელს, განსაკუთრებით ტოგას (VIII, 458). ხოლო ერთხელ „Turrheni plantis" – ტირენულ თასმებიან სანდალს. სწორედ ისინი აცვია ევანდროსს:

"Turrhena pedum circumdat vincula plantis"
(VIII, 212)

სანდლები, როგორც ეს არქეოლოგიური მასალიდან დასტურდება, პოპულარული ხდება მხოლოდ ძვ. წ. VI ს. ბერძნული

---

[76] W. Schulze, Zur Geschichte der lateinischen Eigennamen, Berlin, Zürich, Dublin, 1966, 274.

[77] G. Camporeale, Abbigliamento e calzature წიგნში: Gli Etruschi, Utet, 2000, 184-186.

და აღმოსავლური გავლენის წყალობით. სანამ სანდლები გავრცელდებოდა, ეტრურიაში აპრეხილცხვირიანი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი – calcei repandi იყო პოპულარული.

ეტრუსკებმა სანდლების მოდიფიკაცია მოახდინეს. მათ ფეხსაცმლის ხის ძირები ბრინჯაოთი დაფარეს, სანდლის ზონრები ორ ნაწილად გაყვეს და ოქროს ფარჩით მორთეს. ეტრუსკთა ეს ნოვაცია სწრაფად გახდა პოპულარული და ამ სახეცვლილ სანდლებს ტირენული ეწოდა. ამ სახის სანდლები, მკვლევართა აზრით, ამკობს ფიდიასის მიერ შექმნილ ათენას ქანდაკებას.[78]

ავსონიელი ევანდროსის მიერ ტირენული სანდლების ჩაცმა სრულიად ბუნებრივად გამოიუყურება.

პოემის ერთ-ერთ პასაჟში ვენუსი აძლევს ნიშანს ენასს ჭექა-ქუხილის მეშვეობით. ქუხილის ხმა, როგორც ვერგილიუსი აღნიშნავს, ცას ისე აზანზარებს, როგორც ტირენული საყვირი:

"Namque improvisa vibratus ab aethera fulgor
Cum sonitu venit et ruere omnia visa repente
Tyrrhenusque tubae mugire per aetera clangor"
(VIII, 524-526)

ტირენული საყვირის ხმა ბერძნულ ლიტერატურაში კარგად ცნობილი მეტაფორაა. იგი ნახსენები აქვს ესქილეს „ევმენიდებში", სოფოკლეს „აიაქსში", ევრიპიდეს „ფინიკიელებში" და სხვა.

ტირენულ საყვირს, რომელიც ბერძნებმა ეტრურიიდან შეიტანეს, ჰქონდა როგორც სიმბოლური, ისე რელიგიურ-საკულტო დანიშნულება.

ტირენული საყვირის ორი სახეობა არსებობდა: მოკლე რკალისებური და გრძელი, სწორი, ბოლოში რკალით.[79]

1. ეტრუსკთა პიროვნული თვისებები

„ენეიდას" მიხედვით, რუტულებთან ომის დროს ევანდროსი სთავაზობს და წარუდგენს ენეასს ახალ მოკავშირეს – ეტრუსკებს

---

[78] Cristofani, 186.
[79] M. Pallottino, Etruscologia, Milano, 1984, 353.
W. Keller, La civiltá etrusca, Garzanti, 1985, 387.

– ხალხს, რომელიც იტალიაში ლიდიიდან მოვიდა და ცნობილია განსაკუთრებული საბრძოლო თვისებებით "gens bello praeclara" (VIII, 480).

ეს მოსაზრება ეტრუსკთა შესახებ განმეორებულია ვერგილიუსის მიერ არა მხოლოდ მთლიანად ხალხის მიმართ ("expertos belli iuvenes – X , 173), არამედ ცალკეულ პერსონაჟთან მიმართებაში, როგორიცაა ტარხონი, აზილი, ორინთოსი და მეზენციუსი.

ცხადი ხდება, რომ ენეასის როგორც მოკავშირეები, ისე მოწინააღმდეგეები უნდა გამოირჩეოდნენ თავისი საბრძოლო თვისებებით.

მაგრამ ამ თვისებებს ეტრუსკებს ვერგილიუსი მხატვრული კონცეფციის გასამართლებლად როდი მიაწერს, იგი ეფუძნება ისტორიულ წყაროებს. "Etrusci bellicossimi et gens magna fuit (Ad Georg. II, 533);

"Sane notum est bello multum potuissc Tyrrhenos" (Serv, in Aen, VII, 426).

"Quamquam tanta opibus Etruria erat etiam non terras solum sed mare Etiam per totam Italiae longitudinem a Alpibus ad fretum Sicilum fama nominis sui implesset" (Liv. I, 2,5).

მეორე თვისება, რაც ეტრუსკებს ღირსებას სძენს, არის მათი შეურიგებლობა ტირანის – მეზენციუსის მიმართ:

"ai fessi tandem cives infanda furentem
armati circumsistunt ipsunque domumque
obtruncant socios, ignem et fastigia iactant"
(VIII, 483-485)

მითოლოგიურ პერსონაჟებზე ზემოთ მსჯელობისას, განვიხილეთ მეზენციუსი, რომელიც მეფე პორსენას პროტოტიპად მივიჩნიეთ.

ეტრუსკების რომაელებთან დაპირისპირების ეს სიმბოლო ისტორიულ ფაქტებს ეხმიანება. აქ მხოლოდ ფოკიელი ბერძნების ჩაქოლვის ცნობას როდი ვგულისხმობთ, არამედ ეტრუსკთა და რომაელთა ხანგრძლივ დაპირისპირებას.

მრავალი ეტრუსკული ქალაქი იბრძოდა რომის წინააღმდეგ. მაგალითად, რომის უახლოესმა ქალაქმა – ვეიმ ასი წლის განმავლობაში (ძვ.წ. 442-396 წწ.) სამჯერ იომა რომის წინააღმდეგ. რომის მოწინააღმდეგე ეტრუსკულ ქალაქთა რიცხვში შედიოდა: პირგი, ტარკვინია, ფელსინა, არეცო. იყვნენ კი ეტრუსკები ოდესმე რომის მოკავშირეები? თითქმის არასდროს.

ცალკე რომს და ცალკე ეტრურიას ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი მოკავშირეები ჰყავდათ. რომს – კუმელი ბერძნები, ეტრუსკებს – ფალისკები (ძვ.წ. 354), სამნიტები, საბინები, უმბრელები, გალები (ძვ.წ. 298-290წწ).

მხოლოდ ერთხელ, ძვ.წ. 225 წელს ეტრუსკები და რომაელები გალების წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

ამგვარად, „ენეიდას“ ანალიზის შედეგად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაცია ეტრუსკების შესახებ შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. მასალა მოხმობილი ეტრუსკული რეალობიდან (ისტორიული მოვლენები, ხასიათები, ტოპონიმიკა).

2. მხატვრულად გადამუშავებული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს ისტორიულ-მითოლოგიური ცნობების ავტორისეულ ინტერპრეტაციას.

უნდა ითქვას, რომ ახალი მითოლოგიური სიუჟეტები ხშირად არ მისდევს ისტორიულ ფაქტებს, ახდენენ ისტორიული რეალობის კორექციას.

ეს ცვლილებები განპირობებულია, ჩემი აზრით, არა მხოლოდ ტექსტის მხატვრულობით, არამედ დამკვეთთა კონკრეტულ ინსტრუქციებით. იმპერატორ ავგუსტუსისა და გაიუს მეცენატის მითითებები ეფუძნებოდა ქვეყნის პოლიტიკურ კურსს, რომელიც Pax Romana-ს შენარჩუნებისკენ იყო მიმართული და დიდწილად დამოკიდებული იყო ე.წ. ეტრუსკულ ფაქტორზე.

მიუხედავად ზემოთნახსენები „ჩარევებისა“, პოემა არ კარგავს მხატვრულ ღირებულებებს და ორიგინალობას.

ინფორმაცია ეტრუსკებსა და მათ კულტურაზე ადასტურებს იმ მნიშვნელობას და გავლენას, რომელიც ეტრუსკებს ჰქონდათ

არა მხოლოდ რომაელთა კულტურაზე, არამედ მთელ ანტიკურ ცივილიზაციაზე.

ETRUSCANS IN "AENEID"

As it well – known, Virgil's Aeneid and its importance sufficiently surpass the limits of belles-lettres. The poem provides various information which attracts a special attention of the scientists working in literature, history, mythology, linguistics, politics etc.

This fact is naturally explained by the content of "Aeneid" – Virgil presents a mythological version of originating and development of Roman civilization. At the same moment here coexists myth and historical reality, fantasy and a reliable information.

Virgil can be derfined as an author of the mythological essence of his poem.

Of course, Virgil had a concrete basis to his mythological cinception. In order to give to his plot a convinciveness and realism. Virgil studied historical, mythological and literary heritage of Greece and Rome.

But all this information was not enough to complete the whole story about Aeneas. As it is known from the poem, Aeneas meets in Italy a lot of local tribes and people, who have their own culture – history, mythology, religion, laguage and lifestyle. So it was also important to know everything about this peoples, because they had to become not only the characters of Aeneid, but the characters of the Roman mythological history.

It may be said definitely, that among those peoples Virgil gave a special place to Etruscans.

Which spheres of Etruscan civilization are covered in "Aeneid"? We can distinguish the following semantic groups:

1. Historical – geograpical environments (towns, geographical place – names, historical characters);
2. Mythology (mythological characters, plots);
3. Religion and cult (gods, divination);

4. Lifestyle (ceremonies, dress, foot-wear, musical instruments);

5. Characteristics of Etruscans (ethnic properties).

According to the material collected by us in Aeneid, it may be said distinctly, that all the information can be divided into two groups:

1. Materials taken from Etruscan reality (historical events, characters, toponymy etc).

2. Material accumulated through interpretation of the myth about Aeneas (characters, mythological plots). Material from the second group are provided by Virgil on the basis of existing historical facts mentioned by other authors of generalization of concrete historical facts, and a new character is connected with a concrete mythological or historical prototype.

There are some cases when Virgil changes historical facts, ignores them or tries to "correct" them by mythological plots.

These corrections made to the history of Etruscan and Roman relations, in most cases, are based on the instructions of the customer – emperor Augustus or his advisor – G. Maecenas.

These corrections were consistent with their political course, as it was more favorable to maintain peace and balance in the state.

In spite of the above mentioned artificial interference, the poem does not loose its highly artistic qualities and purity.

The information about Etruscans and their culture affirms great importance and influence of Etruscans and points to various aspects of their culture which had a strong impact not only upon Roman, but also upon all the contemporary antique civilizations.

„იტალიელი“ ჰერაკლე

მეცნიერებაში დღესაც ბოლომდე გაურკვეველია, რამ გამოიწვია ჰერაკლეს ეგზომ დიდი პოპულარობა აპენინის ნახევარკუნძულზე მოსახლე ხალხებში.

ანტიკური ხანის იტალია მოფენილი იყო ჰერაკლეს ტაძრებით, საკურთხევლებით. ჰერაკლეს ახსენებდნენ ფიცის დადების, ვედრების დროს, მართლმსაჯულების აღსრულებისას.[80]

ჯერ კიდევ ძველი ავტორები ცდილობდნენ, ამ ფაქტისათვის გარკვეული მითოლოგიური ახსნა მოეძებნათ. საფიქრებელია, ამიტომაც შეითხზა ჰერაკლეს მოგზაურობის ამბავი იტალიაში, სადაც იგი გერიონის ძროხების მიკენში გადარეკვისას აღმოჩნდა.

ჩვენი მოხსენების მიზანს არ წარმოადგენს ამ ეპიზოდის განხილვა, რომელიც, თავისთავად, მრავალ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს როგორც თავად ჰერაკლეზე, ისე აპენინის ნახევარკუნძულის მაშინდელ მკვიდრ: ლიგურიელებზე, ეტრუსკებზე, მათ მეფე ფავნუსზე, ლათინების წინაპარზე. ჰერაკლესაგან ხომ ამ ვერსიით, ფავნუსის ასულს ძე გასჩენია, ლათინთა წინაპარი ლათინუსი.[81]

ჩვენ ამჯერად ვიმსჯელებთ ჰერაკლეს იტალიურ შესატყვისებზე — ეტრუსკულ ჰერკლეზე და რომაულ ჰერკულესზე.

უკვე წარსულს ჩაბარდა მეცნიერული თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ რომაული მითოლოგია ბერძნულის ე.წ. პროვინციულ ვარიანტს წარმოადგენს და თავის მხრივ, ეტრუსკული — რომაულის ლოკალურ ინტერპრეტაციას.

არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ ეტრუსკული ჰერკლე, თუ შეიძლება ითქვას, ორი ქრონოლოგიური ფენისაგან შედგება: — ერთი ფენა ბერძნული ჰერაკლეს მითოლოგიურ წრეში ტრიალებს — ლარნაკის ფერწერაში ჩვენ ვხედავთ ჰერაკლეს, რომელიც ნემეურ ჰიდრასთან, ლომთან, პითონებსა და აქელო-

---

[80] Dion. Halic. I, 40, 6.

[81] Liv., I, 7, 4-7; Apollod., bibl., II, 109.

ოსთან მებრძოლად წარმოგვიდგება. ბერძნულ ჰერაკლესთან დაკავშირებული ამ სიუჟეტების შემოსვლა ეტრურიაში განპირობებულია, როგორც ფიქრობენ, ბერძნული მითოლოგიის პოპულარობის ზრდით ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში, ეს კი ჩვ. წ.აღ-მდე VIII ს-ში უნდა მომხდარიყო.

ბერძნული მითოლოგიის პოპულარობის ზრდა, თავის მხრივ, საგარეო ვაჭრობის გაფართოებამ გამოიწვია და, ამგვარად, ხელოვნების ნიმუშები მათზე გამოსახული მითოლოგიური სცენებით ე.წ. „იდეოლოგიურ იარაღად" გადაიქცნენ. ამ დროიდანვე მკვიდრდება ეტრუსკულ სინამდვილეში სხვა მრავალი მითოლოგიური პერსონაჟი საბერძნეთიდან: მაგალითად, ქარონი (ეტრ. ხარუნი), რომლის სახელი ჩაენაცვლა სიკვდილის ეტრუსკული ღმერთის დღეს დაკარგულ სახელწოდებას, კასტორი და პოლიდევკესი (ეტრ. კასტური და პულტუხე), ჰადესი და პერსეფონე (ეტრ. აიტა და ფერსეპნეი). ამგვარად, როგორც აღვნიშნავთ, საქმე გვაქვს ჰერაკლეს კულტის გვიანდელ ფენასთან, ხოლო I ფენა — ქრონოლოგიურად უფრო არქაული, მეტად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

1. ვოლტერაში (ძვ. წ. 350-325 წწ.) ნაპოვნ ერთ ეტრუსკულ სარკეზე (და ეს ერთადერთ შემთხვევას არ წარმოადგენს),[82] ჰერკლე უნის, ცის ღვთაება ტინის მეუღლის, შვილად წარმოგვიდგება. უფრო სწორად, მის შვილობილად. უნი ძუძუს აწოვებს ზრდასრულ, წვეროსან ჰერკლეს (სურ. 1). გამოსახულებას ახლავს წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ ჰერაკლე არის უნის შვილი — unial clan.[83] ამ სცენას ორი ღმერთქალი და ორი ღმერთი ადევნებს თვალყურს.

ეჭვგარეშეა, რომ ამ სარკეზე გამოსახული სცენა შვილად მიღების რიტუალს ასახავს.

---

[82] ამავე სიუჟეტის შემცველია: აპულეური, ფალისკური ლარნაკები, სარკეები (4), მედალიონი პრენესტედან — L. B. Van Der Meer, Interpretatio Etrusca, Greek Myths on Etruscan Mirrors, Amsterdam, 1995, 124.

[83] TLE (39) – Pallottino, M., Testimonia Linguae Etrusca, Firenze, 1968.

ეტრუსკ ჰერკლესა და უნის ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ეწინააღმდეგება ჰერასა და ჰერაკლეს შორის არსებულ ქიშპს, რომელიც ბერძნული მითოლოგიიდან არის ცნობილი.

თუმცა, საყურადღებოა, რომ ბერძნულმა მითოლოგიამ შემოინახა სიუჟეტი, რომელიც მოგვითხრობს ჰერას მიერ ჩვილი ჰერაკლესთვის ძუძუს წოვების ეპიზოდს.[84] მაგრამ ეტრუსკულ ვარიანტსა და ბერძნულს შორის საგრძნობი სხვაობაა: პირველი — ჰერა ჰერაკლეს ათენას ეშმაკობის წყალობით, ისე, რომ არ იცის ვინაა დედის ყურადღების გარეშე დარჩენილი უმწეო ბავშვი, მისცემს რძეს, ხოლო უნი — ჰერკლეს ტახტზე დამჯდარი, ოთხი ღმერთის თანდასწრებით, საზეიმო ვითარებაში; მეორე — ბერძნულ მითში ჰერაკლე ჩვილი ასაკისაა, ხოლო ეტრუსკულ სარკეზე წვეროსანი ჰერკლეა გამოსახული.

2. ატრიში აღმოჩენილ სარკეზე (ძვ. წ. 480 წ.) ბერძნული მითოლოგიისათვის ასევე უცნობი სიუჟეტია გამოსახული — ჰერკლე იტაცებს ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ჰქვია მლახუხ. მეცნიერებს ბოლომდე ვერ დაუდგენიათ ვინ არის ეს იდუმალი ქალბატონი[85] (სურ. 2).

3. ჰერკლე ბევრგან მენრვას (მინერვას, ათენას) მეუღლედ თუ შეყვარებულად გამოისახება.[86]

4. რომაული წყაროები, გარდა ამისა, ერთ მეტად საყურადღებო ინფორმაციას გადმოგვცემენ — ჰერკლეს ეტრუსკთა მოდგმის დამფუძნებლად მიიჩნევდნენ.[87]

რომაელ მწერალთა და თავად ეტრუსკული ხელოვნების ნიმუშთა მიხედვით. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნდა აღგვედგინა შემდეგი გენეალოგიური სქემა, სადაც ჰერკლე მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა:

---

[84] Diod. IV. 9, Paus. IX 25, 2.

[85] კამათი ამ საკითხზე იხ. L. B. Van Der Meer, დასახ. ნაშრ., 140.

[86] Mauro Cristofani, Dizionario illustrato della civilla' etrusca, Firenze, 1999, 136.

[87] Strabo (V, 2, 2 [29]); Dionys. Hall. I, 28, 1.



5. განსხვავებით სხვა ბერძნული წარმოშობის ღვთაებებისა თუ მითოლოგიური პერსონაჟებისაგან, ჰერკლე კულტმსახურების ობიექტად გვევლინება. ჰერკლე ის ერთადერთი გამონაკლისია, რომლის სახელი გარდა ტაძრებისა და საკურთხევლებისა, ჰეპატოსკოპიაშიც დამკვიდრდა.

ჰეპატოსკოპიას ეტრურიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იქ არსებობდა ღვიძლზე მკითხაობის მძლავრი ინსტიტუტი, ფუნქციონირებდა ქურუმთა საკმაოდ მრავალწევრიანი კოლეგია, რომელთაც რომშიც იწვევდნენ რჩევის მისაცემად.[89]

განსხვავებით საბერძნეთისა და რომისაგან, სადაც ჰეპატოსკოპია ადგილობრივმა რელიგიურმა პრაქტიკამ ვერ შეისისხლხორცა, ეტრურიაში ქურუმებმა მიზნად დაისახეს ღვთაებრივ ნიშანთა დაწვრილებითი ინტერპრეტაცია, რისთვისაც იყენებდნენ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილ ცოდნას და უცვლელად შემონახულ პრინციპებს. ეს პრინციპები ურყევად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. სწორედ ამის შესახებ წერდა ციცერონი: „კარგად მოიქცა სენატი, რომ მიიღო დადგენილება ეტრუსკთა წარჩინებული ოჯახებიდან ათი ვაჟი ამ ხელოვნების შესასწავლად გაემწესებინა. ეს გაკეთდა იმ მიზნით, რომ ესოდენ

---

[88] ამასთან დაკავშირებით იხ. ე. კობახიძე, ეტრუსკული საკულტო ტერმინოლოგია, 2001, 131.

[89] Tacitus, Annales, XI, 15.

დიდი ხელოვნება... არ გადაქცეულიყო ანაზღაურებად ხელობად და ანგარების მიზნით არ გამოყენებულიყო".[90]

ეტრუსკული ჰარუსპიციის შესახებ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს პიაჩენცაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ღვიძლის მოდელი, რომელზეც, არსებითად, პროეცირებულია ე.წ. წმინდა სივრცის ანუ templum-ის, როგორც მას რომაელები ეძახდნენ, სურათი.

წინასწარმეტყველის ფუნქცია იმაში მდგომარეობდა, რომ ეწარმოებინა დაკვირვება მის მიერ აგებულ ტემპლუმზე და იმის და მიხედვით, თუ რომელი ღმერთი „ალაპარაკდებოდა" ღვიძლსა თუ ზეცაში, განემარტა ღვთაებრივი ნიშნები.

მნიშვნელოვანია, რომ ჰერკლე ბრინჯაოს ღვიძლის მოდელზე, ეტრუსკული რელიგიისათვის უმნიშვნელოვანეს და ორგანულ ღვთაებათა (ტინ, უნი, ნეთ, კათ, ვეტისლ, მარის, სატრეს და სხვ.) გვერდითაა წარმოდგენილი.

ჰერკლეს სეგმენტი (№27) Cath – მზის ღმერთისა და letha – ციური ღმერთის მახლობლად მდებარეობს[91] (სურ. 3).

ზემოთმოყვანილი ინფორმაციიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვთქვათ შემდეგი ვარაუდები:

1. ჰერკლე ეტრუსკული რელიგიისათვის ორგანული ღვთაებაა;

2. ჰერკლე რომელიღაც უზენაესი ღმერთის შვილს ან შვილობილს წარმოადგენდა (შესაძლოა, უნისაც);

3. ჰერკლე ციურ სამყაროსთან უნდა იყოს დაკავშირებული;

4. ჰერკლე არ წარმოადგენს ჰერაკლეს ეტრუსკულ ინტერპრეტაციას.

რაც შეეხება რომაულ ჰერკულესს, ჩვენ არ ვიზიარებთ მტკიცებულებებს მისი ბერძნული ჰერაკლეს ასლად წარმოდგენის შესახებ.

---

[90] Cicero, de divin., XLI, 92.

[91] ამასთან დაკავშ. იხ.: Adriano Maggiani, Qualche osservazione sul fegato di Piacenza, SE, 1984, 53; Giovanni Colonna, A proposito degi dei del fegato di Piacenza, SE, 1993, 245.

ამის სასარგებლოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი არგუმენტები:

1. რომაულ მითოლოგიაზე, რელიგიაზე და კულტზე, როგორც ამას თავად რომაელი ავტორები არაერთხელ მიუთითებდნენ, დიდი გავლენა მოახდინა ეტრუსკულმა კულტურამ.

2. ჰერკულესი უფრო საკულტო, ვიდრე მითოლოგიურ სფეროშია წარმოდგენილი.

3. ჰერკულესისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს მრავალი ლოკალური თავისებურება ახასიათებდა. მას ჰყავდა საგანგებო ქურუმი სალიები, მარსის ანალოგიურად.[92]

ციცერონი „ტუსკულანურ საუბრებში"[93] ახსენებს ვინმე კეკუსს, ცენზორს, რომელიც ჰერკულესთან დაკავშირებული მსახურების საიდუმლოთა გათქმისთვის დაბრმავდა.

4. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ ქალები ჰერკულესისადმი მიძღვნილ ზეიმებში არ მონაწილეობდნენ და ჰერკულესის სახელის ხსენება ფიცის დადების ჟამს ეკრძალებოდათ.[94]

ზემოთმოყვანილი სულაც არ ნიშნავს, რომ ჰერკულესზე არ აისახა ბერძნული ჰერაკლეს პოპულარობა და მის კულტმსახურებაში ერთმანეთს მხოლოდ ეტრუსკული და რომაული ლოკალური კულტები შეერწყა.

ცხადია, უმნიშვნელოვანეს საკითხად რჩება სახელის ეტიმოლოგია. ბერძნული ჰერაკლეს სახელი, თავად მითოგრაფოსთა მიერ, Hera და Cleos-ის სინთეზით მიღებულად მიიჩნეოდა და განიმარტებოდა, შემდეგნაირად — „ჰერას დიდება". ცხადია, ეტიმოლოგია, რომელიც ჰერაკლეს განდიდებას ჰერას ქიშპის წყალობით მოიაზრებს, ბუნებრივად არ გამოიყურებოდა. ამ უხერხულობას გრძნობდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში და ჰერასა და ჰერაკლეს შორის ურთიერთობის „მოსაწესრიგებლად" როგორც ძუძუს წოვების, ისე შვილად აყვანის სხვა მითებსაც იშვე-

---

[92] Serv., Verg., Aen., VII, 285; Ovid., Fast., III, 12, 7.
[93] V, §112.
[94] P. Porph., II, 6, 12.

ლიებდნენ და იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ჰერაკლეს, სანამ მას ჰერა იშვილებდა, ალკეოსი ერქვა.[95]

ყურადღებას იმსახურებს იმის გათვალისწინებაც, რომ სიტყვა „cleos"-ის ფუძე „cl,-cle-" ეტრუსკულადაც შეიძლება „გაიშიფროს". ეს ფუძე „შვილს, პირმშოს, ვაჟს" აღნიშნავს. ეს სრულიად თანხვდება ეტრუსკული მითოლოგიის ჰერკლეს, რომელიც არის კიდეც „unial clan" – უნის შვილი.

საბოლოოდ, ვფიქრობთ, შემდეგი ვარაუდები შეიძლება გამოვთქვათ: ჰერაკლე რომელიღაც არქაული ღმერთქალის შვილი (თუ შვილობილი) იყო, რომელიც წინაბერძნულ და წინარომაულ, უფრო სწორად, ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველეს პროინდოევროპულ მოსახლეობაში იყო პოპულარული.

ეს პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ მან აიძულა ბერძნები გამოეცხადებინათ ეს ღმერთი ზევსის შვილად და მისთვის დამატებითი თვისებები დაერთოთ, თუმცა, მიუხედავად ზევსის შვილობისა, მისთვის დაქვემდებარებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორეხარისხოვანი ღმერთის ამპლუის მინიჭება განემარტათ იმით, რომ იგი მოკვდავად, ადამიანად იშვა (საყურადღებოა ასევე ისიც, რომ ალკმენესა და ალკეოსს ერთი ფუძიდან წარმომდგარი სახელები ჰქვიათ, რაც მატრიარქალურ ფესვებზე მიუთითებს). ბუნებრივად დაისმის კითხვა, თუ რატომ გახდა აუცილებელი ჰერაკლეს სახელში ჰერას დაფიქსირება ან იმის აღნიშვნა რომ იგი ჰერას შვილია? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროტოჰერაკლეს დედაც ძალზე პოპულარული იყო არაინდოევროპულ ტომებში და მისი ჩანაცვლება ჰერათი ამ ნაბიჯით ნაწილობრივ მაინც გახდა შესაძლებელი.

ამის პარალელურად ეტრუსკულ სინამდვილეში სიცოცხლეს განაგრძობს იგივე ღვთაება, უნის შვილად წოდებული, რომელიც ეტრუსკულ კულტმსახურებაში პოპულარობას ინარჩუნებს. მისი სახელი, ბერძნული მითოლოგიის გავრცელებასთან ერთად ჩა-

---

[95] Hom., Ilias, XIX, 95; Apollod., II, 4, 5; Plautus, Amph., 1096, Diod. Sic., IV, 10).

ნაცვლებულია ბერძნული ვარიანტით ჰერაკლე (შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას უნიკლ ან უნიკლეც კი ერქვა).

რა ფუნქციები ჰქონდა ამ არაინდოევროპულ ღვთაებას?

ერთი შეხედვით, ამ ორ – ეტრუსკულ და ბერძნულ კულტმსახურების ობიექტს ბევრი რამ განასხვავებს. საბერძნეთში ჰერაკლეს პატივს სცემდნენ როგორც ათლეტიზმის, სიჯანსაღის მფარველს,[96] თერმების, ჭებისა და წყაროების დამცველს. ეტრუსკული ჰერკლე, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ცის სამყაროს უკავშირდება. საინტერესოა ერთი ინფორმაცია, რომელიც კალიმაქოსთან არის დაცული და ახდენს, ჩვენი აზრით, ჰერაკლეს და ჰერკლეს ფუნქციების დაახლოებას და ამ გზით, პროტოჰერაკლეს, თუ მას ამ სახელს პირობითად ვუწოდებთ, გავლენის სფეროს იდენტიფიკაციას. ჰერაკლე კალიმაქოსთან ზეციურ მეკარედაც წარმოგვიდგება.[97]

ვფიქრობთ, გლობალური დასკვნებისაგან თავი უნდა შევიკავოთ, თუმცა საყურადღებოა, რომ ბერძნული მითოლოგია საზოგადოდ იცნობს „გალმერთების" ფაქტს. ეს მოვლენა ასახავს ადრეარსებული კულტების აღიარებას ბერძნული რელიგიის მიერ. ამის მაგალითს ჰერაკლესთან ერთად უნდა წარმოადგენდეს დიონისეც, რომლის არაბერძნული წარმომავლობა დღეს არავისში ეჭვს არ იწვევს მიუხედავად სახელის ბერძნულობისა.

"ITALIAN" HERAKLES

It is still unclear for the science what is the reason of such a great popularity of Herakles in the people of Apennines peninsula.

The ancient Italy was very rich of temples and altars of Herakles. Name of Herakles was pronounced while taking an oath, praying, rendering justice.

The resume gives a view of interpretation of this fact.

---

[96] Diodorus Siculus IV, 39.

[97] Kallim., Hymn., 145.

On the bases of discussing Roman and Etruscan prototypes of Greek Herakles (Hercules, Hercle), using an archeological material following considerations have been suggested: Herakles was the son (or grandson) of an ancient goddess, who was popular in pre-Greek and pre-Roman i.e. ancient pro-Indo-European population of Mediterranean.

This popularity was such big, that it forced Greeks to announce this god the son of Zeus and append to him additional qualities.

Simultaneously, in Etruscan reality lives the same god called the Son of Uni – Hercle, who keeps his popularity in Etruscan divine service. Along with the spread of Greek mythology his name is substituted with Greek version – Herakles.

What functions did this non-Indo-European god have? At one glance, there are many differences between these two objects of Etruscan and Greek divine service. In Greece Herakles was respectable as a protector of athletes, healthiness, shafts and streams. Etruscan Hercle must have been connected with the world of sky according to the Bronze Liver found in Piacenza. We also find interesting the information, which is reserved at Kallimachos and draws together functions of Herakles and Hercle – at Kallimachos Herakles appears before us as a guard of heavenly gates. It is also interesting, that Greek mythology generally is familiar with the facts of idolization. This phenomenon reflects the acknowledgment of cults previously functioning by the Greek religion, the good example of which is also Dionysos, whose non-Greek origin is not doubted by anyone despite his Greek name.

სურ. 1

სურ. 2



სურ. 3

ღვთაება მარსის წარმომავლობის საკითხი

რომაელთა ღვთაება მარსის ფუნქციების იდენტიფიკაციის მცდელობა არაერთ გამოკვლევაშია მოცემული.[98] განსაკუთრებული ინტერესი ამ ღვთაების მიმართ რომაულ ე.წ. გენეალოგიურ მითებში მისი მონაწილეობითაა განპირობებული. რომულუსისა და რემუსის მამა, ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ფოლკლორული პოეზიის ნიმუშების მთავარი გმირი, მეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ბერძენთა ომის ღმერთის, არესის, ჩრდილქვეშ და მის რომაულ ინტერპრეტაციად აღიქმებოდა.

დღესდღეობით „სამართლიანობა აღდგენილია" და ბერძნული მითოლოგიის გავლენით შეძენილი ომის ღმერთის როლი მარსისათვის მეორადად არის მიჩნეული, თუმცა, ერთმნიშვნელოვნად არაა დადგენილი მისი თავდაპირველი ფუნქცია.

ვფიქრობთ, პრობლემის არსში წვდომა შეუძლებელია რომაული ღვთაების „იტალიური კონტექსტის" გათვალისწინების გარეშე. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ აპენინის ნახევარკუნძულზე მოსახლე ხალხების პანთეონსა და მითოლოგიაში დადასტურებული მარსის სეხნია ღმერთების მონაწილეობას რომაული ღვთაების ფუნქციათა ფორმირების საკითხში.

ეს მითოლოგიური პერსონაჟები და ღმერთები არიან: მარსელების – Marsia, Marsos, ავსონთა – Mares და ეტრუსკული – Maris.

---

[98] Georg Wissowa, Religion u. Kultur d. Römer, 2. Auflage, München, 1912, U. W. Scholz, Studien z. altitalischen u. altrömischen Marskult u. Marsythos, Heidelberg, 1970 E. Simon, Il dio Marte nell'arte dell' Italia Centrale, Studi Etruschi, XLVI, 1978, 135-47, G. Hermansen, Studien über d. Italischen u d. römischen Mars, Copenhagen, 1940; Attilio Mastrocique, Ricerche sulle religioni italiche, vol. LXI, 1996 და სხვ.

განვიხილოთ თითოეული ღვთაების შესახებ არსებული ინ-ფორმაცია, რაც პირველ ორ შემთხვევაში მთლიანად ეფუძნება ლიტერატურულ წყაროებს.

ორიოდე სიტყვა მარსელების ეთნონიმის შესახებ. მარსელები, იტალიის უძველესი ბინადრების საკუთარ ეთნონიმს ლიდიელ მეფეს, მარსიასს უკავშირებდნენ.[99] ბეიეს აზრით, ლეგენდა მარსიას იტალიაში მოსვლის შესახებ, რომელიც კაკოს რომაულ მითშია ჩართული, სრულიად უცხო ელემენტია და შეიქმნა ბერძნულ-ეტ-რუსკული გარემოს გავლენით დაახლოებით ძვ.წ. IV ს. ქ. კაპუა-ში.[100]

მეტი ნდობით სარგებლობს მარსელების ეპონიმის ამხსნელი სხვა, პარალელური ვერსია, რომელიც მარსელებს კირკეს (თუ მე-დეას) შვილს, მარსოსს, უკავშირებს.[101]

ამ ვერსიის არქაულობას ზოგიერთი მეცნიერი სრულიად და-მაჯერებლად მიიჩნევს, რადგან კირკეს თუ მედეას მონაწილეობა (აქ ვგულისხმობთ ნაყოფიერების ქალღმერთებისა ზოგადად, რომელთა სახელები მოგვიანებით კირკემ შეცვალა) იტალიის სხვადასხვა ტომთა ეთნონიმების ფორმირების საკითხში საკმაო-დაა გავრცელებული.[102]

კირკეს იტალიურ შესატყვისებზე და მათი კირკესთან გაიგივე-ბის მოტივებს ეხება „კირკე და იტალია", სადაც სხვა ღმერთქა-ლებთან ერთად განხილულია კირკეს (თუ მედეას) სახელს ამოფა-რებული მარსული ღმერთქალი ანგიტია.[103]

ამგვარად, მარსოსის შესახებ მითი, რომელიც ანგიტიას მეუღ-ლე თუ ვაჟია, მკვლევართა უმეტესობის აზრით, წინარომაულ ეპოქას განეკუთვნება და მის გამოჩენას მარსელთა მითოლოგიაში

---

[99] Plin., nat., III 108, Silv., VIII, 502-504, Sol., II, 6, Osid., Orig., IX, 2, 88.
[100] J. Bayet, Les Origines de l'Hercule romain, Paris, 1926, 214.
[101] Plin., nat., XXV, 11; Gell, XVI, 1.
[102] Cesare Letta, I Marsi e il fucino nell' Antichità, Centro studi e documentazi-one sull' Italia Romana, Monografie supplemente degli Atti 3, Milano, 1972, 53.
[103] ამასთან დაკავშირებით იხ. „კირკე და იტალია".

არ უკავშირებენ რომაელთა მხრიდან იტალიკურ ტომთა კულტურული გაერთიანების მცდელობას.

როგორი იყო მარსოსის ფუნქციები? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს, თუმცა, თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ მისი დედა თუ მეუღლე ნაყოფიერების ქალღმერთია და მარსელებს, მის შთამომავლებს, გველების მომთვინიერებლების რეპუტაცია ჰქონდათ,[104] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარსის ხთონურ-ვეგეტატიურ ღვთაებას განასახიერებდა.

ავსონთა ღვთაება Mares-ის შესახებ ორი სხვადასხვა მითი არსებობს. პირველი ვარიანტი, რომელიც დიოდოროსთან დასტურდება, Mares-ს მიიჩნევდა კირკეს და ოდისევსის შვილად, ავსონთა წინაპრად.[105]

პარალელურად ამ მითისა, რომელიც აშკარად ბერძნული მითოლოგიის იტალიაში იმპორტირებისას შეიქმნა, არსებობს სხვა ვერსია Mares-ის შესახებ.

ამ მითის მიხედვით, ავსონთა წინაპარი Mares კენტავრი იყო, რომელმაც 123 წელი იცოცხლა და სამჯერ აღდგა მკვდრეთით.

მითის ეს ვერსია ელიანუსის მიერაა შემონახული. მართალია, ელიანუსი ბერძნულად წერდა, მაგრამ მას იტალია არასოდეს დაუტოვებია.[106] იგი პალესტრინაში (დღ. პრენესტე) დაიბადა და კარგად იცნობდა ავსონთა მხარეს, რომელთა შესახებაც შემდეგ მოგვითხრობს:

„Τὴν Ἰταλίαν ᾤκησαν πρῶτοι Αὔσονες αὐτοχθόνες. πρεσβύτατον δε' γένέσθαι Μάρην τινὰ καλούμενον, οὗ τα᾽ μεν ἔμπροσθεν λέγουσιν ἀνθρώπω ὅμοια, τὰ ᾳ᾽ κατόπισθεν δὲ ὕππῳ. αὐτο' δὲ τούνομα εἰς την Ἑλλάδα φασὶν ἱππομιγὴς δύναται. δοκεῖ δὲ μοι πρῶτος ὕππον ἀναβῆναι καὶ ἐμβαλεῖν αὐτῷ χαλινόν, εἶτα ἐκ τούτον διφυὴς πιστευθῆναι. μυθολογοῦσι δὲ ἑκατόν, καὶ ὅτι τρίς ἀποθανῶν ἀνεβίω τρίς· ἐμοί δὲ οὐ πιστὰ δοκοῦσιν".[107]

---

[104] Servius, ad. Aen., VII.
[105] Diod., V, 7.
[106] Philostratus, Vitae Sophistarum 31, 3.
[107] Varia Historia, IX, 16.

მარესი, რომელიც ავსონთა მისი მიხედვით, კენტავრად გვევლინება, მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, ხთონურ ძალებთან არის კავშირში.[108]

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კენტავრის ასაკი (123) გარკვეულ მიმართებაშია ეტრუსკულ saeculum-ის ხანგრძლივობასთან, რაც კენსორინუსთან არის დადასტურებული.[109]

მარესის სამჯერ სიკვდილი და სამჯერ გაცოცხლებაც უკავშირდება კიდევ ერთ ეტრუსკულ პერსონაჟს პალესტრინადან – ესაა ერულუსი, სამჯერ მკვდრეთით აღმდგარი მეფე, ქალღმერთ ფერონიას მითიური ვაჟი.[110] ზოგიერთი მკვლევარი პრენესტეს ზარდახშაზე გამოსახულ სხვადასხვა ეპითეტებით მოყვანილ 3 მარესს ამ მითის ანარეკლად მიიჩნევს.[111]

ავსონურ მარისთან გარკვეულ კავშირშია ნაყოფიერების მფარველი ავსონური ღმერთქალი Marica,[112] რომელსაც ეძღვნებოდა გარილიანოში აღმოჩენილი ტაძარი.[113]

ეტრუსკული Maris-ის შესახებ მარსელების Mares-სა და ავსონურ Marsos-სთან შედარებით მეტი ინფორმაცია მოგვეპოვება. ლიტერატურული წყაროების გარდა, ჩვენს ხელთაა არქეოლოგიური მასალა: ლარნაკები, სარკეები, ტაძრები, გოტიკური ქანდაკებები, წარწერები და ა.შ.

პრობლემას ქმნის მარისთან დაკავშირებული ინფორმაციის, ერთი შეხედვით, უსისტემო ხასიათი. ამასთან, როგორც დღეს მიიჩნევენ, მარისის სახეში ორ ქრონოლოგიურ და თუ შეიძლება ითქვას, ეთნიკური ფენის არსებობაა დადასტურებული.

უფრო გვიანდელ პლასტს უნდა მივაკუთვნოთ მარისის გაიგივება არესთან. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მოგვიანებით,

---

[108] U. W. Scholz, დასახ. ნაშრ., 72-78.
[109] Censorinus, De die natali, XVII, 6.
[110] Studien 62 f.
[111] G. Hermansen, Mares, Maris, Mars and the Archaic Gods SE, Vol., LII, 1986.
[112] Serv., Aen., XII, 164, Verg., Aen., VIII, 47.
[113] Aelianus, Var. hist., IX, 16; E. La Forgia, Nuove osservazioni sul tempio di Marica, Aion. Archst. An. XIV, 1992, 69-76.

არესი მითოლოგიურ სცენებში ეტრუსკულ ლარნაკებზე უკვე არა მარისით, არამედ ეტრუსკთა ომის ღვთაება ლარანითაა ჩანაცვლებული. ვფიქრობთ, ეს ჩანაცვლება არესის კულტის გააზრების შემდეგ განხორციელდა, განსხვავებით პირველი შემთხვევისაგან, როდესაც არესი მარისთან, ჩვენი აზრით, სახელთა ფორმობრივი მსგავსების გამო მექანიკურად გაიგივდა ეტრურიაში ბერძნული ხელოვნების ნიმუშთა „კოპირებისას" (შდრ. ARES – MARES).

რა ფუნქციები ჰქონდა ეტრუსკულ Maris-ს? აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მეცნიერთა უმეტესობა ეტრუსკთა ამ ღვთაებას ვეგეტაციურ ან ხთონური ფუნქციების მატარებლად აღიქვამს.[114]

ჩვენ ვემხრობით ეტრუსკთა Mares-ის ხთონურ ღვთაებად აღქმას და დამატებით არგუმენტად პიაჩენცაში აღმოჩენილი სამკითხაო ბრინჯაოს ღვიძლის მოდელს მოვიშველიებთ. მასზე აღნუსხულ ღვთაებათა გვერდით მარისი ორჯერაა ნახსენები ფორმებით: Mari და Marisl Laθ, სადაც პირველი ფორმა შემოკლებაა, ხოლო მეორე – ეპითეტი. ორივე შემთხვევაში Maris ბუნების სასიცოცხლო ძალებთან დაკავშირებული ღვთაებების გარემოცვაშია წარმოდგენილი (Cilens, Erth – მშობიარობის მფარველი ღვთაება, fufluns – ნაყოფიერების ღმერთი).

არის თუ არა Maris, მსგავსად ავსონთა Mares-სა და მარსელთა Marsos-ისა, დაკავშირებული გენეალოგიურ მითთან?

ვფიქრობთ, ეს კავშირი ნამდვილად არსებობს, რაც პირველ რიგში დასტურდება Maris-ის მშობლების იდენტიფიკაციით. Maris-ის დედა არის, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, Menrva ან, სხვა მოსაზრებით Turan[115] (ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ღვთაება უნდა იყოს). Turan-ის შესახებ ჩვენ უკვე გამოვთქვით ვარაუდი და დავაკავშირეთ იგი ნაყოფიერების და განახლების ძა-

---

[114] Grenier., A., Les religions, étrusque et romaine, Paris, 1948, 41; A. J. J. Pfiffig, Religio Etruca, Graz, 1975, 249-250.

[115] A. J. Pfiffig, დასახ. ნაშრ., 249.

ლებთან.[116] ამასთან, მარისის გამოსახულებებთან დადასტურებული Maris turans და Maris-ის ერთ-ერთი ეპითეტი „menita" „მომტანი" აგრეთვე კავშირში იმყოფება turan-ის სიტყვის ეტიმოლოგიასთან (tur- „მოძიება, მიძღვნა"). ამგვარად, აქაც სახეზეა ნაყოფიერების ღმერთქალის და ხთონური ღმერთის კავშირი.

Maris-ის მამად მეცნიერები Hercle-ს ასახელებენ,[117] რაც იმ მითოლოგიური სიუჟეტებიდან გამომდინარე დასკვნას წარმოადგენს, რომელიც ეტრუსკულ კერამიკაზეა ასახული. ჩვენის მხრივ დავამატებდით იმასაც, რომ ბრინჯაოს ღვიძლის მოდელზე Maris-ის გვერდით სწორედ Hercle-ს ვხედავთ.[118] აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჰერკლე პირდაპირ კავშირშია ეტრუსკულ-გენეალოგიურ მითთან, რომლის მიხედვითაც, Hercle ეტრუსკთა Pater indiges-ად გვევლინება.

არსებული მონაცემებით, ძველი იტალიის ბინადარ ხალხთა და ტომთა მითებში დაცული ინფორმაცია მარსის შესახებ ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ.

კირკე – ოდისევსი (?)
↓
მარსოსი – ანგიტია
↓
მარსელები

კირკე – ოდისევსი (?)
↓
მარის – მარიკა
↓
ავსონები

უნი – ტინია
↓

---

[116] იხ. „Turan სიყვარულის ეტრუსკული ღვთაება?"
[117] G. Hermansen, დასახ. ნაშრ., 154-155.
[118] იხ. „იტალიელი ჰერაკლე".

ჰერკლე – მენრვა
↓
მარისი – ტურანი
ეტრუსკები

სამივე სქემიდან ყველაზე სრული, და ნაკლებ ელინიზებული როგორც ვხედავთ, ეტრუსკული ვარიანტია, რომელიც, ჩვენი აზრით, მარსული და ავზონური ვარიანტების პროტოტიპია.

როგორია რომაული მარსი, რამდენად მისდევს იგი მარსის „იტალიური ვერსიის" კონტექსტს?

შევადაროთ იტალიური სქემები რომაულ ღვთაებათა მიმართების ამსახველ სქემას:

იუნო — იუპიტერი
↓
მარსი — რეა სილვია
↓
რომულუსი, რემუსი
↓
„I რომაელები"

აქაც ნათლად ვხედავთ Rea-Silvia-სთან, როგორც ნაყოფიერების ძალებთან, კავშირს (შდრ. სახელის ეტიმოლოგია) და იმასაც, რომ მარსი „I რომაელთა" მამად გვევლინება. ეს უკანასკნელი ინფორმაცია რომაული მარსის, რომელუსისა და რემუსის შესახებ არსებული მითის ეტრუსკულ-მითოლოგიურ სინამდვილესთან გარკვეულ კავშირზე უნდა მიუთითებდეს, ანუ მიმართებაზე ეტრუსკულ Mares-თან. საინტერესოდ გვეჩვენება ჰერკულესისა და მარსს შორის რაღაც კავშირის კვალი რომაულ მითოლოგიაში. კერძოდ, უბრალო დამთხვევად არ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ჰერკულესს მარსის მსგავსად სალიები ჰყავდა ქურუმებად.[119]

---

[119] Serv., Verg. Aen., VII, 285; Ovid., Fast., III, 12, 7.

ბოლოს განვიხილოთ სახელის ეტიმოლოგიაც. ამ შემთხვევაში მეცნიერთა აზრი იყოფა და ზოგიერთი მკვლევარი რომაულ Mars-ს ეტრუსკული Mares-დან მომდინარედ მიიჩნევს, სხვანი – პირიქით. ზოგი ამ ტერმინების ერთმანეთისაგან იზოლირებულად განიხილავს.[120]

ჩვენი აზრით, ეტიმოლოგიის დადგენისას, პირველ რიგში, ფუძის პროდუქტიულობა უნდა განვიხილოთ. მაგ., Mars-ის შემთხვევაში, რომლის ფუძეა Mart, ჩვენ ფუძის პროდუქტიულობას ვერ ვადასტურებთ (აქ პირველ რიგში ვგულისხმობთ ზმნურ ფუძეებს და არა საკუთარ სახელებს, რომელთა წარმოება მეორადია).

ეტრუსკული Maris, რომლის ფუძე აშკარად Mar- უნდა იყოს (შდრ. Mari — mar, mars), რომელიც ზმნურ ფორმებშია ასახული: mar, mare, marv, marcne, marcni და ა.შ. ამ ზმნის მნიშვნელობა უკავშირდება ვოტიკურ სფეროს.

მარისის ეტიმოლოგიის განხილვისას, ჩვენი აზრით სამი გარემოებაა გასათვალისწინებელი:

1. ვფიქრობთ, სიტყვათშეთანხმება, Maris turans, რომელიც ეტრუსკული Maris-ის გამოსახულებებთან დასტურდება, შესაძლოა ტურანის არა შვილს, არამედ მამრს, ქმარს ნიშნავდეს (შდრ. ლათ. Maritus – ქმარი, mas, maris – მამაკაცი) შდრ. marmar – mars-ისადმი მიძღვნილ სიმღერაში.

2. ბერძნულში არის ფუძე μείραξ, μειράκιον (ახალგაზრდა ვაჟი), რომლის ეტიმოლოგია დაუდგენელია და ზოგიერთი მეცნიერი წინაბერძნულ სამყაროს და ეტრუსკულ maris-ს უკავშირებს.[121]

3. საინტერესოა, რომ მსგავსი ფუძე სვანურშიც დასტურდება. მარე (mare) ვაჟს აღნიშნავს.

და ბოლოს, ვფიქრობთ, შესაძლებელია აღვადგინოთ ის „მითოლოგიური ბირთვი", რომელიც ხმელთაშუაზღვისპირეთის წინაბერ-

---

[120] A. J. Pfiffig, Die Etruskische Sprache, Graz, 1969, 249.

[121] ამასთან დაკავშირებით, იხ. ე. კობახიძე, ეტრუსკული საკულტო ტერმინოლოგია (სემანტიკა, გენეზისი), თბილისი, 2001; 103.

ძნულმა და წინაიტალიურმა მოსახლეობამ ბერძნებსა და ეტრუსკებს „გადასცა" და მათ მითოლოგიაში განიცადა მეტამორფოზა.

I

1) Zeus — Alkmene – ბერძნული

Tin — Uni – ეტრ.

II

2) Heracles – Medea ბერძნ.

Hercle – Menrva, Catha – ეტრ.

III

3) Maris – Turan (Cavatha) ეტრ.

ბერძნ. —

ბერძნ. ჰერაკლეს და მედეას იმქვეყნად დაქორწინების ამბავი ბერძნულმა მითოლოგიამ შემოინახა.[122]

ამგვარად, რომაული მარსი წარმოადგენს ეტრუსკული Marisის კულტის სესხების მაგალითს, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში კარგად ცნობილი გენეალოგიური მითის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს.

მისი მამა, როგორც ჩანს, ჰერაკლე – ჰერკლე უნდა იყოს, რომელიც ასევე ძალზე მნიშვნელოვანი ღვთაებას წარმოადგენდა მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის ავტოხთონური მოსახლეობისთვის. მარსის სახელი ბერძნულმა მითოლოგიამ არ შემოგვინახა. მარსის ფუნქცია ხთონური ძალების მფარველობაა და მისი კავშირით ნაყოფიერების ქალღმერთთან ეთნოსის მამამთავარი იბადება.

THE ISSUE OF DESCENT OF DEITY MARS

Attempt to identify the roles of Mars – god of Romans is given in many researches. An object of particular interest is matter of descent. An important is impossibility to inquire the matter without consid-

[122] Lycophr, 174, 798.

eration of "Italian context" of Romans deity. In such case a connection of Mars's namesake gods being acknowledged in pantheon and mythology of tribes of Apennines peninsula in formation of Romans deity roles is to be considered.

These mythological personages and deities are the following of: Marsellins – Marsia, Marsos; Avzons – Mares and that of Etruscans – Maris.

In the issue of examination of materials existed concerning each above mentioned deity an information regarding Mars maintained in myths of peoples and tribes of Italy is described schematically. It is determined that most entire and less non-Hellenized is Etruscan version, which constitutes a prototype of Marsellin, Avzon and Roman versions.

Roles of so-called proto-Mars are determined on the grounds of analysis of materials of Mars name etymology new version – 'cooper liver" model.

An endeavor of schematic renovation of "mythological drive" being "delivered" by fore-Greece and fore-Italian population to Greeks and Etruscans is described concerning Mars in final part of work.

In the capacity of conclusion is stated that Roman Mars represents an example of cult adoption of Etruscan Maris which in the same time relates to one of capital personage of genealogical myth being well-known in Mediterranean region.

His father, evidently, must be Hercules which was an important deity too for indigenous population of Mediterranean region.

Mars's name is not kept in Greek mythology.

Roles of Mars are protection of chthonic powers and through His relations with goddess of fecundity forefather of ethnos is being born.

Turan – სიყვარულის ეტრუსკული ღვთაება?

ეტრუსკოლოგთა შორის გავრცელებული აზრის მიხედვით, ბერძნულ აფროდიტესა და რომაული ვენუსის შესატყვის ღვთაებას ეტრუსკთა რელიგიაში ტურანი წარმოადგენს. ეს თვალსაზრისი ეფუძნება იკონოგრაფიულ მონაცემებს. კერამიკასა და ქანდაკებაში ტურანი მჭიდროდ არის დაკავშირებული ატუნისთან ანუ მითოლოგიურ ადონისთან. ტურანის უცვლელი ატრიბუტებია მტრედი და გედი, ხშირად მას ხელთ უპყრია რტო ან ყვავილი.

ეტრუსკული რელიგიის და, საერთოდ, ეტრუსკული კულტურის ინდოევროპულობის მომხრენი ამ მიზეზთა გამო ტურანს ბერძნულ და რომაულ სიყვარულის ღვთაებებთან აიგივებდნენ და მას ბერძნული აფროდიტეს და რომაული ვენუსის ფუნქციურ და სემანტიკურ ასლად წარმოგვიდგენდნენ.[123]

ჩვენი აზრით, ტურანის წარმომავლობაზე გავრცელებული ეს მოსაზრება საკითხს ცალსახად განიხილავს. მხედველობაში არაა მიღებული ტურანის სხვა – უფრო არქაული გამოსახულებანი, რომლებიც არ უკავშირდებიან ბერძნულ მითოლოგიას. ასევე უყურადღებოდაა მიტოვებული თავად სიტყვის ეტიმოლოგია, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს.

ამგვარად, ეტრუსკული ტურანის წარმომავლობის და ფუნქციების გასარკვევად, ვფიქრობთ, თავიდანვე საჭიროა გამოვაცალკევოთ ერთმანეთისაგან ე.წ. „ბერძნულ-რომაული" ტურან და ტურან „ეტრუსკული".

ე.წ. „ბერძნულ-რომაული" ტურან სარბიელზე ჩნდება ბერძნული მითოლოგიის პოპულარობის გაძლიერების დროიდან. ეს, როგორც ფიქრობენ, უკავშირდება ძვ.წ. მე-8 საუკუნეს, როდესაც ბერძნული მითოლოგია, მატერიალიზებული ხელოვნების ნი-

---

[123] A. Grenier., Les religions étrusque ét romaine, Paris, 1948.
R. Bloch., Gli Etruschi, Milano, 1962.
J. Heurgon., La vie quotidienne chez les étrusques, Paris, 1963.
M. Pallottino., Etruscologia, Milano, 1985.

მუშებსა და ყოველდღიური მოხმარების საგნებზე, ფართოდ ვრცელდება ხმელთაშუაზღვისპირეთში და „ტირსენელთა" ზღვის გავლით – ეტრურიაშიც.[124]

სწორედ ამ პერიოდში ჩნდება ეტრუსკული სკოლის კერამიკოსთა სახელოსნოებში შესრულებულ ჭურჭელზე აფროდიტეს მაგივრად სახელი ტურან, რომელიც აფროდიტესთან დაკავშირებულ ყველა სიუჟეტში მონაწილეობს. იგი სრულიად ბუნებრივად გამოიყურება ბერძნული მითოლოგიის იმ ღვთაებათა გვერდით, რომელთა სახელებიც მცირედაა „ეტრუსკიზირებული"- მაგ., ეტრუსკული Aritimi (ბერძნული Artemes) „არტემისი", Aplu (ბერძნ. Apollon), „აპოლონი", Phersepnei – (ბერძნ. Persephone) `პერსეფონე" და სხვა.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ Turan ეტრუსკთა რელიგიაში ერთადერთ ღვთაებას წარმოადგენს, რომლის სახელსაც ეტიმოლოგიურად შესაბამის ბერძნულ და რომაულ ღვთაებასთან საერთო არაფერი აქვს. ასეთივეა Sethlans („ჰეფესტო, ვულკანუსი"), Laran („მარსი"), Calu („სიკვდილის ღმერთი" – თანატოსი), Tin („ჭექა-ქუხილის ღვთაება" – ზევსი, იუპიტერი), Thesan („ეოსი, ავრორა").

ამასთან ერთად, ეტრუსკულ რელიგიაში არსებობს კიდევ სხვა ღვთაებებიც, რომელთაც არც ფუნქციურად და არც სემანტიკურად არა აქვთ კავშირი ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან (Tuchulcha, Veltha, Vecuvia, Tes, Vetis, Nortia.....).

ამგვარად, ყოველივედან გამომდინარე, ეტრუსკულ პანთეონში შეიძლება შემდეგი პირობითი ჯგუფები წარმოვიდგინოთ:

1. ბერძნულ-რომაულ ღვთაებებთან როგორც სემანტიკურად, ისე ეტიმოლოგიურად დაკავშირებული (Achelae – ბერძნ. აქელოოსი; Aita- ბერძნ. ჰადესი; Aplu – ბერძნ. აპოლონი; Atunis-ბერძნ. ადონისი; Metus-ბერძნ. მედუზა; Phersepnei – ბერძნ. პერსეფონე, ლათ. პროზერპინა, Castur- ბერძნ. კასტორი);

---

[124] G. Devoto, Aperture e isolamento del mondo etrusco, Roma, 5, 1962,12.

2. ბერძნულ-რომაულ ღვთაებებთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული და სემანტიკურად განსხვავებული (Charun – ბერძნ. ხარონი; Hercle – ბერძნ. ჰერაკლე, რომაული ჰერკულესი);

3. ბერძნულ-რომაულ ღვთაებებთან სემანტიკურად მიახლოებული და ეტიმოლოგიურად განსხვავებული (Calu – „სიკვდილის ღმერთი", Laran – „ომის ღვთაება", Thesan – „განთიადის ღმერთქალი");

4. ბერძნულ-რომაული ღვთაებებისგან როგორც სემანტიკურად, ისე ეტიმოლოგიურად განსხვავებული (Cautha – „მზის ღვთაება", Tuchulcha – „სიკვდილის დემონი", Tages – „მითიური წინასწარმეტყველი", Vecuvia – „ბედისწერის ღვთაება" და მრ. სხვა).[125]

Turan ამ სისტემატიზაციით შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა მესამე ქვეჯგუფისათვის, რომ არა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევ ერთი, „ბერძნულ-რომაული ტურანისაგან" განსხვავებული „ეტრუსკული ტურანის" არსებობა, რომელიც დადასტურებულია უფრო არქაულ ხელოვნების ნიმუშებში.

ეს ტურანი წარმოადგენს ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ფრთები ამკობს.

სარკის დეკორაციაზე მას ფრთებთან ერთად ფრთებიანი სანდლებიც აცვია და საკულტო პოზაში (ხელების გეელისებურად მორკალვა) ორი ქურუმის გარემოცვაში დგას[126].

რა თქმა უნდა, რომ არა წარწერა, რომელიც ამ ნიმუშებს ახლავს, შეუძლებელი იქნებოდა ამ გამოსახულებაში იმ ტურანის

---

[125] თითოეულ ტერმინთან დაკავშირებით, იხ. ე. კობახიძე, ეტრუსკული საკულტო ტერმინოლოგია (სემანტიკა, გენეზისი), 2001.

[126] იხ. ბრინჯაოს ქანდაკება კასტელ მარიანოდან პერუჯაში და სარკე პრენესტედან (Gerhard E., Körte G., Etruskische Spiegel, I-V, Berlin 1884-1897, ABB 114, ABB 115) _ ძვ. წ. მე-6 ს.

ამოცნობა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნულ-რომაულ აფროდიტე- ვენუსს განასახიერებდა.

საყურადღებოა, რომ ფრთიანი ქალღმერთი ამ ფუნქციებით ბერძნულ და რომაულ მითოლოგიაში არაა ცნობილი.

ჩვენი აზრით, და ამას არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს, ეტრუსკული რელიგიისათვის ღვთაებების „ფრთოსნობა" ორგანული უნდა იყოს. ფრთიანი ღვთაებებია: მიწისქვეშეთის მკვიდრი ტუხულხა – სიკვდილის ღმერთი, ვანთ – ჩირაღდნიანი შიშველი ქალი – სიკვდილის მომასწავებელი, ლასები – სემანტიკურად რომაული მანების მსგავსი ღვთაებები.

(საყურადღებოა, რომ ვანთი გარეგნულად ძალიან ჰგავს აფროდიტეს, რასაც თავის დროზე ყურადღება მიაქცია ვაკავომ,[127] ამიტომ მას ხშირად მიწისქვეშეთის აფროდიტესაც უწოდებენ).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ტურანი, როდესაც იგი არ მონაწილეობს ბერძნული მითოლოგიის სიუჟეტურ ქარგებში, „გარეგნობით" სულაც არ ჰგავს აფროდიტეს ან ვენუსს.

იგი ჰგავს სხვა ფრთიან ქალღმერთებს ეტრუსკული სინამდვილიდან: ვანთს, ლასას.[128] ტურანის ჩვენს მიერ ნახსენები კასტელ მარიანოს ქანდაკება, ზოგიერთ მეცნიერს აფიქრებინებს ამ გამოსახულების მიმართებას „კრეტულ, სუბმიკენურ და გეომეტრიულ ეპოქასთან" .[129]

---

[127] O.W, Vacavo., Vanth – Aphrodite – Ein Beitrag zur Klärung etruskischer Jenseitvorstellungen. Festschr. A. Grenier, Paris, 1931

[128] W. Fauth, Göttingen – Lasa – Turan – Vanth – Zur Wessenheit weiblicher etruskischer Flugeldamonen.

[129] A.J. Pfiffig., Religio Etrusca, Graz, 1975, 114.

დორო ლევი წიგნში „ადრეული ბერძნული კერამიკა კრეტიდან" წარმოადგენს რამდენიმე ასეთ ფრთიან ქალღმერთს (მაგ. მილატოსურ ლარნაკზე, პითოსზე ფორტეცადან (a.u.O.S. 128, Fig 2)), რომელნიც გარკვევით ავლენენ მსგავსებას ტურანთან.

კრეტაზე ნაპოვნი ფრთიანი ღმერთქალების ფუნქციები ცნობილი არაა. რაც შეეხება ტურანს, ვფიქრობთ, მასალა ამ მხრივ მეტ შესაძლებლობას გვაძლევს.

რა დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ ტურანის ზემოთნახსენები გამოსახულებებიდან?

ჩვენი აზრით, ტურან მცენარეული (რტო, ყვავილი) და ცხოველური (უფრო სწორად „ფრინველური") (გედი, მტრედი) ატრიბუტიკის მიხედვით, შეიძლება დავუკავშიროთ ბუნების სასიცოცხლო ძალებს, ყვავილობას. ძალზე ფრთხილად გვინდა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ტურან მიწისქვეშეთში ბინადრობდა და იქიდან „მართავდა" მიწის ნაყოფიერებას, და ყველას განახლებას, სიყვარულს ჰგვრიდა.

ამას გვაფიქრებინებს ტურანის გარეგნული მსგავსება ვანთთან და ლასებთან და ის ფაქტი, რომ ეტრუსკული „ფრთიანი" ღვთაებები მხოლოდ მიწისქვეშეთში ბინადრობენ.

ტურანის ერთ-ერთი „ცხოველური" ატრიბუტი მტრედი ეგეოსურ სამყაროში ფართოდაა გავრცელებული და ყოველთვის სიცოცხლეს და მის ძალებს უკავშირდება.

მასალის სიმცირის გამო ძნელია ტურანი დავუკავშიროთ იშთარს, თუმცა მასაც, აფროდიტეს მსგავსად, ბერძნული მითოლოგიის ამსახველ ფერწერულ სიუჟეტებში, ხშირად თან ახლავს სატრფო ატუნისი (ადონისი, თამუზი).

საბოლოო დასკვნების გაკეთებამდე გადავინაცვლოთ ტურანის „სემანტიკური" სფეროდან „ლინგვისტურში", ანუ ვნახოთ, რა ინფორმაციას გვაწვდის თავად ტერმინი, მისი ეტიმოლოგია.

Turan – როგორც სიტყვა – ყალიბით ეტრუსკულია – ეს არის პარტიციპიუმი, რომელიც შეიძლება დაიშალოს ორ: ფუძისეულ და სუფიქსურ (an) – ნაწილად (შდრ. selv-an-s, lar-an, sethl-ans). tur – ზმნური ფუძე, მკვლევართა უმეტესობის აზრით, „მიცემას,

მიძღვნას" ნიშნავს, ხოლო an სუფიქსი „ქონებას, ფლობას" აღნიშნავს. აქედან turan შეიძლება იყოს „მიმძღვნელი, მიმბოძველი". გ. ჰერბიგმა პირველმა დაუკავშირა ეს სიტყვა წინაბერძნულ turanos-ს.[130]

ა. პფიფიგი თვლის, რომ ეს კავშირი ნამდვილად არსებობს, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობით. „შეიძლება წინაბერძნული, ხმელთაშუაზღვისპირეთის ტირანოსი იყო მეფე, რომელიც განასახიერებდა დიდი ქალღმერთის, პარედროსს ნაყოფიერების რიტუალებს საკულტო დღესასწაულებში.... როდესაც დიდ ქალღმერთს ტურანს უწოდებენ, მაშინ პარედროსი არის „ტირან-ნა" – ტურანის კუთვნილი".[131]

ამ ვარაუდის დასკვნით ნაწილში პფიფიგი მიიჩნევს, რომ ეტრუსკული ღმერთის სახელი პირველადია, ხოლო წინაბერძნული ტირანოსი მისგან გამომდინარე, რასაც ჩვენ სრულიად ვეთანხმებით.

ტურანის იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე, ჩვენის აზრით, განვიხილოთ tur – ძირთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ღვთაება Turms, რომელსაც, ეტრუსკოლოგთა აზრით, აქვს რომაული მერკურიუსისა და ბერძნული ჰერმესის მსგავსი ფუნქციები. როგორც ეს მისი სახელიდან ჩანს, აქ ფიგურირებს ძირი – tur, m-ქონების აღმნიშვნელი პრეფიქსი და s-გენეტივუსის ნიშანი. დღეს საკმაოდ ძნელია ვიმსჯელოთ ამ ორი ღვთაების: turan-ის და turms-ის საერთო წარმომავლობაზე. ერთი რამ კი სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის, როგორც ჩანს, რაღაც მნიშვნელოვანი კავშირი არსებობ და რაც მხოლოდ ეტრუსკული რეალობისათვის უნდა ყოფილიყო ნიშანდობლივი.

ჩვენ შემთხვევითად არ მივიჩნევთ ტურან – ტურმსის ეტიმოლოგიურ ერთიანობას, რაც ბერძნულ სინამდვილეში აფროდიტესა და ჰერმესის, ხოლო რომაულში – ვენუსისა და მერკუ-

---

[130] G. Herbig Kleinasiatisch – Etruskische Namengleichungen. Sitzb. Kgl. Baxer. AK. d. W. phil. hist KL, 1914. 2 ABL., 28.

[131] A. J. Pfiffig., 1975, 262-263.

რიუსის შემთხვევაში არ დასტურდება და ვვარაუდობთ, რომ მათ შორის „ნათესაური" კავშირიც უნდა არსებულიყო.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე შევჩერდებით. როგორც ცნობილია, ეტრუსკული ჰეპატოსკოპია ანუ ჰარუსპიცია საუკუნეთა განმავლობაში ინარჩუნებდა ეტრურიის ქურუმების წინასწარმეტყველებაში დიდ ავტორიტეტს როგორც საბერძნეთში, ისე, განსაკუთრებით, რომში.

პიაჩენცაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ღვიძლის მოდელი, რომელიც სამკითხაო სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა, შეიცავს ეტრუსკულ ღვთაებათა მრავალ სახელს. ეტრუსკოლოგთა წრეში ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ რომელიღაც ღვთაების ეტრუსკული პანთეონისადმი კუთვნილებას ღვიძლის მოდელზე მისი სახელის არსებობა შეიძლება განსაზღვრავდეს.

როგორია ტურანთან დაკავშირებით ბრინჯაოს ღვიძლის მოდელის „პოზიცია"?

საინტერესოა, რომ ტურანის სახელი ღვიძლის მოდელზე არაა დადასტურებული, თუმცა ტურმს, რომლის სახელი გრამატიკული კანონზომიერების დაცვით აშკარად მეორეულია და ტურანიდან მომდინარეობს – ამ ძეგლში ფიგურირებს.

რა ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ ამ ფაქტს?

ვფიქრობთ, რომ ტურანის სახელი სხვა, შესაძლოა, ეპითეტური გზით იყო წარმოდგენილი. ჩვენი აზრით, არც ისაა გამორიცხული, რომ ტურანს განმარტავდეს სხვა ღმერთი. აქ ვგულისხმობთ ეტრუსკულ სინამდვილეში გავრცელებულ ხერხს – ღვთაების სახელის ნაცვლად მისი მშობლის სახელით იდენტიფიცირება. მაგ. ეტრუსკული ღმერთი ლარან ზოგიერთ სარკეზე წარმოდგენილია, როგორც კელის ვაჟი – cels clan; hercle – უნის შვილი როგორც unial clan – უნის ვაჟიშვილი.[82]

ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ბრინჯაოს ღვიძლის მოდელზე წარმოდგენილი ღვთაებათა დიდი ნაწილი დადგენილად მიიჩნევა ეტრუსკოლოგიაში, ვფიქრობთ, არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთი ღვთაების სახელი ბოლომდე სწორად არ

---

[82] იხ. „იტალიელი ჰერაკლე"

იყოს წაკითხული ან განმარტებული და, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია მათ შორის ტურანიც იყოს.

ამგვარად, ტურანი როგორც ფორმით, ისე სემანტიკურად აშკარად ეტრუსკულია და თავისი წარმომავლობით უკავშირდება წინაბერძნული და წინაიტალიური კულტურის არქაულ შრეებს. მოგვიანებით, ბერძნული მითოლოგიის პოპულარობის გაძლიერების და ბერძნული კერამიკული ნიმუშების ფართოდ გავრცელების ეპოქაში ტურანი აფროდიტეს „შესატყვისად" იქცა. ეს უკანასკნელი შეიძლება მომხდარიყო შემდეგი მიზეზების გამო: 1. აქ მნიშვნელობა ჰქონდა ქალღმერთთა გარეგნულ მსგავსებას; 2. ქალღმერთთა ატრიბუტიკა თანხვდა; 3. მათი ფუნქციები არც თუ ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

რატომ არ მოხდა აფროდიტეს სახელის „ეტრუსკიზაცია" ანუ რატომ არ წარმოსდგა ბერძნული სიყვარულის ღვთაება აპოლონის, კასტორის, არტემისის, ადონისის და სხვათა მსგავსად საკუთარი სახელწოდებით?

ვფიქრობთ, ამაზე გავლენა მოახდინა ეტრუსკთა რელიგიის კონსერვატულმა ხასიათმა და, რაც მთავარია, ტურანის კულტის მნიშვნელობამ და მისმა არქაულობამ.

ერთადერთი, რაც ბოლომდე გაურკვეველი რჩება – ჰქონდა თუ არა მას სიყვარულის, ეროტიული ლტოლვის მფარველი ღვთაების სტატუსი ეტრუსკულ პანთეონში.

ჩვენი აზრით, თავდაპირველად ტურანს ჰქონდა ბუნების სასიცოცხლო ძალების განახლების სიმბოლური მნიშვნელობა. მისი სახელის ეტიმოლოგია ცხადყოფს, რომ იგი განვითარების პირველ ეტაპზე აღნიშნავდა „მიმძღვნელ, მბოძებელ" ძალას, რომელსაც მცენარეული და ცხოველური სამყაროსთვის ახალი ენერგიის მიცემა შეეძლო.

შემდეგ, ბერძნული აფროდიტეს გავლენით (რომელსაც, ცხადია, განვითარების მრავალი ეტაპი აქვს გავლილი), იგი სიყვარულის და ეროტიული ლტოლვის ღვთაებად აღიქმებოდა ეტრუსკულ კერამიკაზე, რომელიც, ეტრუსკული რელიგიისგან განსხვავებით, ელინიზირებას განიცდიდა.

TURAN – ETRUSCAN GODESS OF LOVE?

There is an opinion among Etruscologiests that Turan is the corresponding divinity to Aphrodite in Etruscan religion. This opinion is based on iconographical data – in ceramics and sculpture Turan is tightly connected to Atunis or mythological Adonis. Indispensable attributes of Turan are: dove and swan, She holds often in her hand branch or flower.

To our mind, an opinion, which is widely distribued about Turan's origin considers a question simply. They do not take into account the more archaic representations of Turan, which are not connected with Greek mythology. Turan is a young woman decorated with wings. She is with her winged sandals on and stands in a pose of cult, accompanied by two priests. Undoubtedly if there were no inscription, it would be impossible to identify Turan which represented Greek-Roman Aphrodite-Venus.

Doro Levi in the book "Early Greek ceramics from Crete" represents several winged goddess (e.g. on milatos tray, on pitos from Fortezza (a.a.o.s. 128., Fig.2), which reveal clearly the resemblance with Turan.

In our opinion, according Turan's vegetative (branch, flower) and bestial (exactly "poultry") (swan, pigeon) to attributes, we may connect her to vital power of nature, blossoming.

We may tentatively claim, that Turan lived underground and from there she was "monitoring" fertility and in spring with revival of nature she gave love and restored everything.

We think so because of Turan' resemblance to Vanth and fact, that Etruscan winged divinities live only the underground. Turan – as term, by shape is Etruscan. This is the word, received from combination of tur – root and an – suffix (compare: selvans, laran, sethlans), in the opinion of researchers, it has the meaning of "giving, granting", but suffix an means "possession". It's interesting, that Herbig was the first one, who connected this word to earlier Greek τύραν-νος, Pfiffig in the book "Religio etrusca" considers, that this connection exists by all means, but in a contrary meaning. Perhaps in earlier

Greek king of mediterranean, who was embodying the great Goddess Paredross in cult occasions of productivity. When the great Goddess is called Turan, then Paredross is 'Turan-na" – owner of Turan.

In final part of this supposition, Pfiffig consider, that the name of Etruscan God is primary and earlier Greek Tiranos – comes from him.

Thus, Turan, as in form, as well as semantically is Etruscan and by its origin, it is connected to earlier Greek and earlier Italy archaic layers of culture.

In our opinion, from the beginning Turan had a symbolic importance of restoring vital forces of nature. The etymology of her name proves, that she, in the first stage of development, denoted "offering, granting" power, which could give a new energy to vegetative and bestial universe (tur-an).

Afterwards, by influence of Greek Aphrodite (who, of course, has gone many stages of development) she was perceived to be the divinity of love and erotic passion on Etruscan ceramics, which, unlike the Etruscan mythology, was influencing elinization.

კირკე და იტალია

ანტიკურობის მრავალი ავტორი ასე განსაზღვრავს მითიური აიას ადგილმდებარეობას, სადაც ჯადოქარი კირკე ბინადრობდა – ეს არის კუნძული ტირენის ზღვაში, ცენტრალური იტალიის დასავლეთი სანაპიროს მახლობლად.

მსგავსი შეხედულება, ეჭვგარეშეა, მიემართება „თეოგონიის" დასკვნით ნაწილს. ჰესიოდე აღნიშნავს, რომ კირკეს, ჰელიოსის ქალიშვილი შეეძინა ოდისევსისაგან აგრიოსი და ლატინოსი, რომელნიც ტირენებზე მბრძანებლობდნენ.[1]

ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს სტრიქონები „თეოგონიის" ტექსტში ძვ.წ. VI-V სს. შეიტანეს, რადგან ისინი ამართლებდნენ ენეასის ლეგენდას, რომელიც ჰესიოდეს არ უნდა სცოდნოდა. თუმცა, არის საწინააღმდეგო მოსაზრებაც.[2]

როგორც ცნობილია, ჰომეროსი, ჰესიოდესგან განსხვავებით, კუნძულ აიას უკიდურეს აღმოსავლეთში მოიაზრებს:

„აიაში, სადაც... ჰელიოსი ამოდის".[3]

ჰომეროსის ლოგიკა ზედმიწევნით გასაგებია – კირკე, ხომ ასულია ჰელიოსისა, რომელიც ამოდის აღმოსავლეთიდან, სადაც მდებარეობს მზის ღმერთის სასახლე და შესაბამისად, კუნძული აია.

„თეოგონიის" შემთხვევაში, ერთი შეხედვით, გამოიყენება მსგავსი, „ბუნებრივი" პრინციპი – ჰელიოსი ხომ დასავლეთშიც ფლობს მეორე სახლს, სადაც იგი დაისის შემდეგ მიემართება – ჰესპერიაში ან იტალიაში, რომელთან ახლოც შეიძლება მითიური კუნძული აია მდებარეობდეს.

---

[1] Hesiod, Carmina.

[2] ამასთან დაკავშირებით იხ. Attilio Mastrocinque, Ricerche sulle religioni italiche, SE, vol LXI – MSMXCV (Serie III), 1996, 141.

[3] Homerus, Odyssea, ed. P. Von der Muehl, 1962, XII, 3-4.

მიუხედავად კუნძულის ლოკალიზაციის ამგვარი ახსნის ლოგიკურობისა, ჩვენ შემთხვევითად არ გვეჩვენება ის გეოგრაფიული კონკრეტიკა, რომელსაც ჰესიოდე თუ ფსევდო – ჰესიოდე, ჰომეროსისაგან განსხვავებით, მიმართავს. – „თეოგონიაში" ტირენების (ეტრუსკების) და ლათინთა მამამთავარი ლათინოსის ხსენება მეტყველებს გარკვეული დამოკიდებულების არსებობაზე კონკრეტულ მითიურ პერსონაჟსა და იტალიის უძველეს ხალხებს შორის.

ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხი უნდა შევისწავლოთ, პირველ რიგში ერთი გარკვეული მიმართულებით – შეიძლება თუ არა ვისაუბროთ კონკრეტულ ე.წ. „იტალიურ წინაპირობებზე" იტალიის ხალხთა მითოლოგიურ მასალაში, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა კუნძულ აიას ლოკალიზაციის კონცეფციაზე ბერძნულ მითოლოგიაში.

აპენინის ნახევარკუნძულის მოსახლე ხალხთა მითოლოგიისა და რელიგიის შესწავლისას, თანამედროვე მეცნიერთა წრეში ძირითადად ორი პრობლემა წარმოიშობა:

1) ამ სფეროში ინფორმაციის ფრაგმენტულობა და ნაკლებობა; 2) ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხთა კულტურაზე ბერძნულის გავლენა – მრავალ შემთხვევაში ადგილობრივი მითოლოგიური სახეები, სიუჟეტები, ღვთაებათა სახეები „გადაფარულია" ცნობილი ბერძნული პერსონაჟებითა და სიუჟეტებით.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ამ სიძნელეებისა, თანამედროვე მეცნიერება შესაძლებლად მიიჩნევს აღადგინოს იტალიის ხალხთა ელინიზირებული მითები ე.წ. „მითოლოგიური ბირთვის" დონემდე, არქეოლოგიისა და ლინგვისტიკის სფეროში წარმოებულ კვლევათა საფუძველზე.

რაც შეეხება კირკეს, თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ძველი იტალიის მრავალი ხალხის მითოლოგიას და რელიგიაში დადასტურებულია ამ ქალღმერთის კვალი.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში კირკე (ან მისი იტალიური პროტოტიპი) უკავშირდება აპენინის ნახევარკუნძულის მითოლოგიური წარმოდგენების ყველა-

ზე არქაულ პლასტებს – ესაა ე.წ. „გენეალოგიური მითები“, რომლებიც მოგვითხრობენ ტომთა თუ ხალხთა მამამთავარზე.

მაგალითად, ავსონები, ძველი იტალიის ცენტრალურ ნაწილში მოსახლენი, მიიჩნევდნენ თავისი ეთნოსის მამამთავრად ავსონს, ოდისევსისა და კირკეს შვილს.4 უნდა აღინიშნოს, რომ ამ მითის გარდა, არსებობს სხვა, როგორც ჩანს, უფრო არქაული ვერსია ამ ხალხის წარმომავლობის შესახებ – ავსონები წარმოიშვნენ კენტავრ მარესისაგან, რომელიც 123 წელი ცხოვრობდა.[5] ამ ღვთაებასთან, საფიქრებელია, დაკავშირებული იყო ქალღმერთი მარიკა, რომელსაც ეძღვნებოდა ტაძარი გარილიანოში.[6] მარიკა, თავის მხრივ, გაიგივებული იყო კირკესთან, ლატინოსის დედასთან (Serv., Aen., XII, 164, Verg, Aen., VIII, 47).

ამგვარად, ორივე შემთხვევაში – იქნება ის ავსონოსი თუ მარესი, კირკესთან კავშირი, უფრო სწორად, უკანასკნელ შემთხვევაში, ავსონიურ ქალღმერთთან აშკარაა.

ავსონთა წარმოშობის შესახებ არსებული მითების საფუძველზე, ვფიქრობთ, ყველაზე რეალურია შემდეგი სქემა წარმოვადგინოთ:

მარსი..... მარიკა (კირკე)
↓
ავსონოსი
↓
ავსონები

ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს, ჩვენი აზრით, ქმნის არქაულობა ღვთაება მარსისა, რომელიც უკავშირდება თავის „სეხნია“ ღმერთებს: მარსს (ლათინ.) და მარისს (ეტრუსკ.).

---

4 Diod., V, 7. შდრ.: L. Piarson, The Greek Historians of the West, Timaeus and his Predecessors, Atlanta, 1987, 65.

5 A. Mastrocinque, 141.

6 Aelianus, Var. hist, IX, 16: E. La Forgia, Nuove osservazioni sul tempio di Marica, AION – Archst. Ant. XIV, 1992, 69-76.

ლათინთა მარისი და ეტრუსკთა მარისი განასახიერებდნენ ნაყოფიერებისა და ხთონურ ძალებს. მოგვიანებით, ლათინურმა მარსმა შეიძინა ომის ღმერთის ფუნქციები, რომელიც მან ბერძნულ არესისაგან ისესხა. მარესის, მარისის და მარსის შეპირისპირება – შედარება საგრძნობლად გვაშორებს ჩვენს საკვლევ თემას, თუმცა, ამ საკითხს ჩვენ ნაშრომის ბოლოს კვლავ დავუბრუნდებით. ამ ეტაპზე ჩვენ ავღნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს ღვთაება წარმოადგენს იტალიის ერთ-ერთ უძველეს კულტს.[7]

ღმერთქალ მარიკას ფუნქციები დღესდღეობით ბოლომდე ცნობილი არაა, მაგრამ მასსა და ვენერას (Serv., Aen., VII, 47), დიანას (August., liv. Dei, II, 236), ფაუნას (Verg., Aen., VII, 47) და კირკეს შორის არსებული პარალელებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ქალღმერთი ბუნების მაცოცხლებელ ძალებს მფარველობდა. ვფიქრობთ, მარიკა ფლობდა ასევე ბუნების მაგიურ ძალებს და გარდასახვის უნარს.

ჰესიოდეს მიერ ნახსენები კირკეს ვაჟი ლათინოსი, როგორც ეს რომაელთა მითოლოგიაშიც დასტურდება, მიიჩნეოდა ლათინთა „მამად".

კირკეს მეორე შვილი – აგრიოსი რომაელთა მიერ აღიარებული იყო სილვანუსად ან ფავნუსად, რომელიც, თვის მხრივ, რომაელ და ალბან მეფეთა წინაპრად მიიჩნეოდა.[8]

ფავნუსს უკავშირდება მეორე ღვთაება – პიკუსი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ფავნუსთან ერთად ქმნიდა ე.წ. „კაპიტოლიუმამდელ დიადას".[9] პიკუსი რომაელებს კოდალად წარმოედგინათ, რომელიც კირკემ (ფაუნამ) მოაჯადოვა სიყვარულზე უარის თქმის გამო (ლათ. piccus – „კოდალა").

ამგვარად, თუკი ავსონთა ქალღმერთის შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ვერსიას გამოვთქვამდით მარიკას კავშირზე

---

[7] G. Hermansen, Mares, Maris, Mars and the archaic Gods, Studi Etrusei, LII, 1984, 147-164.

[8] Ovidius, Fasti, II, Locb Classical Library, 1993, 289.

[9] A. Alfoldi, Die trojanischen Urahnen der Römer, Basen, 1957, 24-25.

მაგიურ ძალებთან, ლათინთა ფაუნა (კირკე) ნამდვილ ჯადოქრად წარმოგვიდგება.

ოვიდიუსი ადასტურებს, რომ პიკუსიც და ფავნუსიც წინასწარმეტყველების უნარს ფლობდნენ. ერთხელ რომაელთა მეფე ნუმა პომპიულიუსმა გადაწყვიტა შეეტყო procuratio-ს – ელვათა მიხედვით მკითხაობის – ყველა საიდუმლო პიკუსის და ფავნუსისაგან, რომელნიც ფლობდნენ გარდასახვის უნარს და მაგიურ ბალახთა ცნობა და გამოყენება შეეძლოთ.[10]

ფავნუსის – კეთილი დედის წმინდა ტყეში ამზადებდნენ საგანგებო ნაყენებს მაგიური ბალახებიდან და ამიტომაც კეთილ ქალღმერთს ხშირად მედეად წარმოსახავდნენ.[11] მოძალადე ფავნუსისაგან თავდასაცავად ქალები იყენებდნენ ბალახებს paeonia ან natrix.[12]

როგორც ჩანს, ამ ბალახებს გარდასახვის ძალა გააჩნდათ. ვერგილიუსი „ბუკოლიკებში" აღნიშნავს:

„ამ ბალახთა ნაკრები და პონტოსზე ნაპოვნი საწამლავი
მრავალი გადმომცა მერისმა – ისინი მრავლადაა იქ.
ვხედავდი მე, არაერთხელ, როგორ გარდაისახებოდა მათი წყალობით
მერისი მგლად და ტყისკენ მიდიოდა, ხანდახან მკვდართა
სულებსაც იხმობდა საფლავებიდან".

(VIII, 95-100)

ოვიდიუსი „მეტამორფოზებში" აღნიშნავს, რომ მედეა (როგორც ჩანს, Bona Dea) მაგიაში იყენებდა მგლების შიგნეულს, რომელთაც ადამიანებად გარდასახვა შეეძლოთ (VIII, 270-71).

ვერგილიუსი „ენეიდაში" თავის მხრივ მიუთითებს, რომ კირკეს კუნძულზე ყმუიან უზარმაზარი მგლები. „ყველა ვინც ბალახთა ძალით დაღუპა ბოროტმა ქალღმერთმა" (VII, 18-19). აქ, ჩვენი

---

[10] Ovid., Fasti, III, 291; Plut., Numa, 15.
[11] Macrobius, Saturnalia in Opera, vol. I, 12. 26.
[12] Plinius, Historia Naturalis, vol I-X.

აზრით, ყურადღებას იპყრობს ოპოზიცია – კეთილი და ბოროტი ქალღმერთისა (მედეა – კირკე).

იმ ვერსიაზე დაყრდნობით, რომ ფაუნა, ფავნუსის მეუღლე ან დედა, შეიძლება აღვიქვათ, როგორც კირკე, კეთილი ქალღმერთი (Bona dea) და მედეა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი გენელოგიური პარადიგმა.

მზის ღმერთი (ჰელიოსი) .....

(კირკე) ფაუნა – ფაუნუსი, მარსი პიკუსი, კეთილი ქალღმერთი (მედეა)

ლათინუსი, სილვიუსი (აგრიოსი)

ლათინები, რომაელები, ალბანელები

კიდევ ერთი იტალიკური ტომი, მარსელები, აღიქმებოდნენ კირკეს შთამომავლები. კირკეს ვაჟი მარსიასი გამოცხადებული იყო მარსელთა წინაპრად[13] კირკე (ან მედეა) მარსთა მითოლოგიაში შეესაბამება ქალღმერთ ანგიტიას.[14]

კავშირი მარსსა და ჰელიოსის ქალიშვილს შორის იხსნებოდა ამ ტომის, როგორც გველთა მომთვინიერებლის, საყოველთაოდ ცნობილი რეპუტაციით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთ ნახსენებ ვერსიასთან ერთად, არსებობდა მარსელთა პირველი მეფის ლიდიური წარმომავლობის შესახებ. [15]

ჩვენ აგრეთვე სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია ვივარაუდოთ გარკვეული კავშირის არსებობა მარსიასსა და მარსს შორის,

---

[13] Pliin., H. N., VII, 15.

[14] Servius, Ad Aeneidas VII, 750.

[15] Plin, N. h, III, 108; Cesare Letta, I Marsi e il Fucino nell' antichitá, Cisalpino, Goliardica, Milano, centro studi e documentazione sull' Italia Romana. Monografie e supplemento degli "Atti 3", 1972, 53.

რომლის ვარიანტები – Mares, Maris და Mars, ჩვენ უკვე განვიხილეთ.

ამგვარად, სავსებით დასაშვებია, ჩვენი აზრით, აღვადგინოთ მარსელების ასეთი გენეალოგიური სქემა:

მარსი – ანგიტია (კირკე, მედეა)
↓
მარსიასი
↓
მარსელები

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მარსელთა კულტურის შემსწავლელები მიუთითებენ ამ მითების წინარომაულობას, რითაც სრულიად გამორიცხავენ რომაელთა მხრიდან იტალიის ხალხთა კულტურულ გაერთიანებისკენ ლტოლვის მოტივით მარსელების მარსთან დაკავშირებას მცდელობას.

განსხვავებით ძველი იტალიის სხვა ხალხებისაგან, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ჰელიოსის ასულთან კავშირზე, ტირენთა ანუ ეტრუსკთა მითოლოგიაში ასეთი ინფორმაცია არ მოიპოვება.

უკანასკნელი პერიოდის არქეოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფენ ეტრურიაში მზის (Catha) კულტის არსებობას და რაც უფრო საყურადღებოა, მისი ქალიშვილის (Cavatha).

ქ. პირგის ტაძრის ანტიფრიზზე არსებობს მზის ღმერთის გამოსახულება[16], რომელიც გამოხატავდა Pater indiges-ს:

ის, რომ ეტრუსკები თავს მზის შთამომავლებად მიიჩნევდნენ, დასტურდება ორბეტელოში ნაპოვნ ერთ სარკეზე არსებული წარწერით, სადაც მზე მშობლადაა მოხსენებული: „Cathe san" – („Solgenitor").[17] ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ აქ იგულისხმება Pater indiges – γεναρχής.[18]

---

[16] G. Colonna, Santuari D'Etruria, Milano, 1985, 133.

[17] G. Colonna, A proposito degli dei del Fegato di Piacenza, Studi Etrusci, LIX. 1993, 134.

[18] M. Pallotino, IL Culto degli antenati in Etruria, წიგნში: Saggi di antichità, 79i, 810-811

პირგიშივე ნაპოვნი ღვთაებრივი წყვილის Suri და Catha-ს კულტი. Suri იდენტიფიცირებულია იტალიურ აპოლონ სორაკთან – მიწისქვეშეთის, თერმული წყაროების, წინასწარმეტყველებისა და განკურნების ღმერთთან[19] (შდრ. Maris).

თავის მხრივ, Catha ან Cavatha განიმარტება როგორც ციური ქალღმერთი, მზის ქალიშვილი, რაზეც მიუთითებს მარციანუს კაპელა.[20]

Catha-ს უდარებენ მედეას და განსაკუთრებით, კირკეს.

საგულისხმოა, რომ დიოსკორიდე ვარაუდობს, რომ catha მცენარის ეტრუსკული სახელი იყო, რომელსაც ერქვა oculum solis („მზის თვალი") ან millefolium[21] და რომელსაც მოგვიანებით უწოდებდნენ achilea-ს – აქილევსის მცენარე[22] (გასათვალისწინებელია, რომ სიკვდილის შემდეგ აქილევსი სწორედ მედეას ირთავს ცოლად (Lycophr., 174, 798).

ამგვარად, თუკი დავეყრდნობით ძველი იტალიის ხალხთა მითოლოგიიდან და რელიგიიდან ჩვენს მიერ გამოკვლეულ ინფორმაციას, ჩვენ შესაძლებლად მივიჩნევთ აღვადგინოთ ბერძნული და ე.წ. „იტალიური" მითოლოგიური ელემენტების შეპირისპირების შემდეგი სქემა:

მზე

(Catha- ეტრ.) (ჰელიოსი – ბერძნ.)

↓

მზის ქალღმერთი მზის ქალღმერთის მეუღლე

---

[19] G. Colonna, Note preliminari sui culti del santuario di Portonaccio a Veio, Scienze dell' Anticitá, Storia Archeologia, Antropologia, I, 1987, 433; A. Comella, Apollo Soranus? Il programma figurativo del tempio del scusato di Faleri, Ostraea, II, 2, 1993, 301-316.

[20] Martianus Capella, de Nuptiis Mercurii et Phillogiae (ed. Dich Preaux), 1993, I, 50. G. Thulin, Die Götter des Martianus Capella und der Bronzeleber von Piacenza, Gieszen, 1906, 50

[21] V. Bertoldi, Nomina Tusca in Dioscorido, SE, X, 1936, 305-9.

[22] Plin., H. N., XXV, 42.

ფუნქციები:
ნაყოფიერების, მაგიის,

მკურნალობის მფარველობა
Cavatha – ეტრ.
Angitia – მარს.
Marica – ავს.
Fauna – ლათ.
Bona Dea – ლათ. –
Medea, Circe – ბერძნ. –

ფუნქციები: მიწის, მიწისქვეშა ძალების,
მფარველობა
Suri – Maris – ეტრ.
Mars – მარს.
Mares – ავს.
Mars (Faunus) – ლათ.

ეტრუსკები, მარსიასი, ავსონოსი, სილვიუსი
↓
მარსელები ავსონები ლათინები

ამ გამაერთიანებელი სქემიდან გამომდინარე გასაგები ხდება, რომ:

1. მზის ლოკალური კულტი არსებობდა მხოლოდ ეტრუსკებთან.

2. მზის ქალღმერთ იტალიელ ტომთა ღმერთქალებს შორის (Angitia, Marica, Fauna, Bona Dea, Cavatha), ყოველშემთხვევაში, ლინგვისტურ დონეზე, შეიძლება დასახელდეს მხოლოდ Cavatha. დანარჩენ ქალღმერთთა სახელები უფრო მეტად მიემართება მათი პარტნიორებისას (Marica – Mars, Fauna – Faunus);

Mars, Mare-ს და Maris არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ ფუნქციონალურ დონეზეც საერთო წარმომავლობა უნდა ჰქონოდათ.

რაც შეეხება ღმერთებს Mars-Maris-Mares-ს, საჭიროა, ჩვენი აზრით, მათზე არსებული მითებიდან ამოვარჩიოთ შედარებით არქაული პლასტი. მარსზე არსებული იტალიური მითებიდან ყველაზე ძველად ითვლება თქმულება კენტავრ Mares-ზე, რომელიც ავსონთა მითოლოგიაშია შემონახული: მითი კენტავრ Mares-ზე, რომელიც 123 წელი ცხოვრობდა და სამჯერ აღდგა

მკვდრეთით, მიემართება ეტრუსკთა თქმულებებს. 123, როგორც ამას კერნორინუსიც აღნიშნავს, ეტრუსკულ saecula-ში წლების რაოდენობას შეესაბამება: „Quare in Tuscis Historiis, quale octavo eorun saeculo scriptal sunt, af Varro testatur,... scriptum est quattuor prima saecula annorum fuissem centenum, quintum centrum viginti trium...[23]

საინტერესოა, რომ მითი სამჯერ გაცოცხლების შესახებ შემონახულია ეტრუსკულ მითოლოგიაში. ესაა, პირველ რიგში, მითი ნიმფა ფერონიაზე, რომლის ვაჟიშვილი ერულუსი სამჯერ აღდგა მკვდრეთით.[24]

გარდა ფერონიას შესახებ ამბისა, ეტრურიაში ნაპოვნ რამდენიმე სარკეზე აღწერილია, როგორც ეს მკვლევართა უმეტესობას მიაჩნია, თქმულება მარისის გაცოცხლების შესახებ, ხოლო ერთ-ერთ ბრინჯაოს ჭურჭელზე (პრენესტე, ძვ.წ. IV ს.) გამოსახულია სამი ჩვილი მარსი სამი განსხვავებული ეპითეტით: mars halna, mars hursnanc, mars isminthians.[25]

სწორედ ეს Mars, კენტავრი, რომელიც გაცოცხლების უნარს ფლობდა შეიძლება იყოს მზის ღმერთთან დაკავშირებული, რაც, ჩვენი ვერსიით, დასტურდება მისი ერთად მოხსენიებით Cauta და Aisera-სთან ერთად ერთ-ერთ თეფშზე მალიანოდან.

ამგვარად, ვეფუძნებით რა ძველი იტალიის ხალხთა მითოლოგიის ჩვენს მიერ შესწავლილ მასალებს, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. „იტალიური წინაპირობები" კირკეს ადგილსამყოფელის ახალი ვერსიის შექმნის შესახებ ნამდვილად არსებობდა. ეს, პირველ რიგში, აიხსნება მზის (Catha – ეტრ.), მზის ქალიშვილის (Cavatha – ეტრ.), მაგიისა და ნაყოფიერების მრავალრიცხოვანი ქალღმერთების (Angitra – მარს., Marica – ავსონ., Fauna-Bona Dea – ლათ.), ღმერთების (Maris – ეტრ, Mares – ავს, Mars-Favnus – ლათ.), მაგიური პრაქტიკის (ფი-

---

[23] Censorinus, De die Natali, Liber, Billiotheca Teubneriana, 1983, XVII, 6.
[24] Hermansen, 151.
[25] ibid, 147.

ტომაგია, ზოომაგია, მკითხაობა) და ფითოთერაპიის[26] არსებობით.

ყველა ამ ელემენტმა გადამწყვეტი როლი შეასრულა კირკეს აპენინის ნახევარკუნძულთან ახლოს ბინადრობის შესახებ მითის ვერსიის შექმნაში.

მითის ამ ვარიანტის შემქმნელებად, საფიქრებელია, ევბელეები მოგვევლინენ, რომლებმაც ძვ.წ. VIII საუკუნეში ჩრდილოეთ იტალიაში, კუნძულ ისკიას (Pithekousai) მოპირდაპირე მხარეს, ქალაქ კუმეში პირველი კოლონია დააფუძნეს.

იმ დროის მდიდარი არქეოლოგიური მასალა მიუთითებს ეტრუსკულ ცენტრებსა და ბერძნულ კოლონიას შორის არსებულ ინტენსიურ კონტაქტებზე მეტყველებს.[27]

კუმე მთელი იტალიის მასშტაბით თანდათანობით იქცევა კულტურული გაცვლის ცენტრად მრავალი მიმართულებით (ანბანი, ხელოვნება, მითოლოგია, ვაჭრობა).

სავსებით ბუნებრივია, რომ გაცვლას ორმხრივი ხასიათი ჰქონდა, პირველ რიგში, მითოლოგიის სფეროში.

ეცნობოდნენ რა ეტრუსკთა და მოგვიანებით, იტალიის სხვა ხალხთა მითებს, ევბელეები ახდენდნენ მათ ინტერპრეტაციას ბერძნული მითოლოგიური სახეებით, რითაც, თავის მხრივ გავლენას ახდენდნენ აპენინის ნახევარკუნძულის მცხოვრებთა მითოლოგიურ წარმოდგენებზე.

არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ ეტრუსკები პირველები იყვნენ იტალიის ძველ ხალხთა შორის, რომლებმაც კავშირი დაამყარეს ბერძენ კოლონისტებთან, რაც, ჩვენი აზრით, განმარტავს ტირენთა მოხსენიებას „თეოგონიის" დასკვნით ნაწილში.

ამრიგად, შესაძლებლად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ ჰესიოდეს ეს სტრიქონები არ წარმოადგენს გვიანდელი ხანის ჩანართს. მათში არ ჩანს ენეასის მითის გამართლების სურვილი — სხვაგვა-

---

[26] ამასთან დაკავშირებით იხ.: Paolo Giulierini, Etrusca Scientia Sanandi, Firenze, 1994.

[27] Mauro Crisfofani, Dizionario illustrato della civiltá etrusca, Giunti, 1999, 83.

რად აგრიოსი და ლათინოსი არ დაუკავშირდებოდნენ ტირენებს. ქრონოლოგიურად სავსებით შესაძლებელია ისიც, რომ ჰესიოდემ იცოდა აიას ლოკალიზაციის კუმური ვერსიის შესახებ.

CIRCE AND ITALY

Many authors of the antique period provide an explanation that the location of mythic Aia, where magician Circe lived was the isle in the Tyrrhenian Sea nearby the west coast of central Italy.

Such conception is considered as doubtless, and it is related to the conclusive part of the text of "Theogonia". Hesiod determines that Circe the daughter of Helios had Agrios and Latinos from Odyseus; they had the power on the Tyrrhenians.

Some modern explorers consider that these rows were written in text of "Theogonia" in the VIth or Vth century B.C. as they justify the legend of Aeneas that should have been left unknown for Hesiod.

It is known that Homer has the different idea from Hesiod and according to his opinion the isle of Aia was situated in the Far East.

The logic of Homer is absolutely comprehensible- Circe is a daughter of Helios that comes out from the east, where the palace of the God of Sun is located and accordingly the isle of Aia.

At one glance, the same "natural" principle is used in case of "Theogonia"; Helios owns the second home in the west, he goes to Hesperia or Italy at dawn. It is assumed that the mythic isle of Aia is located near these territories.

Despite such logic of the interpretation about location of the isle, we do not suppose that geographic concreteness which Hesiod or Pseudo- Hesiod applies to could be accidental- in "Theogonia" mentioning of Latinos as the head of the Tyrrhenian (Etruscans) and the Latins implies certain relationship between concrete mythic character and the ancient people of Italy.

From our point of view, the subject raised at first need to be reviewed to the one settled direction. It is possible or not, to speak about specific "Italian preconditions" in mythological materials of

Italian peoples, that has certain influence on the concept of localization of the isle of Aia in Greek mythology.

We have studied mythological material of the subsequent people of ancient Italy: Ausons, Marsians, Etruscans and Latins. On the ground of the material we could stand upon the idea that "Italian precondition" concerning the version of Hesiod about Circe location has its real existence. Above all this is explained to the existence of magic practices (phytomagic, zoomagic, divination) and phytotherapy done by God of Sun (Catha- Etruscans), his daughter (Cavatha-Etruscans), various goddesses of magic and fertility (Angitia- Marsians, Marica- Ausons, Fauna, Bona Dea-Latins), Gods (Maris-Etruscans , Mares- Ausons, Mares-Faunus-Latins).

The Euboeians could be supposed as creators of this version of the myth; they set up the first colony in the north Italy opposite of the isle of Iskia (Pitherousai) in the VIIIth century B.C. This time's rich archeological material indicates about intensive contacts between the centers of Etruscans and the Greek colony.

Introducing the myths of the Etruscans and later other Italian people, the Euboeians give their interpretation with Greek mythological faces, which on their part make some effect on the mythological conception of the inhabitants of Apennines Peninsula.

According to our opinion the rows of Hesiod is not assumed as the addition of the latest period. The desire of the justification of Aeneas myth is not seen from these rows. In other case Agrios and Latinos did not get in touch with the Tyrrhenians. Chronologically it is possible that Hesiod knew the version of Cumic concerning localization of the isle of Aia.